

შალვა ბობიაშვილი, სლავა ფეტელავა

კონკურენცია
და ანტიმონოპოლიური
რეგულირება

(ლექციების კურსი)

მ

შალვა ბობიაშვილი, სწავლა შეტევაზე

ისე უნდა იყოს და ჩემს
დასაწყისად ჩემსთვის

მ. გ. გ. გ.

19.09.2007

კონკურენცია

და ანტიმონოპოლიური

რეგულირება

(ლექციების კურსი)



გამომცემლობა „ლიტა“
თბილისი 2007

თემა 9. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური კონტროლი სასაქონლო ბაზრებზე და პასუხისმგებლობა კონკურენციული კანონმდებლობის დაცვის სფეროში - - -124

თემა 10. კონკურენციის განვითარების საერთაშორისო ასპექტები - - - - -130

ტესტები თვითშემოწმებისათვის - - - - 141

ტიპიური საგამოცდო საკითხები - - - - -151

„კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება“ სასწავლო კურსის სილაბუსი - - - - -155

ტესტების პასუხები - - - - -167

ლიტერატურა - - - - -168

ავტორთა შესახებ - - - - -170

რედაქტორისაგან

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მეურნეობის განვითარება აჩვენებს, რომ კონკურენცია წარმოადგენს რესურსების ეფექტური გამოყენების, მინიმალური საწარმოო დანახარჯების პირობებში ეროვნული სიმდიდრის ზრდის მნიშვნელოვან წინაპირობას. იგივე გამოცდილება აჩვენებს, რომ ხშირად არარეგულირებადი ბაზარი, სადაც კონკურენცია „თავის ნებაზეა მიშვებული“, გადაიზრდება საპირისპირო მოვლენაში – მონოპოლიაში, რომელსაც შედეგად მოყვება ეკონომიკური განვითარების დინამიზმის დაკარგვა და სტაგნაცია, რაც საბოლოო ანგარიშით იწვევს საზოგადოებრივი კეთილდღეობის შემცირებას.

სწორედ ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო იძულებული ხდება ჩაერიოს საბაზრო მექანიზმის „მუშაობაში“. აუცილებელ შემთხვევებში მან უნდა აკონტროლოს და არეგულიროს სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობა, რათა თავიდან იქნას აცილებული საზოგადოებისათვის დამლუპველი მონოპოლიზებისა და არაკეთილსინდისიერი საქმიანი პრაქტიკის პროცესები, მაქსიმალური მოგების მიღების ძირითადი მოტივი ჩაყენებულ იქნას საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესების სამსახურში.

მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციულ პოლიტიკას და კონკურენციულ კანონმდებლობას საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, სულ თხუთმეტიოდე წლის ისტორია აქვს, საზოგადოების მხრიდან გამოიხატება ცხოველი ინტერესი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ამ ახალი მიმართულებისადმი. სახელმწიფო მოხელეები, მეწარმეები და საერთოდ რიგითი მოქალაქეები ცდილობენ უპასუხონ საბაზრო ეკონომიკის მიერ დაყენებულ მრავალ კითხვას და მათ შორის, თუ რას წარმოადგენს კონკურენციული კანონმდებლობა, როგორია მისი როლი და ადგილი საბაზრო ურთიერთობების რეგულირების საქმეში, რომელი პრობლემები გადაიჭრება მისი მეშვეობით და როგორია მისი გამოყენების მექანიზმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სალექციო კურსი გარკვეულად ავსებს რა დღეისათვის ქვეყნის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

შემოსული № _____ გპ.

" " _____ 200 წ.

ხელმოწერა

1823

უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ ვაკუუმს კონკურენციის დაცვისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების სფეროში, მეტად დროული და ღირებული შენამატია საბაზრო ეკონომიკის რეგულირებისა და სრულყოფის პრობლემატიკაზე არსებული სასწავლო ლიტერატურისათვის. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. თანამედროვე ეკონომისტი ვალდებულია იცოდეს, რომ საბაზრო ეკონომიკა ესაა კონკურენციული ეკონომიკა და უნდა იმოქმედოს ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი კონკურენციული ბრძოლის ბერკეტებით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენციული პოლიტიკისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების საფუძვლები ცოდნა აუცილებელია როგორც სახელმწიფო მოხელეებისათვის, ისე პრაქტიკოსი (ბიზნესში დასაქმებული) ეკონომისტ-მენეჯერებისათვის, რათა კონკურენციული სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისას მაქსიმალურად იქნეს დაცული საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი „თამაშის წესები“.

ავტორებმა გააკეთეს მეტად საშური საქმე და საზოგადოებას მიაწოდეს უცხოური და ქართული გამოცდილების საფუძველზე შექმნილი სალექციო კურსი კონკურენციის სფეროში, რომელიც თავისი შინაარსით პასუხობს მაღალ სტანდარტულ მოთხოვნებს. შესაბამისად მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება“ იყოს ჩართული საგაღღებულო სასწავლო დისციპლინათა ნუსხაში როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის ყველა მიმართულებისათვის, ასევე ქვეყნის სხვა ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ეკონომიკური სასწავლო პროგრამების თანამედროვე მსოფლიოში არსებულ მოთხოვნათა დონეზე აყვანის პროცესს.

იაკობ მესხია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წინასიტყვაობა

კანონმდებლობა კონკურენციისა და მონოპოლიების შესახებ შედარებით ახალი მოვლენაა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებასა და სამართლებრივ სისტემაში. საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მას საფუძველი ჩაეყარა გვემიური ეკონომიკის რღვევისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის საწყის ეტაპზე. კერძოდ, XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს. შესაბამისად, უკვე 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“, რომელიც ჩანაცვლებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის კანონით. მოგვიანებით, 2005 წლის 3 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც საქართველოს კონსტიტუციასთან და კონკრეტული დარგების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმატიულ აქტებთან ერთად წარმოადგენს ქვეყნის კონკურენციულ კანონმდებლობას და ეკონომიკის ანტიმონოპოლიური რეგულირების სამართლებრივ საფუძველს.

დღეს უკვე სადაო არაა, რომ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია საკონკურენციო სამართლებრივი ნორმებისა და შესაბამისი აღმასრულებელი ინსტიტუტის გარეშე. ამდენად, გარე სამყაროსთან ჰარმონიზებული საკონკურენციო პოლიტიკა წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ხერხემალს; მის სწორ წარმართვაზე დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობა და მისი სამართლიანი განვითარება. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეებს და მთლიანად საზოგადოებას კარგად ექნება გაცნობიერებული ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობა და მისი რეალიზაციის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტ ახალგაზრდობაში კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების თეორიისა და პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმების შესწავლას, რისი

გარკვეული გამოცდილებაც არსებობს ივ. ჯავახიშვილის სხეულობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1999 წლიდან ეკონომიკისა და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტებზე ისწავლებოდა დისციპლინები – „ანტიმონოპოლიური პოლიტიკის საფუძვლები“ და „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური პოლიტიკა“. დღეისათვის, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მე-3 და მე-4 კურსებზე იკითხება სალექციო კურსი საგანში – „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება“.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კონკურენციის სფეროში ქართულ ენაზე შესრულებული სამეცნიერო ლიტერატურა იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო სტუდენტთათვის სპეციალური, სახელმძღვანელოს ტიპის რაიმე ნაშრომი ან სალექციო კურსი საერთოდ არ არსებობს. ამდენად, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების პირველ მცდელობას, რაც მნიშვნელოვნად წაადგება შესაბამისი მიმართულების სტუდენტების მიერ ამ პრობლემათიკის სათანადო დონეზე შესწავლას.

თემა 1. კონკურენციული ურთიერთობებისა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მიზანი, ამოცანები და ძირითადი მიმართულებები

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას თან მოჰყვა ქვეყანაში ახალი მოვლენებისა და ცნებების დამკვიდრება, რომლებიც საბაზრო რეფორმების აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ. კერძოდ, მათ განეკუთვნება კონკურენცია, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, კონკურენციული კანონმდებლობა და ანტიმონოპოლიური რეგულირება. იმ ქვეყნებში, სადაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპები თანდათანობით დაინერგა და განვითარდა, კონკურენციული კანონმდებლობის აუცილებლობაც თანდათანობით იქნა შეცნობილი და შემუშავებული. საქართველოში კი ისევე, როგორც პოსტკომუნისტური ფორმაციის სხვა ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკაზე რადიკალური გადასვლა განხორციელდა უადრესად მოკლე პერიოდში, რამაც შესაბამისად მოითხოვა კონკურენციული გარემოს დაჩქარებული ფორმირება, კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი კანონმდებლობის შექმნა, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის დაუყოვნებლივ შემუშავება და ანტიმონოპოლიური რეგულირების ეფექტური მექანიზმის პრაქტიკული რეალიზაცია.

საქართველოში კონკურენციული კანონმდებლობის შექმნა, რომელიც ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, განპირობებულია იგივე მიზეზებით, რაც ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ესაა ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა, მონოპოლიზაციის შეზღუდვა, კონკურენციის მხარდაჭერა და საერთოდ, პოლიტიკური დემოკრატიისათვის ეკონომიკური საფუძვლების შექმნა.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შეადგენს კონკურენციის სტიმულირება და კონკურენციული გარემოსათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ანტიმონოპოლიური რეგულირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. ანტიმონოპოლიური რეგულირება კი წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩარჩოებში სახელმწიფოს მიზანმიმართულ საქმიანობას მონოპოლიური მდგომარეობის

ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და სხვა ქმედებათა საწინააღმდეგოდ, რომლებიც იწვევენ ან შეუძლიათ გამოიწვიონ კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ქვეყნის სასაქონლო ბაზარზე.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთის მხრივ გამოყენებულ იქნას მაღალი ეფექტიანობის მქონე მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკის უპირატესობები, ხოლო მეორეს მხრივ განხორციელდეს კონკურენციის განვითარებაზე ამ ეკონომიკის შესაძლო ნეგატიური შედეგების განეიტრალება.

კონკურენციული პოლიტიკის გატარება აუცილებელი პირობაა საზოგადოებაში ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების დაფუძნებისათვის, რადგან კონკურენცია წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტურ საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდ როლს ასრულებს ანტიმონოპოლიური რეგულირება, რომლის მთავარი დანიშნულებაა კონკურენციის დაცვა და სტიმულირება.

ანტიმონოპოლიური რეგულირების საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება სასაქონლო ბაზრების სისტემატიურ მონიტორინგს, მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა და ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების საბაზრო ქცევის შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში კონტროლისა და ეკონომიკური რეგულირების ეფექტიანი მექანიზმის ამოქმედებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ანტიმონოპოლიური რეგულირება წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩარჩოებში სახელმწიფოს და მისი უფლებამოსილი ორგანოების მიზანმიმართულ საქმიანობას მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და სხვა უკანონო ქმედებათა საწინააღმდეგოდ, რომლებიც იწვევენ ან შეუძლიათ გამოიწვიონ კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ქვეყნის სასაქონლო ბაზარზე და შესაბამისად მომხმარებელთა უფლებების შელახვა.

კონკურენცია, ეკონომიკური თვალსაზრისით, შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბრძოლა გამყიდველებს შორის ბაზრის გარკვეული სეგმენტისათვის. ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძირითადი ყურადღება

ექცევა კითხვების – „რა ვაწარმოო“, „როგორ ვაწარმოო“, „რამდენი ვაწარმოო“ და „როგორ იქნება განაწილებული შემოსავალი“ – ოპტიმალურ გადაწყვეტას. ამასთან, ეკონომიკის მართვის ბერკეტი რჩება საბაზრო-საფასო მექანიზმს იმ მოსაზრებით, რომ საბაზრო სისტემის ცენტრში აუცილებლად იქნება კონკურენციული გარემო.

რა არის მოსალოდნელი კონკურენციისაგან?

– წყაროების (რესურსების) ეფექტიანი განაწილება;

– მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალურად შესაძლებელი წარმოება;

– ტექნოლოგიური სიახლეების წახალისების მეშვეობით მწარმოებლურობის ამაღლება, რისი მეშვეობითაც ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის ტემპის დაჩქარება და საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება.

თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტის მ. პორტერის თეორიის შესაბამისად კონკურენციის არსი ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, როგორც შიდა ისე საგარეო ბაზარზე გამოიხატება შემდეგი ხუთი ელემენტით:

1) ახალი კონკურენტების წარმოქმნის საშიშროებით;

2) საქონლის ან მომსახურების შემცველთა წარმოქმნის საშიშროებით;

3) მაკომპლექტებელი ნაწარმის მომწოდებელთა ვაჭრობის უნარით;

4) მყიდველთა ვაჭრობის უნარით;

5) არსებულ კონკურენტებს შორის მეტოქეობით.

თითოეული მათგანის მნიშვნელობა იცვლება დარგიდან დარგში და საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს დარგების მომგებიანობას.

აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ კონკურენცია თავისთავად სტატიკური მოვლენა კი არ არის არამედ დინამიური და განვითარებადი პროცესია და ამიტომაც კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის შესანარჩუნებლად ფირმები და კომპანიები იძულებული არიან თვითონვე დროულად თქვან ხოლმე უარი თავიანთ ძველ კონკურენციულ უპირატესობებზე და შექმნან ახალი. კონკურენცია, როგორც პროცესი, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში. კონკურენცია, თუ მას არ ეღობება ბარიერები, გამოდის როგორც მთავარი მამოძრავებელი

ძალა საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესისათვის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

როგორც დაახლოებით ორასწლიანი გამოცდილება აჩვენებს, საბაზრო სისტემა არასოდეს თითონ არ ქმნიდა და არ ქმნის გარემოს თავისუფალი კონკურენციისათვის; უფრო მეტიც, გარედან ჩარევის გარეშე სისტემა გამოხატავს მისწრაფებას „მონოპოლიზაციისაკენ“. ეს კი აიძულებს საზოგადოებას კონკურენციის უზრუნველსაყოფად, კონკურენციის დასაცავად და საერთოდ, საკონკურენციო პოლიტიკის შექმნისა და სრულყოფისათვის მოახდინოს სპეციალური საკანონმდებლო მექანიზმის მიღება და რეალიზაცია.

ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციული გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის, შესაბამისად მომხმარებელთა უფლებების ჯეროვანი დაცვისათვის საბაზრო რეფორმების მიმდინარეობის პარალელურად აუცილებელია, სათანადო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის ფორმირება და შემდგომი სრულყოფა.

საკონკურენციო (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობის შექმნა მოამზადა ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის მიზეზებმა. ეკონომიკური თვალსაზრისით აღნიშნული კანონმდებლობის წარმოქმნა განაპირობა კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებაში მომხდარმა ხარისხობრივმა ცვლილებამ – თავისუფალი კონკურენციის ეპოქის მონოპოლიურით შეცვლამ.

მონოპოლიური გაერთიანებების – ტრესტების შექმნისა და საქმიანობის დასაწყისშივე ცხადი გახდა მათი დამანგრეველი ზემოქმედება, როგორც ეკონომიკაზე, ისე საზოგადოებისა და ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, პირველი ანტიტრესტული კანონი აშშ-ს კონგრესმა მიიღო ამერიკული საზოგადოებრიობის და უპირველეს ყოვლისა ფერმერებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა მხრიდან ძლიერი დაწოდის შედეგად, რომელთაც გაუჩნდათ საფუძვლიანი შიში კომპანიათა მცირე ჯგუფის გაძლიერების და მათ ხელში საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის მიმართ, რაშიც ხედავდნენ საფრთხეს მეწარმეობისა და საერთოდ დემოკრატიული განვითარებისათვის.

კანონმდებლობის წარმოშობის მეორე ძირითადი მიზეზი აიხსნება ზოგადი სამოქალაქო სამართლის გარკვეული შეზღუდულობით და იმ ფაქტით, რომ მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონოპოლიზების პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები აშკარად არაადეკვატური და არასაკმარისი იყო. ეს კი მოითხოვდა საკონკურენციო სამართლის გამოყოფას სამოქალაქოდან და ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრირებას კონკურენციის საკითხებზე, რაც თავის მხრივ მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს ამ მიმართულებით საქმეთა განხილვის ოპერატიულობის ამაღლებას.

მართალია, კონკურენცია ახდენს მთელი საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზირებას, მაგრამ საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების საკითხი წყდება ძირითადად სხვა ძალების (საბაზრო ძალების) მეშვეობით. მიისწრაფვის რა კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად, საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობა მიიჩნევს, რომ საბაზრო სისტემა (თავისუფალი მეწარმეობა) თვითონ გადაწყვეტს საბაზრო ეკონომიკის ძირითად საკითხებს.

საბაზრო სისტემა ასევე თვლის, რომ პრინციპში მომხმარებელი განსაზღვრავს, თუ რა და რამდენი უნდა იქნეს წარმოებული (იმის და მიხედვით მომხმარებელს სურს შესაბამისი საქონლის შექმნა თუ უარს ამბობს მის შექმნაზე). გარდა ამისა, კონკურენცია მწარმოებელთა შორის განსაზღვრავს თუ კონკრეტულად ვინ უნდა აწარმოოს ეს საქონელი (შესაბამისი ხარისხის საქონლის მინიმალურ ფასად წარმოების გზით).

აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ თავისუფალი ბაზრის სასარგებლოდ არსებული ეკონომიკური მტკიცებულებები შორს არიან იმ აზრისაგან, რომ ბაზარი ყოველთვის სწორად ფუნქციონირებს და ავტომატურ რეჟიმში ახერხებს კონკურენციის დაცვას. პირიქით, ხშირ შემთხვევაში საბაზრო მექანიზმი გარედან ჩარევის გარეშე ვერ უზრუნველყოფს კონკურენციული გარემოს შექმნასა და დაცვას. ადგილი აქვს ხოლმე შეთანხმებებს ცალკეულ საქონელმწარმოებლებს შორის პროდუქციაზე ფასების ზღვრულ დანახარჯებზე გაცილებით ზემოთ დაფიქსირების თაობაზე. იმავე დროულად ხდება ხოლმე სასაქონლო ბაზრის ამა თუ იმ

სეგმენტის მონოპოლიზება, რასაც შედეგად საბოლოო ანგარიშით მოყვება მომხმარებელთა უფლებების შელახვა. ამიტომ საკონკურენციო კანონმდებლობა ყველა ქვეყანაში მოწოდებულია სწორედ საბაზრო მექანიზმის ზოგიერთი ნეგატიური ნიშნების გამოსწორებისა და გარკვეულწილად სახელმწიფო რეგულირებისათვის. კონკურენციის გარდა მომხმარებლის კეთილდღეობაზე ზრუნვა შესაძლებელია სხვა მექანიზმებითაც: კერძოდ, ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებამდე (ფეოდალურ ეპოქაში) აღნიშნული ხორციელდებოდა გარკვეული სტატუსისა და ტრადიციების საფუძველზე. უფრო შემდგომ კი ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში, სწორედ ეს უკანასკნელი, ანუ ცენტრალიზებული დაგეგმვა ცვლიდა თავისუფალ ბაზარს სახელმწიფოს მხრიდან სრული კონტროლით.

ბაზრის ეკონომიკური კანონები ფიასკოს განიცდიან, თუ მათ არ შეუძლიათ უზრუნველყონ საზოგადოების მაქსიმალური კეთილდღეობა და ისეთ შედეგებამდე მიყვავართ, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროებზე. ხშირ შემთხვევაში ხდება ბაზრის ან მისი რომელიმე ნაწილის მონოპოლიზება. მონოპოლიზებული ბაზრი კი რადიკალურად განსხვავდება კონკურენციული ბაზრისაგან; განსხვავებულია რესურსების განაწილება, შემოსავლების განაწილება და საზოგადოების კეთილდღეობისადმი მიდგომაც კი. კერძოდ, ბაზრის მონოპოლიზების დროს, როგორც წესი, ხორციელდება სიმდიდრის გადაღინება მომხმარებელიდან გამყიდველისაკენ, მცირდება პროდუქციის წარმოება. კლებულობს წარმოებაში სიახლეთა დანერგვის მოტივაცია და სწრაფვა ეფექტიანობის გაზრდისაკენ. ამ თვალსაზრისით საქართველოში საკონკურენციო კანონმდებლობის ფორმირება განპირობებულია იგივე მიზეზებით, რაც ნებისმიერი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ესაა ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა, მონოპოლიზების შეზღუდვა, კონკურენციის დაცვისა და განვითარების მხარდაჭერა და საერთოდ პოლიტიკური დემოკრატიისათვის ეკონომიკური საფუძვლების შექმნა.

ასევე ანტიტრესტული კანონმდებლობის შექმნიდან დღემდე იგი უფრო მოქნილი და მიზანმიმართული გახდა

და შეიძინა სისტემური ხასიათი. უმრავლეს ქვეყნებში კონკურენციული კანონმდებლობა წარმოადგენს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კომპლექსს, რომელიც მიღებულია საკონკურენციო პოლიტიკის გატარების მიზნით სპეციალური ურთიერთდაკავშირებული ზომების სისტემის მეშვეობით.

საკონკურენციო კანონმდებლობა, როგორც წესი, მოიცავს მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის რეგულირების სამ ძირითად ზომას (პროცედურას): შეზღუდვას, გამაფრთხილებელს და აღმკვეთს. იგი ძირითადად ხორციელდება სამი მიმართულებით: 1) ანტიკონკურენტული შეთანხმებები; 2) დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; 3) საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაცია.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, რომლებიც დაადგინეს საბაზრო რეფორმების გზას, განსაკუთრებით აქტუალურია საკონკურენციო კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაცია. საქმე იმაშია, რომ ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა, როგორც წესი, ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს მაღალმონოპოლიზებული მეურნეობის პირობებში. ამასთან, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს გააჩნიათ სამეწარმეო სფეროში უშუალო ჩარევის რამდენიმე ათეულწლოვანი ტრადიცია და შესაბამისად მოთხოვნილება. ცენტრალიზებულ ეკონომიკას ახასიათებდა რა კონცენტრაციის მაღალი დონე, საქონლის გაცვლის მაგივრად ხშირად ხორციელდებოდა მისი განაწილება, მეურნეობა მეტ-ნაკლებად ნატურალიზებული იყო, ხოლო მატერიალური დოკლათის მოხმარება – ნორმირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონკურენციო პოლიტიკამ აქტუალური როლი უნდა შეასრულოს ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესში. თავისებურებები ზეგავლენას ახდენენ ამ ქვეყნების ეროვნული საკონკურენციო კანონმდებლობების ხასიათზე და მათი პრაქტიკული განხორციელების პროცედურებზე. რაში გამოიხატებოდა ეს თავისებურებანი საქართველოსათვის? ჯერ ერთი, საკონკურენციო კანონმდებლობის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა ხორციელდებოდა წამყვანი ქვეყნების დიდი გამოცდილების საფუძველზე, რაც საშუალებას იძლეოდა კანონებში ასახული ყოფილიყო

ყველზე უფრო მნიშვნელოვანი და მრავალგზის აპრობირებული დებულებები. მეორე, საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობა ითვალისწინებდა ქართული სინამდვილის მრავალ ფაქტორს. მათ შორის, ეკონომიკურს, იურიდიულს და პოლიტიკურს. სიახლეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მასში ჩართულ იქნა დებულებები, რომლებიც ეხებოდა აკრძალვებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან მიღებულს კონკურენციის შემზღუდავ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს. ამგვარი რამ უცხოა დასავლეთის ქვეყნების მოდელებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლის 3 ივნისს მიღებული კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კიდევ უფრო აძლიერებს ამ მიმართულებას და აყალიბებს სახელმწიფო დახმარებებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების რეგულირების მექანიზმს. კერძოდ, განსაზღვრავს იმ გამონაკლისებს, რა შემთხვევაშიც შეიძლება ნება დაერთოს მათ გამოყენებას. მესამე, გარდამავალი ეკონომიკის და მათ შორის, საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობა საკითხებისადმი უფრო ფართე გაგებას მოიცავდა. კერძოდ, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ტრადიციული მიმართულებების გარდა (შეზღუდა, აღკვეთა, გაფრთხილება) იგი გარკვეულად არეგულირებდა სასაქონლო ბაზრის დემონოპოლიზაციისა და პრივატიზების პრობლემატიკასაც.

ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რიგი პოზიტიური საკანონმდებლო ნოვაციის მიუხედავად, ჯერჯერობით ჩვენი ქვეყნის კონკურენციული კანონმდებლობა საკმაოდ შორსაა სრულყოფილებისაგან და სამწუხაროდ, მისი ზოგიერთი ნაწილი აშკარად ვერ პასუხობს კონკურენციის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მოთხოვნებს, რადგან მნიშვნელოვნად არის დაცვილებული კონკურენციის დაცვისა და რაციონალური კონკურენციული გარემოს მახასიათებელი ადეკვატური საკონკურენციო სამართლებრივი ნორმებისაგან. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონს, რომელსაც ჩარჩო-კანონის როლი აკისრია საქართველოს კონკურენციულ კანონმდებლობაში როგორც იერარქიული, ისე ფუნქციონალური დატვირთვის თვალსაზრისით და

ამდენად, ბუნებრივია უფრო მეტი მოთხოვნებიც წაყენება. საქართველოს მთავარი საკონკურენციო კანონი, სამწუხაროდ არ არეგულირებს საკონკურენციო სამართლის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა:

- დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- კონკურენციის შემზღუდავი პორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები;
- სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებები;
- ეკონომიკურ აგენტთა შერწყმები;
- განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა (ბუნებრივი მონოპოლიები) კომპეტენციის სფეროები.

საკონტროლო კითხვები:

- * რა მიზეზებმა განაპირობეს საქართველოში კონკურენციული კანონმდებლობის შექმნა?
- * რა ითვლება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებად?
- * რას ეწოდება ანტიმონოპოლიური პოლიტიკა?
- * როგორ განისაზღვრება ანტიმონოპოლიური რეგულირების ცნება?
- * მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის რეგულირების რა ძირითად ზომებს იცნობს საკონკურენციო კანონმდებლობა?
- * საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობა რა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება?
- * საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობის ჩარჩო კანონი საკონკურენციო სამართლის რომელ ძირითად საკითხებს არ არეგულირებს?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

შემოსული № _____ 33.

" " _____ 200 წ.

ხელმოწერა _____ 17

თემა 2. კონკურენციული (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობის შექმნისა და განვითარების ისტორია. კონკურენციული კანონმდებლობის რეალიზაციის მოდელები. საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კონკურენციული კანონმდებლობისა და კონკურენციის ორგანოების მოკლე დახასიათება

სიტყვა „კონკურენცია“ (competition, concurrence, wettbewerb) ლათინური წარმოშობისაა „concurrentia“ (concurrere)-დან და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს – შეტაკებას, შეჯახებას.

თუ ჩავუღრმავდებით ზოგადად კონკურენციის ისტორიას, მისი ფესვები მიდის უძველეს დრომდე. მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, იგი სათავეს იღებს ძველი რომიდან და ასახულია რომის იმპერატორთა იმ დეკრეტებში, რომლითაც ცალკეულ საქონელზე მტკიცე ფასები იყო დაწესებული, რაც სპეკულაციური მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა მიზნად (მაგალითად, იმპერატორი დიოკლეტიანის დეკრეტი ფასებზე და სხვა).

ზოგადი ხასიათის პირველ ანტიმონოპოლიურ კანონად, რომელშიც თვით ტერმინი „მონოპოლია“ პირველადაა მოხსენიებული, ითვლება იმპერატორ ზენონის კონსტიტუცია ფასების შესახებ (483 წელი).

კონკურენციის პოლიტიკის განვითარებას ფართო გასაქანი მიეცა კაპიტალიზმის პირობებში. ის არის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საწინდარი, რომელიც ასტიმულირებს მოთხოვნის მქონე პროდუქციის ფართო ასორტიმენტის წარმოებას საჭირო რაოდენობით უფრო ნაკლებ ფასად, უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და საჭირო ცვლილებებს ბაზრის სტრუქტურაში. გარდა ამისა, აქტიური კონკურენცია, ხელს უწყობს მოთხოვნის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ ასტიმულირებს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას.

კონკურენციას განსაკუთრებული და პირველადი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკაში, ის არის საბაზრო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ელემენტი და წარმოადგენს ბაზრის სიმბოლოს, რომლის გარეშე შეუძლებელია საბაზრო სისტემის საფუძვლების დაცვა, თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის განხორციელება, ცალკეული პერიოდისათვის სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და მომხმარებლისათვის მისაღები ფასის ფორმირება.

საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება ხდება უშუალოდ ბაზარზე; რომელიც რაც უფრო კონკურენციულია ბაზარი, მით უფრო მოგებულია საზოგადოება. ამდენად, კონკურენცია საბაზრო ეკონომიკაში ფასწარმოქმნის მექანიზმის ისეთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, რომლის (სამართლიანი კონკურენციული გარემოს) არსებობის საჭიროება უკვე დიდი ხანია აღიარებულია მთელ მსოფლიოში. თუმცა ისიც ცხადია, რომ ისტორიულად ფართო გამოყენება ეკონომიკურმა კონკურენციამ მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდა შუასაუკუნოანი პრივილეგიების ლიკვიდაცია და კაპიტალიზმის დამკვიდრება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ კონკურენციის მთავარი მიზანი არის უპირატესობის მოპოვება ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის და მაქსიმალური მოგების მიღება უპირატესობის მიღწევის ხარჯზე. მოუხვდავად იმისა, რომ ეს მიზანი წარმართავს ბაზრის განვითარებას მისი წარმოშობის პირველივე დღიდან, სრულყოფილი თეორიული მიდგომები კონკურენციული ბრძოლის მამოძრავებელ ძალებზე წარმოიშვა მხოლოდ XVIII საუკუნის შუა წლებში, რაც თავის მხრივ, ძირითადად კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის წარმომადგენელთა დამსახურებაა. ისინი კონკურენციას განიხილავდნენ, როგორც თავისთავად არსებულს (ცხადს), რომელიც თავის მხრივ მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგს და შემოსისაზღვრება მხოლოდ სუბიექტური მიზეზებით. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის წარმომადგენელია შრომებში ძირითადი ყურადღება ექცეოდა ფასთა კონკურენციას.

ა. სმითმა პირველმა დაამტკიცა, რომ მოგების ნორმათა გათანაბრების მეშვეობით კონკურენცია განაპირობებს შრომისა და კაპიტალის ოპტიმალურ განაწილებას. კონკურენციამ უნდა დააბალანსოს კერძო ინტერესები და ეკონომიკური ეფექტიანობა. ამ მიდგომით ა. სმითი კონკურენციას აიგივებს ბაზრის „უხილავ ხელთან“, ანუ მის ავტომატურ მექანიზმთან.

სრულყოფილი კონკურენციის მოდელი, რომლის თეორიული საფუძვლები ჩამოაყალიბა ა. სმითმა, მთლიანად გამორიცხავს რაიმე სახით ბაზრის არსებით კონტროლს. ამ თეორიით, მაკორდინირებელ ელემენტად დეცენტრალიზებულ ეკონომიკაში გამოდის ფასების სისტემა.

განავითარა რა ბაზრის საფასო კონკურენციის მეშვეობით რეგულირების იდეა დ. რიკარდომ შექმნა სრულყოფილი

კონკურენციის თეორიული მოდელი. მან აღწერა, თუ როგორ ფუნქციონირებს ასეთი სისტემა გრძელვადიან პერსპექტივაში.

დ. რიკარდოს მიერ განხილული მოდელისათვის, პრინციპულია ფასების დადგენის მექანიზმები როგორც მონოპოლიური, ისე კონკურენციული ბაზრის პირობებში.

სრულყოფილი კონკურენციის იდეა საშუალებას იძლევა გაგებულ იქნას, თუ გრძელვადიანი წონასწორობისას „ბუნებრივი ფასები“ როგორ უერთდებიან და შეესაბამებიან დეცენტრალიზებული მმართველობის პრინციპებს და როგორ უწყობენ ხელს კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას. ამ კონკრეტულ საკითხზე სავსებით გარკვეულად აქვს თავისი აზრი ჩამოყალიბებული ჯ.ს. მილს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონკურენციის თეორიის სრულყოფაში. კერძოდ, მის მიერ შემუშავებულ იქნა საერთაშორისო მოთხოვნის განტოლება, გამოყოფილ იქნა ბაზარზე ე. წ. არაკონკურირებადი ჯგუფები და ჩამოყალიბდა მოთხოვნის ფასითი ელასტიურობის კლასიფიკაცია, შეიმუშავა ეკონომიკური ცნებები, ალტერნატიული დანახარჯების მასშტაბებში.

ნეოკლასიკურმა სკოლამ, რომლის განვითარება XIX საუკუნეში დაიწყო, უფრო ზუსტად და სრულად წარმოადგინა სრულყოფილი კონკურენციის გაგენა ფასების სისტემაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად შეიძლება ჩათვალოს ა. მარშალის ნეოკლასიკური კონცეფციები. სწორედ, მან ჩაუყარა საფუძველი ე. წ. კონკურენციის ტექნოლოგიურ კონცეფციას, რაც კონცენტრაციას მასშტაბის ეკონომიასთან აკავშირებს.

ა. მარშალის კურსი გააგრძელა ჯ. რობინსონმა, რომელმაც გამოყო დარგი, სადაც კონკურენცია პრინციპში შეუძლებელია ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე. ამ დარგებში მოგვიანებით მიიღეს „ბუნებრივი მონოპოლიების“ სახელწოდება.

მთლიანობაში XIX საუკუნის ბოლო წლები და XX საუკუნის დასაწყისი არის პერიოდი, როდესაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბევრმა ადრე დამკვიდრებულმა თვალსაზრისმა ეკონომიკაში კონკურენციის როლის შესახებ. სრულყოფილი კონკურენციის არსებული მოდელით უკმაყოფილება წარმოშვა მოჭარბებულმა ყურადღებამ კონკურენციის მხოლოდ ერთი სახეობის – ფასებით კონკურენციის მიმართ. გარდა ამისა, ფასებით კონკურენციის მეშვეობით შეუძლებელი იყო კონკურენციის არსის წვდომა. სწორედ

ამიტომ, სრულიად განსხვავებული მიდგომა შემოგვთავაზა ი. შუმპეტერმა, რომელმაც კონკურენცია განიხილა როგორც თავისი ბუნებით დინამიკური პროცესი.

კრიტიკას იწვევდა ის გარემოება, რომ სრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური კონცეფცია უგულვებელყოფდა კონკურენციული საქმიანობის დინამიკას, იგნორირებას უკეთებდა დროითი ფაქტორის მნიშვნელობას და შემოიფარგლებოდა კონკურენტების აქტიურობის ზედაპირული მოტივაციით. წარმოადგენდა რა მხოლოდ ფორმალურ მოდელს, სრულყოფილი კონკურენციის თეორიას ჰქონდა ბევრი სერიოზული ნაკლოვანება.

XX საუკუნის ეკონომიკური აზროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს მონოპოლიური კონკურენციის თეორია, რომელიც უკავშირდება ედვარდ ჩემბერლინის სახელს. თუმცა, ის ისევე როგორც არასრულყოფილი კონკურენციის კონცეფციის შემუშავებელი ჯოან რობინსონი, მონოპოლიისა და კონკურენციის ურთიერთდამოკიდებულებას განიხილავდა უპირატესად ისტორიული კონტექსტის მიღმა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის შუა პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული იყო საერთო შეხედულებები კონკურენციის არსსა და მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალების შესახებ, რაც გამოხატულ იქნა საბაზრო სტრუქტურის ოთხ კლასიკურ მოდელში, როგორცაა – სრულყოფილი კონკურენცია, მონოპოლიური კონკურენცია, ოლიგოპოლიური კონკურენცია და აბსოლუტური მონოპოლია: თუმცა ისიც ცხადია, რომ ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული რეალიზაციის გამოცდილება მუდმივად არის ბიძგის მიმცემი შესაბამისი თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიმართულებით.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ თეორიული მოდელები, საჭიროებს შემდგომ განვითარებას და დაზუსტებას. ამასთან, რაც უფრო ახლოა რეალური საბაზრო სტრუქტურა კონკრეტულ მოდელთან, მით უფრო შესაძინევია მასში კონკურენციის აღწერილი მექანიზმები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კონკურენციის ჩამოთვლილი ოთხი მოდელის დახმარებით შეიძლება აღვწეროთ რეალური ბაზრების რთული და წინააღმდეგობრივი მდგომარეობის მთელი ნაირსახეობა. კონკურენციის მოდელების უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე შეიძლება ვიმსჯელოთ, პირველ რიგში, საბაზრო ურთიერთობების განვითარების

კონკრეტული ისტორიული ეტაპის კონკურენციის გამოცდილების და ბაზრის ეკონომიკური თავისებურებებიდან გამომდინარე.

კონკურენციული კანონმდებლობის რეალიზაციის მიღწევები. XIX საუკუნის ბოლოს მეცნიერ-ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა მიერ მხარდაჭერილ იქნა თეორია, რომლის თანახმად კონკურენციის პირობებში თითოეული მეწარმე სუბიექტი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე „უხილავი ხელის“ დახმარებით ახდენს (მიისწრაფვის) საუკეთესო გადაწყვეტილებების (რესურსების გადანაწილების კუთხით) მიღებას (მისაღებად) და ამ პროცესში რაიმე ფორმით ნებისმიერი არასაბაზრო ძალის (მთავრობა, შეზღუდვის მექანიზმების რაიმე ფორმით გამოყენება და ა.შ.) ჩარევა არაეფექტურია.

საუკუნის წინ, ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებიც დღეისათვის მაღალ-განვითარებულად ითვლებიან, ეკონომიკაში წამყვან როლს მცირე საწარმოებს ანიჭებდნენ. მოგვიანებით, ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს დამოუკიდებელმა მსხვილმა კორპორაციებმა, რომლებიც მსხვილი კაპიტალის ბრუნვით მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში. თუმცა, დაკვირვებიდან გამომდინარე ეკონომისტებმა დაასკვნეს, რომ მსხვილი საწარმოების მომრავლება აკნინებს კონკურენციას და ხელს უშლის არსებული რესურსების ოპტიმალურ ათვისებას.

საზოგადოდ, კონკურენციის პოლიტიკა ეფუძნება იმ ფუნდამენტურ ეკონომიკურ თეზისს, რომლის მიხედვითაც საბაზრო ძალაუფლების მოპოვებამ და მისმა გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს. კონკურენციული პოლიტიკის მექანიზმები „... საფუძველს უქმნიან საბაზრო ურთიერთობებს და ხელს უწყობენ ისეთი კონკურენტუნარიანი ფირმების შექმნასა და განვითარებას, რომლებსაც შეუძლიათ როგორც საქონლისა და მომსახურების მიწოდება საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისათვის, ასევე მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ვაჭრობასა და კონკურენციაში“¹.

კონკურენცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ დოქტრინებში და პოლიტიკურ კონცეფციებში განიხილება,

1 ა. ტუშური, ტ. ურჯუმილაშვილი, საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ მიმოხილვა, Tacis, ქართული სამართლის მიმოხილვა, I-II კვარტალი, 2000, გვ. 56-57.

როგორც წარმატებულად განვითარებადი ეკონომიკის საფუძველი. კონკურენციის დაცვა და ანტიკონკურენციული ქმედებების გამოკლება და აღკვეთა არის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ამოსავალი პრიორიტეტი, რომლის უზრუნველყოფის მიზნით დღეისათვის შექმნილია საკონკურენციო სამართლის ეროვნული სისტემები მსოფლიოს დაახლოებით 90 ქვეყანაში.

საზოგადოებას, რომელიც აშენებს თავისუფალ ეკონომიკური სისტემას, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი სწორედ კონკურენციის პოლიტიკაა. თუმცა იმისათვის, რომ ქვეყანამ რეალურად გააბატონოს კონკურენციული პოლიტიკა, არაა საკმარისი ამ მიმართულებით მხოლოდ შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის პოლიტიკა ესაა – სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფო ორგანოების მიდგომები და დამოკიდებულება, რომელთაც ევალებათ კანონით კონკურენციისადმი ზედამხედველობა შესაბამისი სახელისუფლო სტრუქტურის მეშვეობით.

კონკურენციის ეროვნული პოლიტიკა შეიძლება მოტივირებულ იქნეს სხვადასხვა მიზნებით, როგორცაა სამართლიანობა, წესიერება, ვაჭრობის წახალისება და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. პრაქტიკაში კონკურენციული პოლიტიკის გატარებისას ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეკონომიკური კონკურენცია არ იქნეს მიზანშეუწონლად შეზღუდული სახელმწიფოს ან კერძო ქმედებების საშუალებით. ხშირია შემთხვევები, როდესაც კერძო სექტორში მომწოდებლები ატარებენ კონკურენციის თავიდან აცილების პოლიტიკას, მაგრამ უფრო მძიმეა შედეგი, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უშლიან კონკურენციას არა აუცილებელი და შემზღუდველი წესების შემოღებით. კონკურენციის პოლიტიკას ხშირად „ანტიტრასტს“ უწოდებენ; იგი შედგება კონკურენციის კანონისა და კონკურენციის ადვოკატურისაგან, რომელთა მიზანს წარმოადგენს ისეთი საბაზრო ჩავარდნების გამოსწორება, რომლებიც წარმოიქმნიებიან კონკურენციის შემაფერხებელი კერძო და რეგულატორული ფაქტორებიდან. კონკურენციის ადვოკატურა აკეთებს საზოგადოებრივ ანალიზსა და შენიშვნებს კანონების, რეგულირების წესების და სახელმწიფო ორგანოების სხვა საქმიანობის შედეგად

გამოწვეული კონკურენციის შეზღუდვის შედეგებზე. ის იყენებს ინსტიტუციონალურ საშუალებებს აუცილებელი და შემზღუდავი ქმედებებით გამოწვეული ზიანის გამოსააშკარავებლად და გამოსწორებისათვის. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კონკურენციის სააგენტო, ჩვეულებრივ, საკონსულტაციო ბიუროა, ე. კონკურენციის სააგენტო მოქმედებს როგორც ადვოკატი და უზრუნველყოფს რეგულირების წესების ანალიზსა და რეკომენდაციებს, მაგრამ არ გააჩნია სხვა ორგანოებზე იძულების მოხდენის უნარი. აღნიშნულის საპირისპირო რელობაა ზოგიერთ, რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც კონკურენციის ადვოკატურას კანონის ძალით მოქმედების უნარი აქვს (მაგალითად უნგრეთსა და ყაზახეთში).

ზოგიერთი ინდუსტრიული ქვეყნის კონკურენციის კანონები (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია და ევროპის კავშირი) ხშირად გამოიყენება მოდელის სახით რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ამასთან, ინდუსტრიული ქვეყნების იურიდიული სტანდარტები ხანდახან რეცეპტის სახით გამოეწერებათ ხოლმე რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს. ეს რეცეპტები შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იურიდიული სტანდარტი ეფექტურობას შეინარჩუნებს სხვა სახელმწიფოს კომერციულ გარემოში. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული რეფორმირებადი ქვეყნის ეკონომიკური დიაგნოსტიკის საიმედოობაზე.

ამიტომ, კონკურენციის ის კანონები, რომლებიც რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არც თუ იშვიათად ინდუსტრიული ქვეყნების კანონმდებლობის თარგმანს წარმოადგენს, ხშირად არ ამართლებს, რადგან ამ ქვეყნებში არა მხოლოდ ეკონომიკური ორიენტირება განსხვავებული, არამედ ეროვნული ინსტიტუტების ეფექტურობის ხარისხიც.

საზოგადოდ, კონკურენციის ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია შიდა და გარე ბაზარზე, ხელს უწყობს ქვეყნის ჩართვას შრომის საერთაშორისო განაწილებისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების პროცესში, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ქვეყნის მონაწილეობას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, ევროსაბჭოსა და სხვა ეკონომიკურ კავშირებში. ამდენად, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს შიდა საბაზრო (ეროვნული) ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და კონკურენციის პოლიტიკის თანმიმდევრული გატარება.

კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის (competition law) წარმოშობა განპირობებულია ეკონომიკაზე მონოპოლიების დამაშურებელი ზემოქმედების განეიტრალების, ეკონომიკური აგენტებისათვის ბაზარზე თავისუფალი შესვლის უზრუნველყოფის და კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირების აუცილებლობით; ასევე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის მათი მხრიდან ზედმეტი ე.წ. მარეგულირებელი ჩარევის და დაუშსახურებელ უპირატესობათა მინიჭების მოსაზობის, მსხვილი ინფრასტრუქტურული ბიზნესის, არათავისუფლად ბრუნვად საქონლის რეალიზაციით დაკავებულ საწარმოსთა მიერ ბარერების აღმართვაში ხელის შეშლის საჭიროებით.

ეკონომიკური თვალსაზრისით კონკურენციული კანონმდებლობის წარმოქმნა განაპირობა კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებაში მომხდარმა ხარისხობრივმა ცვლილებამ – თავისუფალი კონკურენციის ეპოქის მონოპოლიურით შეცვლამ, ხოლო იურიდიული თვალსაზრისით – იმ გარემოებებში, რომლის თანახმადაც, მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით მონოპოლიზების პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ზომები უკვე აშკარად არა აღეჭრატური და არასაკმარისი იყო. ეს კი მოითხოვდა კონკურენციის სამართლის გამოყოფას სამოქალაქოდან და ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრირებას კონკურენციის საკითხებზე.

კონკურენციის კანონმდებლობის ცნების ქვეშ მოიაზრება სხვადასხვა ქვეყნების ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმებთან ერთად, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება კონკურენციის რეგულირება საერთაშორისო ბაზრებზე.

თავისთავად კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულება დიდად არის დამოკიდებული იმ მიზნებსა და ცნებებზე, რომლებსაც თვითონ ეს კანონმდებლობა ეყრდნობა. კონკურენციის კანონები განვითარებად ქვეყნებში უმთავრესად ეყრდნობიან ორ ძირითად ცნებას: 1) ბაზრის ძალას და 2) დომინირებას.

„საბაზრო ძალის“ ცნება უდევს საფუძვლად აშშ-ის, ხოლო „დომინირების“ ცნება ევროპის კავშირისა და მის წევრი ქვეყნების კანონმდებლობას. აღნიშნული ცნებები ასევე იქნა გათვალისწინებული რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კონკურენციის კანონებში. მაგალითად, საქართვე-

ლოს კანონმდებლობა 2005 წლის 3 ივნისამდე ეფუძნებოდა „დომინირებას“ (მონოპოლიურ მდგომარეობას), ხოლო ქვეყნის ახალი საკონკურენციო სამართალი, კერძოდ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი, სამწუხაროდ უარყოფს როგორც ერთს ისე მეორეს.

„საბაზრო ძალასა“ და „დომინირებას“ შორის არსებული განსხვავება თვალშისაცემია კანონის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში. კერძოდ, თუ ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკურ აგენტთა შერწყმის კონტროლის მექანიზმებს, დავინახავთ, რომ კონკურენტი ეკონომიკური აგენტები ხშირად ერწყმიან ერთმანეთს, რათა მოხდეს დუბლირებული აქტივებისა და შესაბამისი პერსონალის (მუშა-მოსამსახურეთა) რაციონალიზაცია (დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით). თუ შერწყმული ეკონომიკური აგენტების ხვედრითი საბაზრო წილი მცირეა, ბაზრის ძალაზე დაფუძნებული კონკურენციის კანონი კონცენტრაციის ზრდაში ვერაძაირ საშიშროებას ვერ ხედავს. უფრო მეტიც, ასეთი კანონი ამ სახის შერწყმებს სასარგებლოდაც კი მიიჩნევს, რადგანაც ის ხშირად ახალისებს შედარებით დაბალ ფასებს. კანონით ასეთი შერწყმანებადართულია, ხოლო კანონი რომელიც დომინირებაზე აგებული, შეიძლება კრძალავდეს („მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის კანონი კრძალავდა) დისტრიბუტორების შერწყმას და მასთან დაკავშირებულ კონკურენციის სასარგებლო მახასიათებლებს.

ფართო გაგებით, კონკურენციის კანონის გატარების ეფექტურობა დამოკიდებულია კონკურენციის სააგენტოსა და სასამართლო სისტემის მუშაობაზე. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გამოკვლევებს კონკურენციის სფეროში მოეთხოვებათ იმის შეფასება, თუ რამდენად საკმარისია საბაზრო ძალები კონკურენციისადმი მიყენებული ზიანის აღსაკვეთად. ამასთან, თუ სხვა ყველაფერი თანაბარია (ბაზრის ბარიერები მინიმალურია), კარგად განვითარებული ბაზრის არსებობისას, კონკურენციის კანონის მოქმედების არეალი უნდა იყოს შედარებით შეზღუდული. ხშირ შემთხვევაში საბაზრო მექანიზმები მყიდველებს, მცირე ზომის საწარმოებსა და ინვესტორებს აწვდიან ბევრ კომერციულ ალტერნატივას რაც კონკურენციას შესაძლო ზიანსაგან თავისუფლებს ამგვარად, სადაც საბაზრო მექანიზმი ეფექტურია, კონკურენციის სააგენტო ჩარევა უნდა იყოს მინიმალური.

კანონები და რეგულირების წესები დიდ გავლენას ახდენენ ქვეყანაში კონკურენციის სიცოცხლისუნარიანობაზე, ბაზრების მასშტაბებსა და ზომებზე. მომწოდებლის კონცენტრაციის დონეზე, ბაზარზე შესვლისა და გასვლის პირობებზე, პოტენციური მომწოდებლის დანახარჯებსა და ეფექტიანობაზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თვალში საცემი სხვაობა არსებობს ინდუსტრიულ და რეფორმირებად ქვეყნებში არსებულ კონკურენციის სააგენტოებს შორის. პირველ შემთხვევაში სააგენტო როგორც წესი რჩევითი ფუნქციის განმხორციელებელია. მას შეუძლია მხოლოდ რჩევები გასცეს და ძალას ვერ დაატანს სხვა სამთავრობო ორგანოებს ეკონომიკური რეგულირებისა და პოლიტიკის საკითხებზე. ამასთან არსებობს საპირისპირო პრაქტიკაც, როდესაც ანტიკონკურენციული ქმედებებისას, დამრღვევების მიმართ შემოღებულია მკაცრი საჯარიმო სანქციები.

ჩვეულებრივ ანსხვავებენ კონკურენციული კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს, რომელთაგან პირველი (მისი ყველაზე ნათელი გამგეობაა აშშ-ს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა) გამოდის რა ბაზრის მონოპოლიზების წინააღმდეგ თავიდანვე (დომინირებული მდგომარეობის დაკავებაზე) მკაცრ კონტროლს აწესებს ამ პროცესებზე, რომელიც ხორციელდება, ძირითადად ეკონომიკურ აგენტთა შერწყმისა და გაერთიანების საფუძველზე. ანტიტრესტულ კანონმდებლობაში ჩართულია აგრეთვე ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ. ეს მოდელი, გარდა აშშ-ისა, მოქმედებს კანადაში, იაპონიაში, არგენტინაში და ა.შ.

კონკურენციის კანონმდებლობის ევროპული მოდელი კი, უპირველეს ყოვლისა მიმართულია მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მონოპოლიებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფისაკენ; ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ ევროპულ მოდელში გამოყოფილია ცალკე კანონის რეგულირების სფეროდ. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში; ასევე, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ესეა, უშუალოდ განვიხილოთ კონკურენციული პოლიტიკის ამერიკული და ევროპული მოდელები, მათი ძირითადი პარამეტრები, მახასიათებლები და აღსრულების მექანიზმები.

ამერიკული მოდელი (აშშ). საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონკურენციის კანონმდებლობის საფუძველში დევს აშშ-ში 1890 წელს მიღებული პირველი ფედერალური კანონი, შერმანის აქტის სახელწოდებით (Sherman Act 1890), რომელიც აშშ კონგრესმა მიიღო ამერიკული საზოგადოებრიობის და უპირველეს ყოვლისა, ფერმერებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა მოთხოვნით.

შერმანის კანონმა ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა აშშ-ში კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციას ფედერალურ დონეზე რაც შეეხება, ცალკეულ შტატებს, მათ დონეზე ანტიტრესტული კანონმდებლობა უფრო ადრეც არსებობდა. კერძოდ, ალაბამის შტატის მიერ 1883 წელს მიღებულ იქნა პირველი ანტიტრესტული კანონი, რომლის კვალდაკვალ კანზასისა და კიდევ სხვა ხუთ შტატში მიღებულ იქნა კანონები, რომლითაც უკანონოდ და დასჯადად გამოცხადდა ყოველგვარი გაერთიანება ვაჭრობის შევიწროებისა და შეზღუდვის კუთხით. ამდენად, შერმანის კანონის მიღების პერიოდისათვის აშშ-ს რამოდენიმე შტატში უკვე მოქმედებდა ანტიტრესტული კანონები.

როგორც კონკურენციის სამართლის ცნობილი სპეციალისტები ვ. გელხორნი და ვ. კოვასიკი თავიანთ ნაშრომში „ანტიტრესტული კანონმდებლობა და ეკონომიკა“ აღნიშნავენ, „ისტორიულად ამ კანონების საფუძველი (საწყისი) დევს საერთო სამართლის დებულებებში, რომლებიც მიმართული იყო ვაჭრობის შემზღუდველი საქმიანობის შემცირებაზე... თვითონ ამ კანონის ტერმინოლოგია კი მნიშვნელოვანწილად აღებულია „საერთო სამართლის ლექსიკონიდან“.

თავის მხრივ, საერთო სამართლის არასრულყოფილებამ წინ აღდგომოდა კომპანია-გიგანტების მხრიდან ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთას, XIX საუკუნის ბოლოს დღის წესრიგში დააყენა ისეთი საკანონმდებლო აქტის მიღების აუცილებლობა, რომელიც მაქსიმალურად შეზღუდავდა კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე დომინანტი კომპანიების ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. შედეგად 1914 წელს მიღებულ იქნა კლეიტონის და ფედერალური სავაჭრო კომისიის შესახებ კანონები.

ამდენად, დღეისათვის აშშ-ში, რომელიც წარმოადგენს ანტიტრესტული კანონმდებლობის სამშობლოს, ფუნქციონირებს კონკურენციული ეკონომიკის უზრუნველმყოფი სამი ძირითადი

კანონი – 1) შერმანის (1890 წ.), 2) კლეიტონისა (1914 წ.) და 3) ფედერალური სავაჭრო კომისიის შესახებ. (1914 წ.)

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს ანტიტრესტული კანონმდებლობით იკრძალება არა კომპანიათა მონოპოლიური მდგომარეობა, არამედ ამ მდგომარეობის მოპოვების არაკეთილსინდისიერი ცსები რაც ძირითადი ბაზრიდან კონკურენტების მოშორებაში გამოიხატება აშშ-ში შერმანის, კლეიტონისა და ფედერალური სავაჭრო კომისიის შესახებ ძირითადი ანტიტრესტული კანონების გარდა კიდევ არსებობს რიგი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც მოლიანობაში შეადგენს ანტიტრესტულ კანონმდებლობას. ამ უკანასკნელს მიეკუთვნებიან ასევე ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ითვალისწინებს საერთო წესებიდან გამონაკლისებს („ბუნებრივი მონოპოლიები“), და ის ნორმატიული აქტები, რომლებიც მიღებულია უწყებრივი რეგულირების დონეზე და მიზნად ისახავს ბაზრის მონაწილეებისათვის ანტიტრესტული კანონმდებლობის გამოყენების წესის განმარტებას.

აშშ-ს ანტიტრესტული კანონმდებლობა, ისევე როგორც სხვა განვითარებული ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობა, ითვალისწინებს რიგ გამონაკლისს ზოგადი წესებიდან. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ბუნებრივად იქნა აღიარებული ცალკეული მონოპოლიების არსებობა, შერმანის კანონის მოქმედების არეალიდან ამოღებულ იქნა სატელეფონო და სატელეგრაფო კომპანიები („კომუნიკაციების ფედერალური კომისიის შესახებ“ 1934 წლის კანონი), კომუნალური მომსახურების კორპორაციები (ენერჯეტიკის ფედერალური კომპანიების შესახებ“ 1935 წლის კანონი) და ა.შ. აღნიშნული კანონები ითვალისწინებს ნებართვების გაცემას სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად კავშირგაბმულობისა და ელექტროენერჯეტიკის სფეროში და იმავედროულად იცავს იმ კომპანიების მონოპოლიურ უფლებებს, რომლებიც საქმიანობენ ამ დარგში.

გარდა ამისა, კონკურენციის კანონმდებლობის გამონაკლისების დაშვების ბლოკი მოიცავს საგარეო-ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროსაც. კერძოდ, „ვებ-პომერენის“ 1918 წლის და „საექსპორტო კომპანიების შესახებ“ 1982 წლის კანონები ითვალისწინებს საექსპორტო კომპანიების რეგისტრაციას და უშვებს მათი მონოპოლიური საქმიანობის განხორციელებას საექსპორტო ვაჭრობაში.

აშშ-ს საკანონმდებლო სისტემაში, ისევე როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საუწყებო აქტები, რომლებიც გამოიცემა უფლებამოსილი აღმასრუ-

ღებელი ორგანოების მიერ სახელმძღვანელოდ. საუწყებო აქტებში გათვალისწინებულია ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებითაც ხელმძღვანელობს კონკურენციის (ანტიტრესტული) კანონმდებლობის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო. ეს საუწყებო აქტები წარმოადგენს ერთდროულად როგორც ანტიტრესტული კანონმდებლობის გამოყენების გამოცდილების განხორციელებას, ასევე ინფორმაციას მეწარმეთათვის, თუ როგორ მოიქცნენ ბაზარზე, რაც თავის მხრივ გამორიცხავს კოლიზიის შესაძლებლობას მარეგულირებელ ორგანოებთან ანტიტრესტული კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში ანტიტრესტული (ანტიმონოპოლიური) რეგულირებაში მონაწილეობას ღებულობენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები. აშშ-ს კონგრესი და შტატების საკანონმდებლო ორგანოები ღებულობენ ანტიტრესტულ კანონმდებლობას და კონტროლს უწყვენ მათ შესრულებას (აღსრულებას), ხოლო შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანოები უშვებენ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს და საკუთარი ან კერძო პირების ინიციატივით ახორციელებენ ანტიტრესტულ რეგულირებას. ფედერალურ დონეზე აშშ-ში ანტიტრესტული კანონმდებლობის შესრულების კონტროლს ახორციელებს აშშ-ს ვაჭრობის ფედერალური კომისია და აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტული დეპარტამენტი. მათ ფუნქციებში შედის ბაზრის მონოპოლიზაციის თავიდან აცილება, კონკურენციის შენარჩუნება და მხარდაჭერა. ეს აღმასრულებელი ორგანოები უფლებამოსილი არიან გამოსცენ კანონქვემდებარე აქტები, რომელთაგან ერთი ნაწილი საგაღმდებულოა შესასრულებლად, ხოლო მეორე კი სარეკომენდაციო ხასიათისაა.

უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტული დეპარტამენტისა და ფედერალური ვაჭრობის კომისიის კომპეტენციები მნიშვნელოვანწილად ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა ფედერალური ვაჭრობის კომისიაზე დღევანდებულა მხოლოდ სამოქალაქო საქმეების წარმოება, მაშინ როდესაც ანტიტრესტული დეპარტამენტი პარალელურად ახორციელებს სისხლის სამართლებრივი საკითხების მოკვლევასაც. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ანტიტრესტული კანონმდებლობის პრაქტიკულ

რეალიზაციაში ეკუთვნის სასამართლოებს, რომელთა როლი კანონის აღსრულების საქმეში მუდმივად იზრდება.

ანტიტრესტული კანონმდებლობის დამრღვევს აშშ-ში ეკისრება როგორც სისხლის სამართლებრივი, ასევე სამოქალაქო პასუხისმგებლობა. თავდაპირველად შერმანის კანონის დარღვევისათვის მაქსიმალური სანქცია შეადგენდა 5 ათას დოლარს ან პატიმრობას ერთი წლით კონკრეტული კანონდამრღვევი კომპანიის თანამდებობის პირისათვის, ხოლო იურიდიული პირისათვის ჯარიმის ოდენობა არ აღემატებოდა 100 ათას დოლარს. თანდათანობით სანქციები ანტიტრესტული კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით გამკაცრდა და გაიზარდა 10 მილიონ დოლარამდე მოგვიანებით, საჯარიმო სანქციის მოცულობა განისაზღვრა კომპანიის არაკანონიერი შემოსავლების ორმაგი მოცულობის დონეზე; რაც შეეხება კლემენტონის კანონს, მისი მე-4 მუხლის თანახმად კანონის დამრღვევს თავდაპირველად ეკისრებოდა ზარალის სამმაგი ოდენობით ანაზღაურება, სასამართლო ხარჯების (ადვოკატის მომსახურების ჩათვლით) ანაზღაურებასთან ერთად. დროთა განმავლობაში სასამართლოთა მიდგომა ამ საკითხების მიმართ შეიცვალა და დღეს ის მხოლოდ ზარალის ერთმაგი ოდენობით განისაზღვრება. ამასთან, საზგასამხელა ის გარემოება, რომ აშშ-ში ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით გათვალისწინებულია საგადასახადო სანქციები ანტიტრესტული კანონმდებლობის დამრღვევის მიმართ, რაც უკავშირდება კომპანია-დამრღვევის შემოსავლების გაანგარიშების პროცედურას.

რაც შეეხება კონკრეტულ დარღვევებს, აშშ-ში ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკურენტი კომპანიების მხრიდან ადგილი აქვს მაღალი მოგების მიღების მიზნით შეთანხმებული ფასების გამოყენებას, რითაც საბოლოო ჯამში ზარალდებიან მომხმარებლები. მაგალითად, 1978 წელს გამოვლენილ იქნა საიდუმლო შეთანხმება, რომელიც ეხებოდა გოფრირებულ კონტეინერებზე ერთიანი ფასების დაწესებას. ასევე 1982 წელს იყო შემთხვევა, როდესაც ოცზე მეტი კომპანია იქნა ცნობილი დამნაშავედ ზოგადნაციონალურ საიდუმლო შეთანხმებებში მონაწილეობის გამო. საკითხი ეხებოდა კომპანიების მიერ მიღებულ საიდუმლო გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც მსხვილ ობიექტებში ელექტროდანადგარების მონტაჟი უნდა განხორციელებულ იყო შეთანხმებული (ერთიანი) ტარიფით.

ძირითად პრინციპებზე შეთანხმება მიღწეულ იქნა 1991 წლის 9 და 10 დეკემბერს მასტრიხტში მიმდინარე ევროსაბჭოს ხსდომასზე ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ ხელმოწერილ იქნა ამავე კვლავი 1992 წლის 7 თებერვლის და ძალაშია 1993 წლის 1 ნოემბრიდან.

მოგვიანებით, ევროკავშირის გაფართოებისა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მიერ მომხდარებულ იქნა უკვე ახალი ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც 1997 წლის 2 თებერვლერს მოეწერა ხელი ამსტერდამში. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ურთიერთკავშირი გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის უფრო მრავლისმომცველი და მტკიცე გახდა განსაკუთრებით გაფართოებულ იქნა თანამშრომლობის შექანის სფერო კანონმდებლობის დაცვის სფეროში.

კონკურენციის პოლიტიკა წარმოადგენს ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად შესაძლებელ საწიფს (მიმართულებას), რომელიც დაფუძნებულია ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის საკანონმდებლო ბაზაზე (მუხლი 81-90) და ქმსახურება ერთიან ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის დაცვის და კონკურენციის სტიმულირებას. ამდენად, შესაძლებელია ითქვას, რომ კონკურენციის პოლიტიკა არის არა მიზანი, არამედ ინსტრუმენტი ამ მიზნის მისაღწევად.

ევროკავშირის პოლიტიკის ფორმირებას კონკურენციის დარგში ჰქონდა თავისი ობიექტური წინაპირობები, რომელთაგანაც შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- სამკურნეო კავშირების ინტენსიფიკაცია სხვადასხვა სახელმწიფოების ინტეგრირებად საწარმოებს შორის, რომელიც იწვევს ცვლილებებს მიკროდონეზე და რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს შემზღუდველი საქმიანი პრაქტიკის აქტივისაცია და კონკურენციის შეზღუდვა;
- კონკურენციის გაძლიერება საერთო ბაზრის ტერიტორიაზე, რამაც უწყვეტური სახელმწიფო რეგულირების არ არსებობის პირობებში შექმნა დამაბრუნველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების საშიშროება;
- ეროვნული საწარმოებისათვის სახელმწიფო დახმარების აქტივისაცია, რაც თავისი არსით წარმოადგენს (ნიშნავს) ძველი პროტექციონისტული ბარიერების შეზღუდვასა და კონკურენციის შეზღუდვას.

კონკურენციის სფეროში ევროკავშირის ერთობლივი პოლიტიკის ეფექტური განხორციელების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა რეგულირების შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი შექანის მისი შემუშავება.

კონკურენციის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველში დევს „რომის ხელშეკრულება“, რომლის უმთავრე-

სი მიზანია ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდა და მეტი სტაბილურობის მიღწევა. ამასთან, კავშირის წევრ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ეს საკითხი წარმოადგენს ევროკავშირის კონკურენციული პოლიტიკის ძირითად კომპონენტს. თავის მხრივ, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის ძირითადი მიზანი იყო საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და მომსახურეობის ერთიანი ბაზრის შექმნა, რომლის მიღწევა შეუძლებელია ევროკავშირის შემადგენლობაში შემაგალი ქვეყნების კანონმდებლობათა დაახლოების გარეშე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის კანონმდებლობას ევროკავშირის ქვეყნებისათვის აქვს განმასხვავებელი ნიშანი, რაც გამოიხატება კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობების ეროვნული ნორმების ეტაპობრივ დაახლოებასა და ზოგადი (ერთიანი) სამართლებრივი ნორმების გამოყენებაში კავშირის წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობებისას, „რომის ხელშეკრულების“ 85-94 მუხლების შესაბამისად.

კონკურენციის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია „რომის ხელშეკრულების“ 85 და 86 მუხლებში (ამსტერდამის ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლები). კერძოდ, 85-ე მუხლის შესაბამისად აკრძალულია ანტიკონკურენციული ხელშეკრულებები, რადგანაც მას შეუძლია მნიშვნელოვანი ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს კავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებულ ვაჭრობაზე და ამით ხელი შეუშალოს (დააზიანოს) კონკურენციას ერთიან ბაზარზე. ამავე ხელშეკრულების 86-ე მუხლის თანახმად იგივე მიზეზით იკრძალება დომინირებული (გაბატონებული) მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. გარდა ამისა, „რომის ხელშეკრულება“ ასევე მოიცავს კავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ეროვნულ დონეზე გაწეული სახელმწიფო დახმარების რეგულირების საკითხებს (მუხლი 92-94).

როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი დებულებებია 85 და 86 (ახალი ხელშეკრულების 81-ე და 82-ე) მუხლები, რომლებიც აკონტროლებენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეების კონკურენციულ საქმიანობას; ამდენად, კავშირის წევრი ყველა ქვეყნის ეროვნული კონკურენციული კანონი შესაბამისობაში უნდა იყოს ამ მუხლებთან.

ზოგადად, ევროკავშირის კანონმდებლობა გამოყენება იმ შემთხვევებში, როდესაც თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს

შორის ადგილი აქვს არასამართლიანი ვაჭრობის ფაქტებს. კერძოდ, თუ კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტთა ანტიკონკურენციული (მონოპოლიური) საქმიანობის შედეგად ზეგაფლენის ქვეშ მოექცევა კავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებული ვაჭრობა, მაშინ ამ კავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის კანონმდებლობით. ამასთან, კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების კონკურენციის ეროვნულ კანონმდებლობების გამოყენება ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ქვეყნის შიდა და არა კავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობას.

ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია კონკურენციის კანონმდებლობის შესრულებაზე ევროკავშირში, წარმოადგენს ევროპულ გაერთიანებათა კომისია, რომლის, ფუნქციები განსაზღვრულია „რომის ხელშეკრულების“ 155-ე მუხლის შესაბამისად. ამ მუხლში ჩამოთვლილი ოთხი ფუნქციიდან ორი („რომის ხელშეკრულების“ დებულებების გამოყენების გარანტია და საკუთარი უფლებამოსილებებით მიიღოს გადაწყვეტილებები) უშუალოდ ეხება კომისიის იმ ქვეანგოფილებას, რომელზეც არის დაკისრებული პასუხისმგებლობა „რომის ხელშეკრულების“ 85-94 მუხლების, ე.ი. კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის რეალიზაციაზე.

ევროპულ გაერთიანებათა კომისია შედგება კავშირის წევრი ქვეყნების მიერ დანიშნული პირებისაგან (20 კაცი), რომლებიც სათავეში უდგანან 24 გენერალურ დირექტორატს; კომისია კონკურენციის პოლიტიკის რეალიზაციას ახდენს ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს – მინისტრთა საბჭოს (აერთიანებს კავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს) მიერ განსაზღვრულ ჩარჩოებში. კომისიის წევრის მიერ თავისი უფლებამოსილებების შესრულება არ ნიშნავს მისი წარმომდგენი სახელმწიფოს ინტერესების რეალიზაციას. ამასთან, ძირითად მოქმედ პირებს ევროგაერთიანებათა კომისიაში კონკურენციის პოლიტიკის და კანონმდებლობის შესრულების დარგში წარმოადგენს გენერალური დირექცია – IV, რომლის თანამშრომელთა რიცხოვნება მუდმივად იზრდება.

ევროკომისია უფლებამოსილია მოაგვაროს კონკურენციის საკითხები კავშირის ფარგლებში. „რომის ხელშეკრულების“ შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებები თავდაპირველად ატარებდნენ არაპირდაპირ ხასიათს. კერძოდ, კომისიას უნდა

მიემართა წევრი ქვეყნებისათვის რეკომენდაციით აღეკვეთა გამოვლენილი (არსებული) დარღვევები. მოგვიანებით, კონკურენციის წესებზე ზეერონული კონტროლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, კომისიის უფლებამოსილებანი მნიშვნელოვნად იქნა გაფართოებული. ევროკავშირის საბჭოს 1962 წლის №17 და №27 რეგლამენტების შესაბამისად კომისიას მიენიჭა განსაკუთრებული უფლებები საწარმოთა შეთანხმებული, კოორდინირებული მოქმედებების აღკვეთისა და დაშვებაზე გადაწყვეტილებების მისაღებად. ზოგ შემთხვევაში ეს უფლებამოსილება გადადის წევრ ქვეყანათა ხელმძღვანელობაზე და ეროვნულ სასამართლოებზე (მუხლი 81 და 82), მაგრამ ისეთი პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა სახელმწიფო დახმარებების (კანონიერია თუ არა წევრი ქვეყნების დახმარება), შერწყმების კონტროლის საკითხები წარმოადგენს ზენაციონალურს და ევროკომისიის კომპეტენციას. მხოლოდ ევროკომისიას აქვს უფლება დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებები. ასეთი ხელშეკრულებები კომისიის ნებართვის გარეშე ავტომატურად ბათილია; რაც შეეხება გამონაკლისებს, ისინი დაშვებულია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმიანობა სოციალურად სასარგებლოა და ძალიან მნიშვნელოვანი. ამასთან, ევროკომისია უფლებამოსილია უკანონოდ მიღებული სახელმწიფო დახმარების დაბრუნება მოსთხოვოს მის მიმღებ ეკონომიკურ აგენტს (როგორც წესი, ევროკომისიას წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია გასაცემი სახელმწიფო დახმარების შესახებ).

ბოლო პერიოდში საწარმოთა კოორდინირებული მოქმედებების კონტროლის მიმართულებით ევროკავშირის საკონკურენციო სამართალში იგრძნობა დეცენტრალიზაციის ტენდენციები. 2004 წლის 1 მაისს ძალაში შევიდა ევროკავშირის განახლებული კონკურენციის რეჟიმი, რითაც კონკურენციის კანონის ამოქმედების ვალდებულება გადავიდა ევროპული კომისიიდან კონკურენციის ეროვნულ ხელისუფლებაზე და წევრი ქვეყნების ეროვნულ სასამართლოებზე. რეფორმის თანახმად გათვალისწინებულია, რომ კომისიამ თავისი შეზღუდული რესურსები უნდა გამოიყენოს განსაკუთრებით საშიშ კარტელურ გაერთიანებათა აღსაკვეთად და არ უნდა ხარჯოს ენერჯია ნოტიფიკაციის სულ უფრო ზრდადი რაოდენობის განხილვაზე. ასე რომ ევროკავშირის კომისიამ პერსპექტივაში უნდა აღძვრას საქმეები ანტიკონკურენციული შეთანხმებების

მისი არა სიტყვიერების ბაზაზე, არამედ საკუთარი ინციტით და განხილვის შემოსული სახიერები კომპანიების ანტიკონკურენტულ ქვეყნებზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა ევროპული კომისიის ფრედაბმოსილებები საქმეების გამოძიების ასპექტში.

რეფორმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს კომისიის 1999 წლის 22 დეკემბრის №2790/1999 რეგლამენტი ვერტიკალური შესღუღვებიდან და პორიზონტალური შეთანხმებებიდან ჯგუფური გამონაკლისების მიმართ. ამ რეგლამენტების თანახმად გაუქმებულ იქნა ადრე დადგენილი ჯგუფური გამონაკლისების დადგენილი წესი და გამოიყენება ახალი წესები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის კომისიის მიერ მომზადებულმა თეთრმა წიგნმა გამოიწვია არაერთგვაროვანი რეაქცია ევროპის ქვეყნების საქმიან წრეებში, რადგანაც მან სხვა მიზეზებთან ერთად შეიძლება ევროკავშირის ჩარჩოებში გამოიწვიოს ერთობლივი საქმიანი პრაქტიკის დარღვევა, რომელიც ადრე, გადაწყვეტილებების ცენტრალიზებულად მიღების პროცესში გარანტირებული იყო. თუმცა ევროკავშირის კომისია მიუთითებს თეთრ წიგნში, რომ გადაწყვეტილებების დეცენტრალიზაციამ არ უნდა გამოიწვიოს ევროკავშირის კონკურენციის ერთიანი წესების არაერთგვაროვანი გამოყენება.

რეფორმის მწვავე კრიტიკის მიუხედავად, ევროკავშირის კომისია არ აპირებს უარი თქვას მის ჩატარებაზე. იგულისხმება, რომ ერთიანი პოლიტიკა კონკურენციის სფეროში გარანტირებული იქნება ევროკავშირის კონკურენციის ორგანოებს და ამ ორგანოებსა და ევროკომისიას შორის ზემოქმედების მუდმივი ქსელის მეშვეობით.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობა, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ კომპანიებზე არამედ სახელმწიფოებზეც, მუდმივ ცვლილებებს განიცდის იმ სიახლეებისა და პრაქტიკული რეალობების გათვალისწინებით, რასაც ადგილი აქვს ევროკავშირის სინამდვილეში. შესაბამისად, ბოლო წლებში, ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნა ვერტიკალური შეთანხმებების დარეგულირების საკითხი, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ვერტიკალური ხელშეკრულებების რეჟიმს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ევროპული კომისიის საქმიანობის ბევრი ასპექტი მუდმივი განახლებისა (განხილვისა) და სრულყოფის პროცესშია, სადაც უმთავრეს ამოცანას

წარმოადგენს ის, რომ ევროკავშირის კონკურენციულმა წესებმა უზრუნველყონ კარტელების შექმნის აცილება და ხელი შეუწყონ საწარმოების ეკონომიკურად მიზანმიმართულ კორპორაციას, რომელიც აძლიერებს კონკურენციას ბაზარზე.

ამასთან გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1996 წლის დებულება კონკურენციის შესახებ (მუხლი 84 და 85) შეიცვალა ახალი 2001 წლის დებულებით. ამ დებულებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ის იყო, რომ მინისტრებს არ ჰქონდათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება. ახალ დადგენილებებში აღწერილი ზომები წააგავდნენ 1998 წლის კონკურენციის კანონს, რომლის თანახმად საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება ჰქონდა სამართლიანი ვაჭრობის გენერალურ დირექტორს. მისი გადაწყვეტილება კი განსაზღვრებას ექვემდებარებოდა მხოლოდ კონკურენციის კომისიის სააპელაციო სასამართლოში.

გამონაკლის შემთხვევებში საკითხის განხილვის დროს კომისია მიმართავდა ვაჭრობისა და მრეწველობის განყოფილებას. არსებობს აგრეთვე სამართლიანი ვაჭრობის განყოფილება, რომელიც კომისიასთან მუშაობს ინდივიდუალურ შემთხვევებზე.

ევროკავშირის სასამართლოში შესული აპელაციების სირთულემ და მრავალრიცხოვნობამ განსაზღვრულ ეტაპზე გამოიწვია სერიოზული სიძნელეები საქმეების ოპერატიულ განხილვაში, ამიტომ 1988 წელს შეიქმნა სპეციალური ორგანო, პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით, რომელიც ამ საკითხებით დაკავდა. ის წარმოადგენს შუალედურ საფეხურს კომისიასა და ევროკავშირის სასამართლოს შორის.

ცხადია, კომისიის მუშაობა არაეფექტური იქნება, თუ მისი ზედამხედველობითი და საკონტროლო საქმიანობა არ იქნება დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და ჯარიმის დაწესების უფლებაზე ამდენად, ევროკავშირის კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მკაცრი ადმინისტრაციული სანქციები, რომლის შესაბამისად კომისიას უფლება აქვს არა მხოლოდ აკრძალოს ანტიკონკურენციული შეთანხმება, არამედ დააწესოს ჯარიმები ანტიკონკურენციულ საქმიანობაში მხილებული ეკონომიკური აგენტების მიმართ (ევროკომისია ყოველწლიურად იხილავს კონკურენციის შემზღუდავ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ ასეულობით საქმეს). გარდა ამისა, ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესახებ მტკიცებუ-

დღობების გამოსავლენად კომისია უფლებამოსილია განხორციელოს ეკონომიკური აგენტის ოფისი საფუძვლო ხელშეკრულების მოსაძიებლად. ევროკომისია ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრისას მხედველობაში იღებს მის საბაზრო წილს და სხვა ისეთ ფაქტორებს, როგორცაა, კონკურენტი კომპანიებისა და საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის არსებობა და სხვა. არის ფაქტორები, რომლებიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევენ თავი აარიდონ ნორმალურ კონკურენციას. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკური აგენტი ფლობს მთლიან ბაზარს ან ამ ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს და აქედან გამომდინარე, ის იყენებს ამ მდგომარეობას მაღალი ან დაბალი ფასის დასადგენად, ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვას, რაც (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) გამონაკლისებს არ ითვალისწინებს და ყოველთვის იკრძალება. ევროკომისიას ასეთ შემთხვევებში შეუძლია მიიღოს ეკონომიკური აგენტის დაჯარიმების გადაწყვეტილება, ხოლო ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დანაშაულის დამამძიმებელი (დარღვევის გამოწვევა) და შემამსუბუქებელი გარემოებები (კომპანიების თანამშრომლობა).

საკონტროლო კითხვები:

- * რა მიზეზებმა განაპირობა ანტიტრესტული კანონმდებლობის ფორმირება?
- * რა ძირითადი მანქნებლები ახასიათებს კონკურენციული კანონმდებლობის ამერიკულ და ევროპულ მოდელებს?
- * რომელი სამართლებრივი აქტით და როდის ჩაყვარა საფუძველი აშშ-ში ანტიტრესტულ კანონმდებლობას?
- * რომელი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ ანტიტრესტული კანონმდებლობის აღსრულებას აშშ-ში?
- * რა უდევს საფუძველად ევროკავშირის საკონკურენციო კანონმდებლობას?
- * რომელი ორგანო აკონტროლებს ევროკავშირის სივრცეში კონკურენციის კანონმდებლობის რეალიზაციას?
- * კონკურენციის სფეროში ადმინისტრირების რა კონკრეტული მექანიზმები გამოიყენება აშშ-სა და ევროკავშირში?

თემა 3. საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობა და საქართველოს კონკურენციის ორგანო

კონკურენციის კანონმდებლობა წარმოადგენს მონოპოლიზმისა და კონკურენციის პროცესებზე ზემოქმედების უმნიშვნელოვანეს ბერკეტს, რომლის მიღებით საქართველომ არჩევანი გააკეთა დასავლეთის ფასეულობების სასარგებლოდ, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. შესაბამისად, ქვეყანაში ამ გზის არჩევით დაიწყო ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დემონტაჟი და საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლის პროცესი, რასაც საფუძველი გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ჩაყვარა.

მართალია აქართველოში კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება დაიწყო 1992 წლიდან, მაგრამ კონსტიტუციურ საფუძველებზე დაყრდნობით საკონკურენციო სამართლის ფორმირების პროცესი დაიწყო 1996 წლიდან, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილული იქნება საკონკურენციო სამართლის ის ნორმები და ინსტიტუტები, რომლებიც საქართველოში ახალი კონსტიტუციის მიღების (1995 წლის 24 აგვისტო) შემდგომი პერიოდიდან ამოქმედდა კონკურენციული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიმართულებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდშივე იქნა მიღებული ცალკეული დარგების (სფეროების) მარეგულირებელი ისეთი სამართლებრივი ნორმები (კანონები), სადაც ჩაღებული იყო ანტიმონოპოლიური რეგულირების მექანიზმები. სწორედ, ამ მექანიზმების მეშვეობით ახდენდნენ და ახდენენ კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) პოლიტიკის რეალიზაციას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკი და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიები.

ამდენად, საქართველოში ბოლო ათწლეულში მოქმედ საკონკურენციო სამართალზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად მოკლედ მიმოვიხილათ ქვეყანაში 1996-2007 წლებში მიღებულ ყველა ძირითად საკონკურენციო სამართლებრივ ნორმას,

მათ აღსრულებაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებთან ერთდ, სადაც უფრო მეტი ყურადღება აქვს დათმობილი – „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონებს (ჩარჩო კანონები) და შესაბამის აღმასრულებელ ინსტიტუტებს – საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წელს მიღებული საკონკურენციო კანონით, ქვეყანაში 2005 წლამდე (2005 წლის 3 ივნისამდე პერიოდში) რეალიზებული ანტიმონოპოლიური პოლიტიკა მოიცავდა კონკურენციის (ანტიმონოპოლიური რეგულირების), მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროებს. შესაბამისად, საქართველოს კონკურენციულ პოლიტიკაზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად, აუცილებელია, მოკლედ იქნეს მიმოხილული, ის ძირითადი საკანონმდებლო ბაზა (ჩარჩო კანონმდებლობა), რითაც რეგულირდებოდა (რეგულირდება) ქვეყანაში კონკურენციის პროცესები.

„მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (ძირითადი ჩარჩო კანონი), რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 25 ივნისს და ძალაში შევიდა იმავე წლის 26 სექტემბრიდან (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებიდან) – ემსახურებოდა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას, კონკურენციული გარემოს შექმნისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას (მუხლი 1, პუნქტი 1). კანონითვე იყო განსაზღვრული ეკონომიკური აგენტების პასუხისმგებლობა მათ მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და სხვა ქმედებისათვის, რასაც შეეძლო გამოეწვია კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ბაზარზე (მუხლი 1, პუნქტი 2).

კანონი ასევე ვრცელდებოდა იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე გავლენას ახდენდნენ კონკურენციაზე და რომლებშიც მონაწილეობდნენ იურიდიული და ფიზიკური (მათ შორის უცხოელი) პირები, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები: სამინისტროები, სხვა სახელმწიფო უწყებები და დაწესებულებები, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. კანონი

აგრეთვე ითვალისწინებდა კონკურენციული წესების ექსტერიტორიალურ გამოყენებას (მუხლი 4, პუნქტი 1), ხოლო მისგან გამონაკლისების დაშვების უფლება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ჰქონდა მხოლოდ საქართველოს პარლამენტს (მუხლი 5, პუნქტი 2).

კანონი შეიცავდა თავებს კონკურენციის შეზღუდვისა (თავი III) და მონოპოლიური მდგომარეობის (თავი IV) შესახებ, რომლებიც მართალია მთლიანად არ შეესაბამებოდნენ განვითარებული ქვეყნების საკონკურენციო სამართლის ნორმებს, მაგრამ მათ მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ ქვეყანაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის, ასევე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის საქმეში.

კანონის გავრცელების სფეროდან გამოსული იყო საავტორო და გამომგონებელთა უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიშნებთან დაკავშირებული ურთიერთობები (მუხლი 5, პუნქტი 1), ხოლო რაც შეეხება ფასიანი ქაღალდებისა და საფინანსო მომსახურების ბაზრებზე მონოპოლიურ მდგომარეობასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ისინი რეგულირდებოდნენ შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ურთიერთობები გავლენას ახდენდნენ ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე არსებულ კონკურენციაზე (მუხლი 6).

ამასთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2002 წლის 21 ივნისს შეტანილ იქნა ცვლილება (მუხლი 5, პუნქტი 3), რომლის თანახმად კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს (საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური) კომპეტენციიდან გამოეყვანილ იქნა ის სფეროები, სადაც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიები არსებობდნენ (ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო), რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია კონკურენციის პოლიტიკის დანაწევრება დარგობრივ ტრილში.

კანონის მე-5 თავის შესაბამისად ამ კანონის ზედამხედველობისა და სახელმწიფო კონტროლის ფუნქცია ეკისრა საქართველოს

სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სხვა ტერიტორიულ ერთეულებში – კანონით უფლებამოსილ ანტიმონოპოლიურ ორგანოებს (მუხლი 3). ამასთან, კანონი საზღვრავდა საქმიანობის იმ ძირითად მიმართულებებს, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც კონკურენციის მთავარი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

„მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლისა და საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბების (1997 წლის 14 მარტი) შემდეგ, უცხოელ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიღებულ იქნა რიგი ქვემდებარე ნორმატიული აქტები, როლებმაც შეავსეს და სრულყოვეს ქვეყნის საკონკურენციო კანონმდებლობა.

დღეისათვის საქართველოში კონკურენციული კანონმდებლობის ძირითად ჩარჩო კანონს წარმოადგენს, საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 3 ივნისს მიღებული კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც ძალაშია 2005 წლის 12 ივლისიდან. ამ კანონის მიღებით გაუქმებულ იქნა საქართველოში მანამდე მოქმედი საკონკურენციო სამართლის ყველა ნორმატიული აქტი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი უზრუნველყოფის ნორმების უმეტესობასთან ერთად.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი შედგება 7 თავისა და 16 მუხლისაგან. პირველ თავში გადმოცემულია ზოგადი დებულებანი, მე-2 თავში კონკურენციის აკრძალვის მექანიზმები (რაც სამწუხაროდ, მხოლოდ ხელისუფლების ორგანოების მიერ კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილებების აკრძალვამდეა დაყვანილი), მე-3 თავში სახელმწიფო დახმარებებისა და მისწობრივი პროგრამების გაცემის და მიღების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები, მე-4 თავი ეხება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს, მე-5 თავი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებებსა და ძირითად მოვალეობებს და ბოლოს, მე-6 და მე-7 თავებში ჩამოყალიბებულია გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი.

ზოგადად, კანონის მიზანს წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი

და საკუთრების ფორმის მიუხედავად, საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა. კერძოდ:

- ა) ეკონომიკური აგენტების კონკურენციისათვის ხელის არშეშლა;
- ბ) ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული ბარიერების აღკვეთა და ბაზარზე ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვებისათვის ხელის არშეშლა;
- გ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციული ბარიერების არსებობის აღკვეთა ან მათი შექმნის დაუშვებლობა;
- დ) შეზღუდული კონკურენციის პირობებში რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში საზოგადოების სასიცოცხლო და ეკონომიკური ინტერესების დაცვა;
- ე) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი საერთაშორისო ვალდებულების აღების დაუშვებლობა, რომლებიც შეაფერხებენ თავისუფალ ვაჭრობას ქვეყნის შიგნით და გარეთ.

ამასთან, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება – ა) იმ ურთიერთობებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციასა და თავისუფალ ვაჭრობაზე და რომლებშიც მონაწილეობენ იურიდიული ან/და ფიზიკური პირები ან/და სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები; ასევე, ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების იმ ქმედებებსა ან/და გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით გავლენას ახდენენ (ან შეუძლიათ მოახდინონ) კონკურენციულ გარემოზე და თავისუფალ ვაჭრობაზე, ხოლო რაც შეეხება, სააუტორო და მომიჯნავე უფლებებთან, სავაჭრო ნიშნებთან და სამრეწველო ნიშნებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ეს სხვა საკანონმდებლო ნორმებით რეგულირდება.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფერო თითქმის ემთხვევა მისი წინამორბედი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლების შინაარსს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ორი კანონის

ცალკეული დებულებები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, კონკურენციის ახალი კანონმდებლობით სამწუხაროდ უგულებელყოფილია ბაზარზე ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის მექანიზმები. კანონი არ შეიცავს მონოპოლიური საქმიანობის ცნებას და მისი გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმებს. კანონი ასევე არ ვრცელდება ინფრასტრუქტურის სფეროებში (ესაა ფაქტობრივად რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები, ხოლო არარეგულირებადი სფეროებზე კანონი ისედაც არ ვრცელდება) კერძო ინვესტიციებით შექმნილ არათავისუფლად ბრუნვადი საქონლის ტრანსპორტირების (გატარების) საშუალებებზე (მუხლი 11, პუნქტი 4) და ა.შ.

კანონი არ ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტების შერწყმების (როგორც ვერტიკალური ასევე ჰორიზონტალური ინტეგრაციის) არანაირი სახით კონტროლს, თუ რა თქმა უნდა, საკითხი არ ეხება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის მიერ მის ქსელში დაშვება არ დაშვების საკითხებს (საჩიურის საფუძველზე).

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით არაა განსაზღვრული განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა ჩამონათვალი, თუმცა ფაქტია, რომ ასეთ სუბიექტებს განეკუთვნებიან ის ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ფლობენ (განკარგავენ) ან იჯარით აქვთ აღებული – 1) მაგისტრალური მილსადენი, 2) რკინიგზის ხაზი, 3) მაღალი ძაბვის გადაამცემი სისტემა, 4) საეროდრომო-სადისპერტჩერო მომსახურეობა მარშუტზე და ა.შ, ანუ ეს ის სფეროებია, სადაც სპეციალური დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოებია შექმნილი.

კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე და წინგადადგმული ნაბიჯი არის ის, რომ აკრძალულია ისეთი სახელმწიფო დახმარება და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის გაცემა, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას (მუხლი 8 და 9). შესაბამისად, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო დახმარებებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების აკრძალვის მექანიზმები და განსაზღვრულია ის გამონაკლისები, რა შემთხვევებშიც შეიძლება ნება დაერთოს მათ გამოყენე-

ბას. ე.ი. კანონში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო დახმარებებისა და მიზნობრივი პროგრამების გაცემის მექანიზმების გაკონტროლების წესი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ის ბოლომდე არაა დახვეწილი, რაც მისი აღსრულების პროცესში ქმნის გარკვეულ პრობლემებს.

კონკურენციის დაცვის მარეგლამენტირებელ სამართლებრივ ნორმებს, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, შეიცავს ასევე ცალკეული დარგების (სფეროების) მარეგულირებელი კანონმდებლობა, სადაც განსაზღვრულია კონკრეტულ დარგში კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის თეორიული საკითხები და ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმები. სწორედ ასეთ, ცალკეული დარგების მარეგულირებელ ძირითად საკანონმდებლო აქტებს წარმოადგენენ – 1) „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (1995 წლის 23 ივნისი №764-III); 2) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი (1996 წლის 23 თებერვალი №121-III); 3) „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი (1997 წლის 2 მაისი №690-III); 4) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი (1998 წლის 24 დეკემბერი №1745-რს); 5) „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონი (2002 წლის 13 სექტემბერი); 6) „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი (1997 წლის 27 ივნისი №816-III); 7) „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონი (1999 წლის 23 ივლისი №2329-რს); 8) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი (2005 წლის 2 ივნისი №1514-III); 9) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი (1999 წლის 16 აპრილი №1892-რს); 10) „ტრანპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი (2001 წლის 20 ივლისი №1012-რს); 11) „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონი (2007 წლის 30 მარტი) და 12) „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონი (1996 წლის 17 მაისი).

ამ კანონთა აღსრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციას ახორციელებ(დნენ)ენ შემდეგი ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები (სამინისტროები)

და დამოუკიდებელი მარგულირებელი კომისიები - 1) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; 2) საქართველოს ეროვნული ბანკი; 3) საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური; 4) ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია; 5) ფინანსური მონიტორინგის სამსახური; 6) საქართველოს ენერგეტიკის მარგულირებელი ეროვნული კომისია; 7) კომუნიკაციების ეროვნული კომისია; 8) ნავთობისა და გაზის სააგენტო; 9) ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია.

სრულყოფილი წარმოდგენა რომ შეგვექმნას ამ თუ იმ სფეროში რეალიზებულ საკონკურენციო პოლიტიკაზე, აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ, ზემოაღნიშნულ სამართლებრივ ნორმათა (სპეციალური კანონების) ის დებულებები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა (ხორციელდება) კონკრეტულ სფეროში (დარგში) კონკურენციისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ ინსტიტუტებსაც, რომლებიც ახდენენ კონკრეტული დარგის (სფეროს) ადმინისტრირებას.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად - „ბანკებს ეკრძალებათ ისეთი გარიგებები და ქმედებები, რომელთა შედეგად ისინი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად აღმოჩნდებიან დომინირებულ მდგომარეობაში ფულად, საფინანსო ან საკრედიტო ბაზარზე, აგრეთვე ყოველგვარი მანიპულაციები, რომლებიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მათ ან მესამე პირებს, შექმნიან საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის შესაძლებლობას ან საშიშროებას.

საბანკო საქმიანობაში კანონმდებლობის შესაბამისად ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას ახორციელებს **საქართველოს ეროვნული ბანკი**, რომელიც განსაზღვრავს ამ სფეროში საბანკო საქმიანობის დასაშვებ პარამეტრებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ზემოქმედების „ზომებს“ და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საბანკო მომსახურების ბაზარზე მონოპოლიურ მდგომარეობასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული ურთიერთობები გავლენას ახდენდნენ ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე არსებულ კონკუ-

რენციაზე, საკითხის შესწავლის (გადაწყვეტის) პროცესში ერთგვ ბოდა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური.

ასევე, კანონის ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „კომერციულ ბანკს არა აქვს უფლება რომელიმე კლიენტთან დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სესხის გაცემის ან რაიმე საბანკო მომსახურების გაწევის პირობაა ამ ბანკის ან მისი რომელიმე მონათესავე საწარმოს არასაბანკო მომსახურების შესყიდვა ან გამოყენება“.

„დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „აკრძალულია მონოპოლიური და ყველა სხვაგვარი საქმიანობა განსაზღვრულ სადაზღვევო ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის მიზნით. უპირატესობების მიცემა ან მიღება მზღვეველის (მზღვეველების) მიერ სხვა მზღვეველის (მზღვეველების) მიმართ“. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „... საბიუჯეტო ორგანიზაციას ეკრძალება სადაზღვევო ორგანიზაციის დაფუძნება და სადაზღვევო ორგანიზაციის დამფუძნებლად ყოფნა“.

რაც შეეხება სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებას, კანონის მე-19 მუხლის თანახმად, ამას ახორციელებდა - თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი (ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებას წარმოადგენდა მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, სადაზღვევო ბაზარზე ანტიკონკურენციული ქმედებების აღკვეთის მიმართულებით ზედამხედველობის სამსახურის უფლება-მოსილებანი შეზღუდული იყო. სწორედ ამიტომ, მას სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან (ლიკვიდაციამდე) მჭიდრო თანამშრომლობის გზით უწევდა (უხდებოდა) სადაზღვევო ბაზრებზე არსებული ანტიკონკურენციული ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა (დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურს ამ მიმართულებით დამოუკიდებელი მოქმედებისათვის შესაბამისი ბერკეტები არ გააჩნდა).

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მიზანს წარმოადგენს - საქართველოში ფასიანი ქაღალდების

ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

ამავე კანონის 33-ე მუხლის (საბროკერო კომპანიათა და ბროკერთა მოვალეობანი), თანახმად „ . . . მათ არ უნდა გაუწიონ კონკურენცია თავიანთი კლიენტის დავალებას, არ უნდა მოახდინონ კლიენტის დავალების მანიპულირება, ან არ გადაწყვიტონ კლიენტის დავალების შესრულება ისეთი ფასითა და დავალების შესრულების ხარჯებით, რომლებიც ნაკლებად ხელსაყრელია კლიენტისათვის ამ საქმეში მონაწილე ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალთან შედარებით . . . “ (მე-4 პუნქტი) და ასევე „ბროკერს კომპანიის სახელით, ეკრძალება კლიენტისათვის შეგნებულად შეცდომაში შემყვანი რეკომენდაციებისა და ინფორმაციის მიცემა . . . “ (მე-5 პუნქტი).

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებაზე ზედამხედველ და მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც თავის საქმიანობასა და გადაწყვეტილებების მიღებაში დამოუკიდებელი იყო სხვა სახელმწიფო უწყებისა და ორგანიზაციისაგან.

ბოლო პერიოდში (2007 წლის ივნისი), რეორგანიზაციის შედეგად მოხდა ეროვნული ბანკის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისა და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის გაერთიანება.

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კომუნიკაციების სფეროში „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული ნორმების შესრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქცია ეკისრება კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

ცალკე განხილვის საგანია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ 2005 წლის 2 ივნისს მიღებული კანონი,

რომელიც სხვა მნიშვნელოვან პრინციპებთან ერთად ადგენს ამ სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს (მუხლი 1). მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობაში მონოპოლიური მდგომარეობის დაუშვებლობასა და მომსახურების ბაზრის ლიბერალიზაციას; თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას; ავტორიზებული პირებისათვის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მინიჭებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობისას მათ შორის ექსკლუზიური ხელშეკრულებების დადების დაუშვებლობას; მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვას; კომისიის მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღებისას მაქსიმალურ საჯაროობას, არადისკრიმინაციულობას, გამჭვირვალობასა და ტექნოლოგიურ ნეიტრალობას (მუხლი 4).

გარდა ამისა, კანონის ცალკე თავი ეხება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას (თავი IV), სადაც მოცემულია კონკურენციის რეგულირების მიზნები და ამოცანები (მუხლი 20), კონკურენციის კვლევის მიზნით მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის პრინციპები (მუხლი 21). ამ მუხლის თანახმად კომისია ბაზრის კვლევის (ანალიზის) შედეგებზე დაყრდნობით ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრას ახორციელებს კომისიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე.

გარდა ამისა, კანონში არის ისეთი მუხლები, როგორიცაა „მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის ეტაპები, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის განსაზღვრის ზოგადი დებულებები“ (მუხლი 22), მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (მუხლი 23), მომსახურების ბაზრის ანალიზთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება (24), შერწყმისა და წილის შეძენის რეგულირება (მუხლი 25), შერწყმის ან წილის შეძენის გამოკვლევა (მუხლი 27), კომისიის მიერ კონკურენციის უზრუნველყოფის უფლებამოსილებანი (მუხლი 28). ამასთან, კანონის V თავი მთლიანად ეთმობა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის სპეციფიკურ ვალდებულებებს, ხოლო VI თავი

კი ავტორიზებულ პირთა შორის წარმოშობილი დაგების განხილვასა და გადაწყვეტის წესს.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ კანონის მე-20 მუხლიდან 37-ე მუხლის ჩათვლით მოცემული დებულებები აყალიბებენ ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე საკონკურენციო პოლიტიკის რეალიზაციის მექანიზმებს და ეს ბევრად უფრო სრულყოფილად (როგორც მოცულობითი სახით, ასევე შინაარსობრივად) ხდება ვიდრე საქართველოს საკონკურენციო სამართლის ძირითად ნაწილში. უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული საკონკურენციო სამართალი (არც ძირითადი და არც დარგობრივი) ამ კანონის მიღებამდე შერწყმების კონტროლს არ ითვალისწინებდა, რაც საკონკურენციო სამართლის არასრულყოფილებაზე მიუთითებს.

რაც შეეხება კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელი ორგანოს (კომისიის) კომპეტენციის საკითხებს, ის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმადაა განსაზღვრული. ამასთან, კანონის შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ამ სფეროში წარმართავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო მის განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა (მუხლი 6, პუნქტი 2).

„ტრანსპორტისა და კომუნიკაციების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ტრანსპორტის სფეროში „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისი ნორმების შესრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება დაევადათ საავტომობილო, საზღვაო, სამოქალაქო ავიაციისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ადმინისტრაციებს, რომლებიც (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტის ადმინისტრაციისა) ჩამოყალიბდნენ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2001 წლის 28 დეკემბერის გადაწყვეტილების საფუძველზე (ბრძანებები №110, №111 და №113). ამდენად, ტრანსპორტის სფეროში 2001 წლის ბოლოს დაიწყო და 2002 წლიდან კიდევ უფრო გაღრმავდა დამოუკიდებელი საკონკურენციო პოლიტიკის წარმოება.

ამასთან, „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა დამატება (2003 წლის 14 აგვისტოს №2951-რს), რომლის თანახმად

დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების რანგში აყვანილ იქნენ ტრანსპორტის ადმინისტრაციები. შესაბამისად, მათი როგორც დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების სტატუსის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირების დებულებები, დამტკიცებულ იქნა, საქართველოს პრეზიდენტის მიერ (სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის დებულება დამტკიცებულ იქნა 2004 წლის 23 ივლისის №287 ბრძანებულებით, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის დებულება 2004 წლის 18 აგვისტოს №339 ბრძანებულებით).

მოგვიანებით, ტრანსპორტის რეგულირების სფეროში მოქმედ საკანონმდებლო ნორმებში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად, სატრანსპორტო სისტემითა და სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურებაზე ტარიფების დამტკიცებისა და რეგულირების უფლებამოსილება, ისევე როგორც ამ სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის აღსრულებაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქცია გადაეცა საქართველოს მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

„ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 30 მარტის კანონის მიღებით გაუქმებულ იქნა ქვეყანაში მანამდე მოქმედი ტრანსპორტის სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ საქართველოს 2001 წლის 20 ივლისის კანონი, მის ქვემდებარე სამართლებრივ ნორმებთან და შესაბამის აღმასრულებელ ინსტიტუტთან ერთად. შესაბამისად მოხდა საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეორგანიზაცია და მის ნაცვლად შეიქმნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნურ დაწესებულება – **ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია**.

„წიალის შესახებ“ კანონის 33-ე მუხლი შეიცავს საკონკურენციო სამართლებრივ ნორმას, რომლის თანახმად აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების, დაქვემდებარებული უწყებებისა და ორგანიზაციების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო ან სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მონოპოლიას წიალით სარგებლობის სფეროში; აკრძალულია წიალით მოსარგებლეთა ინფრასტრუქტურით სარგებლობის შეზღუდვა და მსოლოდ

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებითაა შესაძლებელი გამოცხადდეს სახელმწიფო მონოპოლია გარკვეული ტიპის წიაღისეულის ან ცალკეული საბადოს დამუშავებაზე.

კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვას და შესაბამისი პოლიტიკის გატარებას ასრულებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

და ბოლოს, საკონკურენციო სამართალი (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა) არა მხოლოდ ზემონამოთვლილი კანონებისა და საკანონმდებლო აქტებისაგან შესდგება, არამედ ის თავის თავში მოიცავს მთელს სამოქალაქო კანონმდებლობას, რამდენადაც კონკურენციის უზრუნველყოფა გულისხმობს ასევე ისეთი სამართლებრივი წესებისა და ნორმების დაცვას, როგორცაა არჩევანის, ხელშეკრულების დადების თავისუფლების უზრუნველყოფა და სხვ.

1992-1996 წლებში კონკურენციული პოლიტიკის ძირითადი აღმასრულებელი ორგანო საქართველოში იყო ეკონომიკის სამინისტროს შიდა სტრუქტურული ერთეული.

„მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 დეკემბრის №848 ბრძანებულებით ჩამოყალიბდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რომლის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილება, ასევე მისი ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხი განისაზღვრა ზემოაღნიშნული კანონითა და სხვა საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. სამსახურის დებულება და სტრუქტურა დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 14 მარტის №137 ბრძანებულებით (სამსახურის საშტატო რიცხოვნება განისაზღვრა 150 კაცის რაოდენობით (65 კაცი ცენტრალურ აპარატში, ხოლო 85 ავტონომიური რესპუბლიკებისა და მხარეების შესაბამის სამსახურებში)).

კანონისა და დებულების შესაბამისად სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის კომპეტენციად განისაზღვრა:

• საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზარზე კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელება;

• მონოპოლიური საქმიანობისა და მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთა;

• ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის რეგულირება;

• არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით წინადადებებს შექმნება და წინასწარი ღონისძიებების გატარება;

• მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მათ დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

• სარეკლამოს საქმიანობის რეგულირება;

• კანონპროექტებისა და ნორმატიული აქტების შემუშავება მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის და კონკურენციის განვითარების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის სფეროებში;

• აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის განსახილველად სავალდებულო წინადადებების წარდგენა კონკურენციის განვითარებისა და მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის ღონისძიებათა გატარების მიზნით;

• ანტიმონოპოლიური, მომხმარებელთა უფლებების დაცვის და სარეკლამო სფეროს კანონმდებლობათა დარღვევის ფაქტების განხილვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

• თანამშრომლობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრის მიზნით.

გარდა ამისა, ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილი იყო:

• შესაბამისი ორგანოს წინაშე დაყენებინა საკითხი იმ ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ, რომელიც დაარღვევდა ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას;

• მოეთხოვა ამ კანონის დარღვევი ორგანოსათვის მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება;

• ეკონომიკური აგენტისათვის მოეთხოვა ამ კანონის დარღვევით დადებული ხელშეკრულების და მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

• ასევე ეკონომიკური აგენტისაგან მიეღო ცნობები მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო საქმიანობების შესახებ;

• გასცნობოდა ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ მასალებს;

•სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეემოწმებინა და ამოეღო ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

•დაეყენებინა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირის ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი;

•სამინისტროების, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების, ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი ორგანოებისაგან მოეთხოვა ნებისმიერი, მისთვის საჭირო ინფორმაცია;

•განესაზღვრა სამეურნეო საქმიანობის კონკრეტულ სფეროში ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე სასაქონლო-საფინანსო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის წილის ზღვრული ოდენობა და ა.შ.

თავის მხრივ, თუ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური დაადგენდა ეკონომიკური აგენტის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტს, მას შეეძლო დაევალებებინა ეკონომიკური აგენტი აღეკვეთა არსებული მდგომარეობა. ამასთან, ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო იყო შესასრულებლად როგორც ეკონომიკური აგენტისათვის, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის.

„მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსს ეკონომიკის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ანთავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი. შესაბამისად, სამსახური ანგარიშვალდებული იყო (მუხლი 26) ქვეყნის პრეზიდენტის წინაშე, რაც გარკვეულწილად სამსახურის დამოუკიდებლობისა და მის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტს წარმოადგენდა (სამსახურის უფროსი იყო პერსონალურად პასუხისმგებელი სამსახურზე დაკისრებული მოვალეობების აღსრულებაზე).

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველო კანონის ძალაში შესვლით ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური და მის ნაცვლად კანონის V თავის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2005 წლის 23 აგვისტოს ბრძანებით შეიქმნა სახელმწიფო

საქვეყნო დაწესებულება - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

•თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარების ხელისშემშლელი ადმინისტრაციული ბარიერების აღკვეთა;

•სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დისკრიმინაციული ქმედებების, დაუსაბუთებელი სახელმწიფო სუბსიდიებისა (პირდაპირი და არაპირდაპირი) და შეღავათების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა;

•თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვა და შესაბამისი მიწერილობის შემუშავება;

•სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ წარდგენილი მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ა) სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა და საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება;

ბ) მოტივირებული უარის შემთხვევაში საჯარო განცხადების გაკეთება „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში მითითებულ პირთა მართლზომიერი ქმედების შესახებ;

გ) სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოების დაცვა და გაუზრცელებლობა;

•საიდუმლოების შემცველი მონაცემების გამჟღავნებისას მიყენებული ზარალის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით;

•ყოველწლიურად გაწეული საქმიანობის ანგარიშისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის;

ა) სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის თაობაზე;

ბ) რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ამ კანონის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

რამდენადაც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმა გააუქმა ქვეყანაში 2005 წლამდე მოქმედი ყველა საკონკურენციო სამართლებრივი ნორმა, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტომ ჩამოყალიბებისთანავე საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ნორმატიული და მეთოდური ბაზის სრულყოფა.

ამასთან, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, რომლის უმთავრესი ფუნქციაა სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილებების გამოვლენა და აღკვეთა, განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყანაში სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისა და თავისუფალი მეწარმეობის ხელშეწყობის საქმეში. ამდენად, სააგენტოს საქმიანობა, გარდა ნორმატიული და მეთოდური ბაზის სრულყოფის სამუშაოებისა, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების ექსპერტიზა და ცალკეული ორგანიზაციებისა და ეკონომიკური აგენტების კონკრეტული საჩივრების განხილვა.

გარდა ამისა, სააგენტო სისტემატიურად მონაწილეობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაციალური საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურული ზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მუშაობაში, სადაც რესტრუქტურული ზაციის დაქვემდებარებულ სუბიექტებთან მიმართებით, კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილების გამორიცხვის მიზნით, სააგენტო ვალდებულია გაანალიზოს შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე არსებულ მდგომარეობა და ოფიციალურად გამოხატოს თავისი პოზიცია.

ამასთან, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, როგორც მაკონტროლებელ დაწესებულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში აქვს უფლება, სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების და რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიმართ გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული ადმინისტრირების ზომა (მიწერილობა, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა

აქტისა და ოქმის შედგენა, საჯარო განცხადების გაკეთება, სასამართლოში სარჩელის შეტანა), რაც სააგენტოს არც ერთხელ არ გამოუყენებია. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებები უფრო რეკომენდაციული ხასიათისაა ვიდრე სავალდებულო.

საკონტროლო კითხვები:

* როდის და რომელი სამართლებრივი აქტით ჩაეყარა საფუძველი საქართველოში კონკურენციულ კანონმდებლობას?

* ჩამოთვალეთ საქართველოს საკონკურენციო სამართლებრივი აქტები.

* რომელი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ კონკურენციული კანონმდებლობის აღსრულებას საქართველოში?

* რა განსხვავებები და მსგავსებებია „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონებში?

* რა ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები არსებობს საქართველოსა და ევროკავშირის კონკურენციის სამართლებრივ ნორმებს შორის და რა მიმართულებითაა საჭირო ეროვნული საკონკურენციო კანონმდებლობის სრულყოფა?

* რომელი სამართლებრივი აქტების საფუძველზე ხდება საქართველოში საკონკურენციო კანონმდებლობის დარღვევის ადმინისტრირება?

თემა 4. სასაქონლო ბაზარი და მისი სტრუქტურა

კონკურენტული კანონმდებლობის ეკონომიკის საკითხები ძირითადად სამი ურთიერთდაკავშირებული პრობლემის გარშემო ტრიალებს. პირველი მათგანი ეხება დამოკიდებულების „ბაზრის სტრუქტურა-ფირმის ქცევა-ფირმის ეფექტიანობა“ ახსნას, მეორე – სასაქონლო ბაზრების განსაზღვრის ეკონომიკას, ხოლო მესამე დაკავშირებულია საბაზრო ძალაუფლების და ბაზარზე ფირმის დომინირებული მდგომარეობის შესწავლასთან. ამ თანმიმდევრობით შესაძლებელია თეორიულ-ეკონომიკური საკითხებიდან კონკურენციული კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკულ და სამართლებრივ საკითხებზე გადასვლა. დარგის ან ფირმის საქმიანობის ეფექტიანობა დამოკიდებულია მის მოქმედებაზე, ქცევაზე, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ განისაზღვრება ამ დარგის სტრუქტურით. თეორიულ-აღწერილობითი თვალსაზრისით ბაზრის ეკონომიკური მოდელები წარმოადგენენ აბსტრაქციულ კონსტრუქციებს. ბუნებრივია მათ არ შეუძლიათ ამომწურავი პასუხის გაცემა რეალურად არსებული მრავალფეროვანი ურთიერთობების სახეობების მიმართ, მაგრამ ფირმის შესაძლო მოქცევის პროგნოზირებისათვის მათი მნიშვნელობის შემცირება და დაკნინება არაპროდუქტიულია.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის თეორია ანსხვავებს ოთხი ძირითადი სახის საბაზრო სტრუქტურას: სრულყოფილი კონკურენცია, მონოპოლიური კონკურენცია, ოლიგოპოლია, მონოპოლია.

სრულყოფილი კონკურენციის ქვეშ იგულისხმება ისეთი ბაზარი, რომლის ფუნქციონირების პირობებს განსაზღვრავს მომხმარებელი. კერძოდ, იწარმოება ის, რაც სჭირდება მყიდველს და საქონელი იყიდება მაქსიმალურად შესაძლებელ დაბალ ფასებში. ბაზარი იმითია ეფექტური, რომ წარმოების ან გასაღების რაიმე კონკრეტულ ცვლილებებს არ შეუძლია გააუმჯობესოს მომხმარებლის ან გამყიდველის მდგომარეობა სხვა რომელიმეს უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაყენების გარეშე. საზოგადოების კეთილდღეობა მაქსიმუმს აღწევს, რადგან რესურსები გამოიყენება მაქსიმალურად ეფექტიანად, ხოლო პროდუქციის გამოშვება წარმოადგენს ოპტიმალურს. სრულყოფილი კონკურენციის ფაქტორებს (შესაბამისად

ფირმის ქცევის ფაქტორებს) წარმოადგენენ:

1) ბაზარზე მრავალი გამყიდველისა და მყიდველის არსებობა;

2) ბაზარზე ერთი მყიდველის მიერ ნაყიდი ან ერთი გამყიდველის მიერ გაყიდული პროდუქციის ოდენობა იმდენად მცირეა ამ ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის საერთო მოცულობასთან შედარებით, რომ თვითოეული მათგანის რაოდენობრივ ცვლილებას არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ამ ბაზრის ფასზე.


ბევრი გამყიდველის არსებობა განაპირობებს, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია დააწესოს თავის საქონელზე ისეთი ფასი, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება დანახარჯებს (ინვესტირებულ კაპიტალზე მოგების ჩათვლით), რადგან თითოეული მათგანი ფლობს (აკონტროლებს) ბაზრის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. ამ შემთხვევაში უფრო მაღალი ფასის დაწესებისას მყიდველი უბრალოდ არ შეიძენს მისგან საქონელს და მიმართავს მის კონკურენტს. მეორეს მხრივ საქონლის გაყიდვა უფრო დაბალ ფასად ვიდრე კონკურენციულია, არაეფექტურია, რადგან ვერ ანაზღაურდება დახარჯული რესურსების ღირებულება.

3) პროდუქცია წარმოადგენს ერთგაროვანს. ამის გამო ცალკეულ მყიდველებს არა აქვთ მიზეზი და არც სურვილი, რომ ამოიჩიოს რომელიმე განსაზღვრული გამყიდველი და მაინცდამაინც მას მიანიჭოს უპირატესობა;

4) ბაზარი ინფორმაციული თვალსაზრისით გამჭვირვალეა. გამყიდველები და მყიდველები ფლობენ სრულ ინფორმაციას ერთმანეთის, ასევე საქონლის ხარისხის, ფასების, და სხვ. შესახებ.

5) ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის ბარიერები არ არსებობს. ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის ეს სიმსუბუქე ამ ბაზარს მიმზიდველს ხდის ინვესტიციებისათვის. ბაზარზე შესვლის ბარიერების არ არსებობა არ აძლევს საშუალებას ამ ბაზარზე უკვე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს აწარმოონ ნაკლები პროდუქცია და გაყიდონ უფრო მაღალ ფასებში.

მიკროეკონომიკა ცალკეული ფირმისათვის, რომელიც უშვებს პროდუქციას სრულყოფილი კონკურენციის პირობებში წარმოადგენილია №1 ნახაზზე.



ნახაზი №1

პროდუქციის რაოდენობის მიუხედავად გამყიდველი მასზე ფასს ადგენს P დონეზე. უფრო ნაკლებ ფასში გაყიდვისას იგი ვერ აინაზღაურებს დანახარჯებს, ხოლო უფრო მაღალ ფასში გაყიდვისას მომხმარებელი არ იყიდის მისგან საქონელს. გამყიდველი მაქსიმალურ მოგებას ღებულობს E წერტილში და ფასი რომელიც ამ დროს დგინდება წარმოადგენს ამ საქონლის საბაზრო ფასს. თითოეული ფირმის მიერ დაწესებული P ფასი არ შეიძლება იყოს უფრო მაღალი ან უფრო დაბალი ვიდრე საბაზრო ფასი.

გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა Q განისაზღვრება მისი დანახარჯებით. მრუდი, რომელიც შეესატყვისება მის ზღვრულ შემოსავლებს MR-რეალიზაციიდან (შემოსავალი რომელსაც ღებულობს გამყიდველი გაყიდული პროდუქციის ბოლო ერთეულიდან) ემთხვევა D მოთხოვნას. D ინდივიდუალური მოთხოვნის მრუდის პორიზონტალურობა ნიშნავს, რომ თითოეული გაყიდული ერთეული საქონელი მის შემოსავალს მატებს ერთი და იგივე თანხას. გამოშვების გადიდებისას გამყიდველმა უნდა გაადიდოს თავისი საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, რასაც მიყვავართ MC ზღვრული დანახარჯების ზრდასთან. ამიტომ, MC მრუდი მიმართულია ზემოთ.


სრულყოფილი კონკურენციის პირობებში პროდუქციის გამოშვების გადიდება შესაძლებელია მხოლოდ ზღვრული დანახარჯების გადიდების პირობებში. მაგრამ მოგების მაქსიმიზირებაზე ორიენტირებული საბაზრო ქცევა მას აჩერებს E წერტილში, ანუ იმ ადგილას, სადაც $MC=MR=D$, ხოლო მოგება აღწევს მაქსიმუმს.

სრულყოფილი კონკურენციის დროს ყველა ფირმის საბაზრო ქცევა ისეთია, რომ დარგი წარმოადგენს მისი ინდივიდუალური შემადგენლების ჯამს; Q გამოშვების მოცულობა ტოლია ფასების ჯამისა, რომელიც გადაიხადეს

მომხმარებლებმა ნაყიდ საქონელში; P ფასი დგინდება საქონელმწარმოებელთა მიერ მოცემული მოცულობის პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ყველაზე უფრო დაბალი დანახარჯებით.

დანახარჯების ზრდა ნიშნავს ფასების გადიდებას პროდუქციის მოცულობის შემცირებისას.

№2 ნახაზზე მოცემულია პროდუქციის გამოშვება კონკურენციული დარგის პირობებში.



ნახაზი №2

დარგის ზღვრული დანახარჯების მრუდი MC ტოლია თითოეული გამყიდველის ზღვრული დანახარჯების ჯამისა და წარმოადგენს მიწოდების S მრუდს. მოთხოვნის D მრუდი დახრილია ქვემოთ; ნახაზი №1-სგან განსხვავებით ეს გამოწვეულია დარგში საქონლის სრულყოფილი შემცველებების არ არსებობით, რაც ქმნის მოთხოვნის გარკვეულ არაელასტიურობას. ფასების შემცირება (მაგალითად, რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად) იწვევს მოთხოვნის ზრდას; ფასების ზრდა (მაგალითად კარტელური შეთანხმებების შედეგად) გამოიწვევს მოთხოვნის შემცირებას.

სრულყოფილი კონკურენცია სასურველია მომხმარებლისათვის, ვინაიდან რესურსები განაწილდება და გამოიყენება ეფექტიანად. მოთხოვნის D მრუდი ასახავს მომხმარებლის დაჯგუფებას ამ საქონლის (სხვადასხვა მოდიფიკაციით) ყიდვის შესაძლებლობის თვალსაზრისით ან თავისი შემოსავლის სხვა მიზნებით დანახარჯვის თვალსაზრისით.

ზღვრული დანახარჯების MC მრუდი ასახავს რესურსების დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია წარმოებისათვის. თითონ წარმოება იქამდე ფართოვდება, სანამ საქონლის დამატებითი ერთეულის ღირებულება გამართლებულია პოტენციური მყიდველის თვალში.

სრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკა ხასიათდება

ეფექტიანობით, რადგან წარმოების ფაქტორები გამოიყენება მაქსიმალურად ეფექტიანად; ეკონომიკა ეფექტიანია რესურსების განაწილების თვალსაზრისითაც, რადგან საქონელი წარმოება იმ რაოდენობით, რამდენის ყიდვის სურვილიც გააჩნია მომხმარებელს.

ამგვარად, ფირმისა და მთლიანად დარგის ქცევა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში შეიძლება მოკლედ შემდეგი მახასიათებლებით აღიწეროს:

* ცალკეული ფირმების საქმიანობას მივყავართ წარმოებული და რეაგირებული საქონლის რაოდენობის რეგულირებასთან;

* ყველა ფირმა იყიდის საქონელს დანახარჯების დონეზე და იღებენ მხოლოდ ნორმალურ მოგებას ინვესტირებულ კაპიტალზე. არავინ არ იღებს მონოპოლიურ მოგებას;

* თითოეული ფირმა იღებს იმ ფასს, რომელსაც ადგენს ბაზარი;

* კონკურენციულ ბაზარზე ფირმები ახდენენ რეაგირებას საბაზრო ფასის ცვლილებაზე (და არა კარნახი მათი მხრიდან);

* არავის არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საბაზრო ფასზე პროდუქციის რაოდენობის ცვლილებით და ასევე არ შეუძლია პროდუქციის რაოდენობის შეცვლა ფასის შემცირებით ან გადიდებით;

* თითოეული ფირმა ახდენს მოგების მაქსიმიზირებას ცვლის რა (ზრდის ან ამცირებს) პროდუქციის გამოშვების მოცულობას მანამდე სანამ მისი ზღვრული დანახარჯები არ დაემთხვევა საბაზრო ფასს;

* ბაზარზე გამსაზღვრელ ფიგურას წარმოადგენს მომხმარებელი;

* სრულყოფილი კონკურენცია მოითხოვს ცალკეული ფირმებისაგან ეფექტიანობას;

სრულყოფილი კონკურენცია ესაა თეორიული კონსტრუქცია, რომელიც რეალურ ეკონომიკაში უკიდურესად იშვიათია; ის შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში. სპეციალისტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ასეთი ბაზრები საერთოდ არ არსებობენ. მაგრამ თეორიულ დებულებებსა და დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან აჩვენებენ როგორ ფუნქციონირებს კონკურენციული ბაზარი და რა სარგებლობა მოაქვს მას. ის ასევე აჩვენებს იმ პირობებსაც, რომლის დროსაც ყველაზე უფრო მოსალოდნელია კონკურენციული ქცევა. აღნიშნულის ცოდნით შეიძლება იმისი პროგნოზირება, თუ კონკურენციული ქცევა ფირმისაგან ყველაზე მეტად როდისაა მოსალოდნელი.

მაგრამ მართებულია ასევე სხვა მოსაზრებაც: ამ პირობათა არ არსებობა აუცილებლად არ ეწინააღმდეგება კონკურენციის წარმოქმნასა და განვითარებას და ფირმის მხრიდან შესაბამის ქცევას. რეალურ სინამდვილეში კონკურენცია შეიძლება წარმოქმნას და გაძლიერდეს მაშინაც, როდესაც ბაზარი ხასიათდება კონცენტრაციის მაღალი ხარისხით.

მონოპოლია. ბაზარი, რომელზეც მოქმედებს მხოლოდ ერთი გამყიდველი იწოდება მონოპოლიად. მონოპოლიური ძალაუფლება ასეთ გამყიდველს საშუალებას აძლევს შეზღუდოს პროდუქციის წარმოება, აამაღლოს ფასი და მოახდინოს მოგების მაქსიმიზება. მონოპოლისტის ამგვარი მოქმედება განაპირობებს სიმდიდრის გადატანას მომხმარებელიდან გამყიდველი-საკენ, ამცირებს ამ უკანასკნელის მოტივაციას დანერგოს სიახლე წარმოებაში ან რაიმე სხვა გზით გაადიდოს ეფექტიანობა.

ვინაიდან ბაზარზე მოქმედებს მხოლოდ ერთი გამყიდველი, D დარგის პროდუქციაზე მოთხოვნის ქვემოთ მიმართული მრუდი ფაქტობრივად იდენტურია ამ გამყიდველის მოთხოვნის მრუდისა შესაბამის საქონელზე. მოთხოვნის მრუდის უარყოფითი დახრილობისას პროდუქციის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიყიდოს ბაზარზე, იზრდება იმ ზომით როგორც მცირდება ფასი. მონოპოლისტთა მოთხოვნის თვისებები შეიძლება შესწავლილ იქნას ეკონომეტრიკული მეთოდებით, ინტუიციურად ანდა ცდისა და შეცდომის მეთოდით. მონოპოლისტი ირჩევს „ფასი-რაოდენობა“-ს ისეთ კომბინაციას, რომელსაც მოაქვს მაქსიმალური მოგება. ამიტომ, მონოპოლისტს ხშირად უწოდებენ „ფასის მაძიებელს“.

მოთხოვნის D მრუდის უარყოფითი დახრილობისას მონოპოლისტი ვერ აღწევს მოგების მაქსიმუმს პროდუქციის გამოშვების კონკურენციულ დონეზე. ეს შემდგენიერად აიხსნება.


სრულყოფილი კონკურენციისათვის გაყიდვიდან ზღვრული შემოსავალი ერთნაირია პროდუქციის გამოშვების ყველა დონისათვის და ყოველთვის უტოლდება ზღვრულ დანახარჯებსა და ფასს ($MR=MC=P$). რაოდენობა არ ახდენს გავლენას ფასზე და განისაზღვრება ზღვრული დანახარჯების მრუდის ფორმით. მონოპოლიური გამყიდველის ზღვრული შემოსავალი MR ყოველთვის დაბალია, ვიდრე ფასი (რადგან მოთხოვნის მრუდი დახრილია ქვემოთ). ფასის მოცემული დონისათვის პროდუქციის

გამოშვების ყოველი გადიდება მოითხოვს ფასის შემცირებას, შედეგად გაყიდული საქონლის ბოლო ერთეულს მოაქვს ნაკლები შემოსავალი ვიდრე წინა ერთეულის გაყიდვას.

თუ მონოპოლისტი არ იყენებს ფასობრივ დისკრიმინაციას, რაც თავის მხრივ აკრძალულია უმრავლესი ქვეყნების კონკურენციული კანონმდებლობებით, მაშინ იგი იძულებული იქნება პროდუქციის გამოშვების გადიდებისას დააწესოს შედარებით დაბალი ფასი არა მხოლოდ დამატებით გამოშვებულ პროდუქციაზე, არამედ ყველა გასაყიდ საქონელზე. მონოპოლისტს დამატებითი გაყიდვა შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ფასების შემცირებით მთელ გამოშვებულ პროდუქციაზე.

მონოპოლისტის წინაშე დგას არჩევანი: ან გაადიდოს წარმოება და შეამციროს ფასი, ანდა გამოუშვას საქონლის ნაკლები რაოდენობა და გაყიდოს უფრო მაღალ ფასად. მისი განსაკუთრებული მდგომარეობა ბაზარზე განსაზღვრავს მის გადაწყვეტილებასაც. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფასწარმოქმნის შედეგების საპირისპიროდ, მონოპოლისტის დროს მონოპოლისტი როგორც წესი მოგების მაქსიმიზირებას ახდენს პროდუქციის გამოშვების შეზღუდვის და ფასების MC ზღვრულ დანახარჯებზე ხეობთ დადგენის საშუალებით.

მონოპოლისტის ფასწარმოქმნის მიკროეკონომიკა მოცემულია №3 ნახაზზე.




ნახაზი №3

ნახაზი აჩვენებს, რომ მონოპოლისტის ზღვრული შემოსავლის მრუდი MR უფრო ქვემოთაა ვიდრე ფასი, ამიტომ მან უნდა შეამციროს თავისი ფასი პროდუქციის ყველა ერთეულზე, რომ გაყიდოს დამატებითი ერთეული.

ნახაზი №4 აჩვენებს, თუ მონოპოლისტი როგორ ახდენს მოგების მაქსიმიზებას პროდუქციის ისეთი რაოდენობის

გამოშვებით, რომლის დროსაც რეალიზაციიდან ზღვრული შემოსავალი MR ტოლია ზღვრული დანახარჯებისა MC.



ნახაზი №4


ნახაზი აჩვენებს თუ მონოპოლისტის პროდუქციის ფასი რატომ უტოლდება P_m :

ამ ფასისთვის MR და MC მრუდები ერთმანეთს ემთხვევიან, ხოლო ფირმა უშვებს q_m რაოდენობა პროდუქციას. მოგების მაქსიმიზება P_x ფასის ზრდის ხარჯზე არ არის ეფექტიანი, რადგან მომხმარებელი იყიდის q_x ნაკლებ რაოდენობას და შედეგად ჯამური მოგება შემცირდება. მაგრამ მეორეს მხრივ, მონოპოლისტი საქონლის გამოშვებას ადიდებს მხოლოდ იმ დონემდე, სანამ მისი მოგება იზრდება.

მომხმარებლის მონოპოლიზმი: მონოფოსონია და ოლიგოფოსონია. აქამდე ჩვენ ვესებოდით საბაზრო სტრუქტურას და მხედველობაში ვიღებდით, რომ ძალაუფლება ბაზარზე არის გააყიდველის ხელში. მაგრამ რეალურად ცხოვრებაში შესაძლებელია ისეთი შემთხვევების არსებობა, როცა ეს ძალაუფლება ეკუთვნის მყიდველს. ასეთი სიტუაცია ბაზარზე იწოდება მონოფოსონიად ანუ ისეთ ბაზრად, სადაც მოქმედებს მხოლოდ ერთი მყიდველი. თუ ბაზარზე მოქმედებს რამოდენიმე დაახლოებით თანაბარი ძალის მყიდველი, ამ შემთხვევაში ბაზარი იწოდება ოლიგოფოსონიად. თვით მყიდველის საბაზრო ძალაუფლება და ზეგავლენა ფასის დადგენის საკითხებში იწოდება მონოფოსონიურ ძალაუფლებად. მონოფოსონისტი ხელს უშლის რესურსების განაწილებას, შედარებით დაბალ ფასებს აწესებს მისთვის აუცილებელ წარმოების ფაქტორებზე და იყენებს უფრო ნაკლებ რესურსებს, ვიდრე ეს აუცილებელი იქნებოდა ბევრი მყიდველის არსებობის პირობებში. ყველაზე უფრო რეალურ მაგალითს მონოფოსონიური ძალაუფლების შესახებ წარმოადგენს მსხვილი მწარმოებელი მონოპოლისტები, რომლებიც

შეიძენენ შუალედურ პროდუქციას, ასევე ბითუმად გამყიდველები და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი რიგი საწარმოები.

თავის თვითრიელ კონსტრუქციაში მონაპოლია სრულად განსხვავდება კონკურენციისაგან საზოგადოების კეთილდღეობასა და რესურსების განაწილების ხასიათზე ზემოქმედებით. მონოპოლიის პირდაპირ შედეგებს წარმოადგენს პროდუქციის გამოშვების შემცირება, ფასების ამაღლება და შემოსავლების გადანაცვლება მომხმარებელიდან მწარმოებლისაკენ. მონოპოლიზმის ეს უარყოფითი შედეგები ასახულია №5 ნახაზზე.



ნახაზი №5

დარგის მონოპოლიზაციის შემთხვევაში დანახარჯების მრუდები უცვლელი რჩება, ფასი იზრდება P_c -დან P_m -მდე, ხოლო გამოშვების მოცულობა მცირდება q_c -დან q_m -მდე.

მონოპოლისტის გადაწყვეტილებები წარმოების მოცულობისა და ფასების შესახებ იწვევს შემოსავლის გადატანას მომხმარებელიდან გამყიდველისაკენ, რაც დანახარჯების უცვლელობის პირობებში იწვევს მონოპოლისტის მოგების გადიდებას (დაშტრიხული მართკუთხედი).

მონოპოლიურ ფასწარმოქმნას მივყავართ კეთილდღეობის ეგრეთწოდებულ „წმინდა დანაკარგებთან“. ესაა დანაკარგები მომხმარებლებისათვის, რომელსაც შეეძლო კონკურენციული ფასების პირობებში ეყიდა ეს საქონელი მაგრამ მონოპოლიური ფასების დროს იძულებულია შეიძინოს უფრო დაბალი ხარისხის შემცველი საქონელი ანდა უარი თქვას ამ მოთხოვნილების დაკამყოფილებაზე. ფასის გადამტება ზღვრული დანახარჯების სიდიდეზე აჩვენებს, რომ პროდუქციის ღირებულება მომხმარებლისათვის, რომელიც აღარ ყიდულობს ამ საქონელს, მეტია მისი წარმოების საზოგადოებრივ დანახარჯებზე. საზოგადოება ამით ხდება უფრო ღარიბი რადგან შესაძლებელი იყო, რომ საწარმოო

რესურსები გამოყენებულიყო უფრო პროდუქტიულად იმ დარგებში, რომლებიც იძულებული ხდებიან შეამცირონ პროდუქციის რაოდენობა, ვიდრე იმ დარგებში სადაც იწარმოება ამ საქონლის შემცველი შედარებით დაბალი ხარისხის საქონელი. წმინდა დანაკარგების უბანი (დაშტრიხული სამკუთხედი) აჩვენებს მონოპოლიის პირობებში რესურსების არარაციონალური განაწილების შედეგად საზოგადოების კეთილდღეობის დანაკარგებს.

მონოპოლიის მაგნე შედეგები გამოიხატება არა მხოლოდ რესურსების არაეფექტიან განაწილებაში. ზემოგების მიღების იმედად ცალკეული ფირმები რესურსების დიდ ნაწილს მიმართავენ საქმიანობის არამწარმოებლურ სახეობებზე, როგორცაა მაგალითად ადვოკატების მომსახურების ანაზღაურება, მთავრობის ცალკეული წარმომადგენლების ლობირება და სხვა. ხშირად მონოპოლიური მოგება გამოიყენება სხვადასხვა ბარიერების შესაქმნელად, რომლებიც ხელს უშლიან ბაზარზე სხვა ეკონომიკური აგენტების შესვლას და საბოლოო ჯამში კონკურენციის განვითარებას.

მონოპოლიური კონკურენცია წარმოადგენს ისეთ საბაზრო სტრუქტურას, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- 1) ბაზარზე არსებობს ბევრი გამყიდველი და ბევრი მყიდველი;
- 2) ინფორმაცია გასაყიდი საქონლის და მისი ფასების შესახებ სრულყოფილია;
- 3) ბაზარზე თავისუფლად შეიძლება შესვლა და ასევე თავისუფლად შეიძლება ბაზრის დატოვება;
- 4) გამყიდველთა საქონელი არაერთგვაროვანია. მყიდველი გასაყიდ საქონელში ხედავს განსხვავებას, თუმცა ისინი მისთვის მაინც ურთიერთშემცვლელს წარმოადგენენ.

როგორც ვხედავთ, პირველი სამი ნიშანი იდენტურია სრულყოფილი კონკურენციისათვის დამახასიათებელი ნიშნებისა. აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბოლო ნიშანი: ბაზარზე იყიდება სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთის შემცველი საქონელი. სამომხმარებლო არჩევანი დაკავშირებულია საქონლის ურთიერთშემცვლელობის შეფასებასთან.

მონოპოლიური კონკურენცია გამოირჩევა კონკურენციული ბრძოლის უპირატესად არაფასობრივი მეთოდების გამოყენებით. ასეთი კონკურენტები წინა პლანზე აყენებენ რეკლამას, პროდუქციის ხარისხს, გაყიდვისა და გასაღების მოწინავე მეთოდებს და

სხვ.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მონოპოლიური კონკურენციები მიიღებენ ნორმალურ კონკურენციულ მოგებას ინვესტირებულ კაპიტალზე იმასთან დაკავშირებით, რომ ფირმები ბაზარზე კონკურენციას უწევენ ერთმანეთს და ზრდიან სავაჭრო დანახარჯებს. ამასთან, ბაზარზე შესვლა სხვა ფირმებისთვისაც სავსებით შესაძლებელია. ფასები ამ შემთხვევაში ასახავენ მონოპოლიურ პირობებს, რადგან ფასში შედის „დამატებითი“ (ნორმალურზე უფრო მაღალი) სავაჭრო დანახარჯები. პროდუქციის რაოდენობა იქნება უფრო ნაკლები ვიდრე სრულყოფილი კონკურენციის დროს, ხოლო საშუალო დანახარჯები უფრო მაღალი. მონოპოლიური კონკურენცია ჰგავს მონოპოლიას, ვინაიდან მოთხოვნის მრუდები გარკვეული ხარისხის უნიკალურ პროდუქტებზე მიმართულია ქვემოთ. მაგრამ ეს სიტუაცია განსხვავებულია რიგი მახასიათებლებით, რომლებიც ეკუთვნის სრულყოფილ კონკურენციას, რომლის დროსაც ფირმებს ჰყავთ ძალიან ბევრი რეალური ან პოტენციური კონკურენტი და ამიტომ დებულებენ ნორმალურ მოგებას.

თუ არსებობს კონკურენციისა და მონოპოლიის ელემენტები, გამყიდველებს შეუძლიათ თავიანთ საქონელზე ფასები დააწესონ კონკურენციულ დონეზე ზემოთ, რადგან საქონლის დიფერენციაცია აძლევს მათ მონოპოლიური ძალაუფლების გარკვეულ ხარისხს, ხოლო სხვა მსგავსი პროდუქტები სხვადასხვა მიზეზების გამო არ წარმოადგენენ სრულ შემცვლელებს (სასაქონლო ნიშანი, სტილი, რეკლამა, მომსახურება და სხვ.). სხვა მხრივ გამყიდველები ვერ იქნებიან იგივე პოზიციაში, როგორც მონოპოლისტები, რადგან მათი პროდუქტებისთვის არსებობს ძალიან მიახლოებული შემცვლელები. კონკურენციული დაწოლა გამყიდველებს აიძულებს რეაგირება მოახდინონ სარეკლამო საქმიანობის გადიდებით და სხვა ძვირადღირებული ღონისძიებებით, რომლებიც არ აძლევენ საშუალებას მიიღონ მოგება მონოპოლიურის დონეზე.

ამგვარად, მონოპოლიური კონკურენციის პირობებში ფირმები ვერ იღებენ, ვერ სარგებლობენ მონოპოლიის ყველა „სიკეთით“, მაგრამ პროდუქციის რაოდენობა და ფასი რჩება მონოპოლიურად მაღალ დონეზე. ასეთი სიტუაცია მეტად არახელსაყრელია მომხმარებლის თვალსაზრისით. თეორე-

ტიკოსები ამტკიცებენ, რომ მონოპოლიური კონკურენცია არაეფექტურია პარეტოს მიხედვით, რადგან წონასწორობის ფასი აჭარბებს ზღერულ დანახარჯებს.

ზოგიერთ ასპექტში მონოპოლიური კონკურენცია სასარგებლოა მომხმარებლისათვის. საქონლის მრავალფეროვნება, განსხვავება მათ შორის შეიძლება მომხმარებლის მიერ შეფასდეს როგორც მისი კეთილდღეობის შემადგენელი ნაწილი. სავაჭრო დანახარჯებმა (მაგალითად რეკლამაზე) შეიძლება შეამციროს მომხმარებლისათვის საქონლის მოძებნის ფასი, რაც რეალურად ამაღლებს მის კეთილდღეობას.

ბაზარი იწოდება **ოლიგოპოლიურად** თუ მასში მონაწილეობს ფირმების მცირე რაოდენობა და ამასთან, თითოეული მათგანი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას წარმოების მოცულობისა და ფასის განსაზღვრაში. ფირმების რაოდენობა ბაზარზე იმდენად უმნიშვნელოა, რომ თითოეულ მაგანს გააჩნია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალა.

ამასთან, ფირმის მიერ გადაწყვეტილების მიღება წარმოების მოცულობისა და ფასის შესახებ დამოკიდებულია კონკურენტის მოსალოდნელ მოქმედებაზე. სწორედ ამიტომ ოლიგოპოლიური გამყიდველები ძალიან ხშირად ყურადღების კონცენტრაციას ახდენენ კოორდინაციასა და პროგნოზირებაზე.

კონკურენცია ვლინდება ირიბად—ფასების შენიღბული შემცირებით (ხარისხის ამაღლება, კრედიტის პირობების გაუმჯობესება, სახელში მიტანით მომსახურება, ფასების შერჩევითი საიდუმლო შემცირება). არაფასობრივ კონკურენციას ადგილი აქვს პროდუქტის დიფერენციაციის, რეკლამის გაფართოების, გასაღების სტიმულირების საკითხებში. ზოგადად, კონკურენცია შეზღუდულია მეტოქეების მხრიდან საპასუხო ზომების გამოყენების ანდა ჯამური დანახარჯების ზრდის შიშით. თეორიულად ოლიგოპოლიის ძირითადი განსხვავება სხვა საბაზრო სტრუქტურებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილება პროდუქციის ფასებისა და რაოდენობის შესახებ მიიღება მოწინააღმდეგის შესაძლო რეაქციის გათვალისწინებით. სრულყოფილი კონკურენციისაგან მას ანსხვავებს ის, რომ ოლიგოპოლისტმა უნდა გაითვალისწინოს სხვა ფირმის დამოუკიდებლობა (სრულყოფილი კონკურენციის პირობებში არც ერთი ფირმა არ შეუძლია იმოქმედოს სხვების ქცევაზე). მონოპოლიური კონკურენციისაგან

ოლიგოპოლია განსხვავდება იმით, რომ ფირმებს აქვთ გარკვეული კონტროლის შესაძლებლობა ფასების დადგენაზე. ხოლო მონოპოლიისაგან იმით განსხვავდება, რომ ოლიგოპოლიის დროს თითოეული ფირმა შეწუნებულია კონკურენტების შესაძლო მოქმედებების პროგნოზირებითა და ანალიზით (მონოპოლიას არ ჰყავს კონკურენტი).

ამგვარად, ოლიგოპოლიური ბაზრის პირობებში მეტოქეების მოქმედება არა მარტო ზემოქმედებს ოლიგოპოლისტზე, არამედ დამოკიდებული არიან მის მოქმედებებზე. საბაზრო სიტუაცია ხასიათდება ფირმების ურთიერთდამოკიდებულებით, ხოლო თითოეული ოლიგოპოლისტის მოქმედება და საპასუხო ქცევა ძნელად განსაჯერება.

არსებობს ოლიგოპოლიის რამდენიმე სახეობა – სიმეტრიული (იმ შემთხვევაში თუ ყველა ფირმა დაახლოებით ერთი ზომისაა) და ასიმეტრიული (ფირმების ზომა სხვადასხვაა, მაგალითად დომინირებული ფირმა და მისი მცირე ზომის კონკურენტები). ოლიგოპოლიურ დარგს შეუძლია აწარმოოს როგორც ერთი სახეობის, ისე მრავალი სახეობის საქონელი.

ოლიგოპოლიის მოქმედების ანალიზში მთავარია იმ შედეგების შესწავლა, რომელსაც იწვევს ერთ ბაზარზე მოქმედი ფირმების ურთიერთდამოკიდებულება. ოლიგოპოლიური ბაზრის შესწავლაში მთავარი სიძნელე მდგომარეობს იმის ასახვაში, თუ ფირმა როგორ იქცევა როცა მან იცის, რომ დამოუკიდებელი კონკურენტის მიერ გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია თითონ მისთვის.

ამ საკითხის გადასაწყვეტად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა. პირველი მიდგომა იმაში, რომ ფირმები არ თანამშრომლობენ და მოქმედებენ დამოუკიდებლად. ფირმებს შორის თანამშრომლობის არ არსებობისას ოლიგოპოლიურ მოქმედებათა ანალიზი წარმოადგენს ოლიგოპოლიის თეორიის საფუძველს.

მეორე მიდგომა უშვებს, რომ ფირმები თანამშრომლობენ, ანუ მათ შორის არსებობს შეთანხმება მონოპოლიური მოგების მიღების მიზნით. ამ ასპექტში ოლიგოპოლიური საქმიანობა შეიძლება წარმოადგენდეს კონკურენტული სააგენტოების ინტერესის სფეროს, როგორც კანონის დარღვევა.

სასაქონლო ბაზრის განსაზღვრა. სასაქონლო ბაზრის განსაზღვრის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური ანალიზი, რომელიც მოიცავს სასაქონლო ბაზრის ძირითადი ფაქტორების – პროდუქტიული და გეოგრაფიული საზღვრების,

გადახდისუნარიანი მოთხოვნისა და საბაზრო მიწოდების სტრუქტურის კვლევას. ამ ანალიზს ემატება ისეთი რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებები, როგორცაა გაყიდვების მოცულობა და ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები. ამგვარი ანალიზის ძირითადი მიზანია ფირმების საბაზრო ძალაუფლების შესახებ მონაცემების წარმოდგენა. ამიტომ სასაქონლო ბაზრის განსაზღვრას კონკურენტული პოლიტიკის გამოყენებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

არსებითად კონკურენტული პოლიტიკა იწყება სასაქონლო ბაზრის განსაზღვრიდან. ეს საქმიანობა აქტუალურია როგორც ცალკეული ეკონომიკური აგენტებისათვის, ასევე კონკურენტის ორგანოებისათვის.

თავისი შინაარსით სასაქონლო ბაზრის განსაზღვრა წარმოადგენს მარკეტინგული გამოკვლევის ნაწილს, რომელიც იძლევა გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელ ეკონომიკურ ინფორმაციას.

ეკონომიკური აგენტებისათვის ბაზრის განსაზღვრა ნიშნავს:

* სასაქონლო ბაზრის პროდუქტიული და გეოგრაფიული საზღვრების დადგენას;

* უახლოესი კონკურენტებისა და ბაზარზე მათი წილების განსაზღვრას;

* ბაზარზე თვით ამ ფირმის მდგომარეობის დადგენას.

ასეთი სახის მონაცემები ფირმის მენეჯერებს უზრუნველყოფენ ინფორმაციით ფირმის საქმიანობის სტრატეგიული და ტაქტიკური დაგეგმვის პროცესში, ეფექტური მარკეტინგის გატარებაში, ისეთი სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია კონკურენტული კანონმდებლობის გამოყენებასთან. მაგალითად, შერწყმები შეერთებები და შესყიდვები.

კონკურენტის ორგანოები ახორციელებენ სასაქონლო ბაზრის განსაზღვრას და ანალიზს თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ბაზრის ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება:

* ბაზარზე ფირმის დომინირებული მდგომარეობის დასადგენად;

* კარტელური შეთანხმებების საბაზრო ძალაუფლების დადგენისა და მათი კანონიერების განსაზღვრისათვის;

* მონოპოლიათა სახელმწიფო რეგულირების ზომების დასაბუთებისათვის;

* სასაქონლო ბაზრებზე კაპიტალის კონცენტრაციის

კონტროლის განხორციელებისათვის;

* სასაქონლო ბაზრების დემონოპოლიზაციის და კონკურენციის განვითარების ღონისძიებათა შესამუშაებლად.

თვით სასაქონლო ბაზრის განსაზღვრა შემდეგ ეტაპებს მოიცავს: 1) ბაზრის პროდუქტიული საღვრების დადგენა; 2) გამოიღველებსა და მყიდველებს შემადგენლობის განსაზღვრა; 3) ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა; 4) სასაქონლო ბაზრის მოცულობის განსაზღვრა და 5) ეკონომიკური აგენტის წილის დადგენა ბაზრის საერთო მოცულობაში.

სასაქონლო ბაზრის პროდუქტიული საზღვრები წარმოადგენენ იმ ჩარჩოს, რომელშიც განსაზღვრული საქონელი და მისი შემცველები მომხმარებლის მიერ შეფასებულია როგორც ერთიანი სასაქონლო ბაზარი. ამ ჩარჩოს დასადგენად გამოიყენება საქონლის ურთიერთ-შემცველელობა მოთხოვნის მიხედვით.

ურთიერთშემცველი საქონელი ესაა საქონლის ჯგუფი, რომლებიც შესადარია მათი ფუნქციონალური დანიშნულების, გამოყენების, ხარისხობრივი და ტექნიკური მახასიათებლების, ასევე ფასისა და სხვა პარამეტრების მიხედვით, ისე, რომ მყიდველი ნამდვილად ცვლის ან მზად არის შეცვალოს ერთი საქონელი მეორეთი მოხმარების პროცესში, მათ შორის საწარმოო მოხმარების დროსაც.

საქონლის ურთიერთშემცველელობის თეორიაში იყენებენ ისეთ ცნებას, როგორიცაა „ჰიპოთეტური მონოპოლისტი“: თუ ჰიპოთეტურ მონოპოლისტს არ შეუძლია რაღაც X საქონელზე ფასების აწევა მოსალოდნელ კონკურენციულ დონეზე ზემოთ იმის გამო, რომ მომხმარებელი გადაერთვება სხვა Y კონკურირებადი საქონლის მოხმარებაზე, მაშინ X და Y საქონელი შედიან ერთი სასაქონლო ბაზრის პროდუქტიულ საზღვრებში.

პროდუქტის მართებული განსაზღვრა ესაა ყველაზე უფრო ვიწრო სასაქონლო ჯგუფის (ან ცალკეული საქონლის) გამოვლენა, რომელზედაც ფასის აწევა ჰიპოთეტურ მონოპოლისტს შეუძლია კონკურენციულ დონეზე ზემოთ. კონკურენციული ორგანოები ამასთან დაკავშირებით იყენებენ ეგრეთ წოდებულ „უმცირესი ბაზრის წესს“.

მოხმარების მიხედვით ურთიერთშემცველელობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ზუსტ კრიტერიუმს წარმოადგენს

მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიურობა. ეს მაჩვენებელი ნიშნავს კონკრეტული პროდუქციის მოცულობის პროცენტულ ცვლილებას მოთხოვნის დაკმაყოფილებებისათვის, რომელიც მიმდინარეობს სხვა (მსგავსი) პროდუქციის ფასების პროცენტული ცვლილებების შედეგად. ყველა ფასების ცვლილების პირობებში X საქონლის წარმოების მოცულობა, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნას, დამოკიდებულია არა მხოლოდ ამ საქონლის ფასზე, არამედ სხვა საქონელზე, მაგალითად Y საქონელზე დადგენილ ფასებზეც.

მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიურობის კონცეფცია გამოიყენება საქონლის ურთიერთშემცველ და ურთიერთ-შემავსებელ კატეგორიებად კლასიფიცირებისას. ასევე, საქონლის ჯგუფის კლასიფიცირების მიზნით ბაზრის განსაზღვრის საკითხებში თუ რეალურად ანდა პოტენციურად ესა თუ ის საქონელი რამდენად კონკურენციულია ერთმანეთის მიმართ.

მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიურობა შეიძლება გაანგავრიშებულ იქნას შემდეგი ფორმულით.

$$E_{xy} = \frac{\Delta Q_x / Q_x}{\Delta P_y / P_y}, \text{ სადაც}$$

Q – არის X საქონლის რაოდენობა,

P – Y საქონლის ფასები,

Δ – შესაბამისი სიდიდეების ცვლილება.

თუ Y საქონელზე ფასების ზრდისას მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ხდება X საქონლის გამოშვების (რეალიზაციის) გადიდება იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელის ფასი რჩება უცვლელი, მაშინ X და Y საქონელი ითვლება ურთიერთ-შემცველად. ამასთან, ჯვარედინი ელასტიურობის კოეფიციენტს აქვს დადებითი მნიშვნელობა. რაც უფრო დიდია დადებითი კოეფიციენტი, მით მეტია საქონლის ურთიერთშემცველეობის ხარისხი. ნულოვანი კოეფიციენტი აჩვენებს, რომ საქონელს შორის ურთიერთშემცველეობა არ არსებობს. ჯვარედინი ელასტიურობის უარყოფითი კოეფიციენტი იმის მაჩვენებელია, რომ ეს საქონელი წარმოადგენს ურთიერთდამატებით (შემავსებელ) საქონელს. პრაქტიკაში, როგორც წესი, იყენებენ საქონლის ურთიერთშემცველეობის შეფასების უფრო

მოსახერხებელ და ნაკლებად შრომატევად მეთოდს ისეთი მახასიათებლების გამოვლენის საფუძველზე, როგორიცაა:

- * ფუნქციონალური ურთიერთშემცვლელობა;
- * შედარებითი ფასები;
- * მყიდველის აზრი.

ფუნქციონალური ურთიერთშემცვლელობა ესაა საქონლის უნარი დააკმაყოფილოს მყიდველის ერთი და იგივე მოთხოვნილება. თუ არ არსებობს სხვა საქონელი რომელიც ფუნქციონალურად იქნებოდა განსახილველის ექვივალენტური, მაშინ ამ საქონელს არ გააჩნია შემცვლელი და ითვლება, რომ ის წარმოადგენს სასაქონლო ბაზარს. ასე, მაგ., მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების საბურავები არ წარმოადგენენ ფუნქციონალურად ურთიერთშემცვლელებს და შედეგად წარმოადგენენ სხვადასხვა სასაქონლო ბაზრებს.

ზოგიერთი საქონელი პირიქით ტექნოლოგიური თავისებურებების მიუხედავად ფლობენ უნარს შეცვალონ ერთმანეთი, მაგალითად საბავშვო კვების მზა პროდუქტი შეიძლება შეცვალოს საბავშვო პროდუქტმა ფხვნილის სახით.

შედარებითი ფასები ასევე ახასიათებენ ურთიერთშემცვლელობას ფასების მიხედვით. ფუნქციონალურად ექვივალენტური საქონელი შეიძლება სხვადასხვა სასაქონლო ბაზარს მიეკუთვნებოდნენ ფასის ფაქტორის ზემოქმედების გათვალისწინებით, რადგან თუ ფასებს შორის იქნება დიდი სხვაობა მაშინ მომხმარებელი ერთი საქონლის მოხმარებიდან მეორე საქონელზე გადართვისას, იქმნება რა ფასობრივი ბარიერი, ფაქტობრივად ვერ გადავა მეორე საქონლის მოხმარებაზე. საზოგადოდ მიღებულია, რომ ფუნქციონალურად ექვივალენტური სასაქონლო ჯგუფების ფასებს შორის 10 პროცენტამდე განსხვავებისას შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს საქონელი წარმოადგენს ურთიერთშემცვლელს.

პროდუქტისა და მისი საზღვრების ანალიზში შეიძლება წარმოიქმნას გარკვეული სირთულეები, განსაკუთრებით ბაზრის გაჯერებულობის პირობებში, როცა მასში ჩართული დიფერენცირებული საქონელ-სუბსტიტუტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მარკის, მომსახურების, სასაქონლო ნიშნის, ფასის და ა.შ. მიხედვით.

მყიდველის აზრი საქონლის ურთიერთშემცვლელობის თაობაზე ასევე ითვლება ბაზრის პროდუქტიული საზღვრე-

ბის ობიექტურ მაჩვენებლად.

ეს აზრი შეიძლება დადგინდეს მყიდველის სრული ან შერჩევითი გამოკითხვის საფუძველზე და დაზუსტდეს საქონელმცოდნეთა მიერ საქონლის ექსპერტიზის შედეგად. გამოკითხვა სწარმოებს მყიდველის ჯგუფების მიხედვით, რომლებიც დიფერენცირებული არიან საქონლის მიმოქცევაში მონაწილეობის წესით (ბითუმად მყიდველი, წვრილ-ბითუმად მყიდველი და საქონლის საცალო მყიდველი).

არაერთგვაროვანი შეფასების შემთხვევისას საჭიროა ჩატარდეს მიზეზების დეტალური შეწავლა, თუ მომხმარებელთა ნაწილისათვის რატომ წარმოადგენს საქონელი ურთიერთშემცვლელს, ხოლო მეორე ნაწილისათვის რატომ არ წარმოადგენს ურთიერთშემცვლელს.

სასაქონლო ბაზრის პროდუქტიული საზღვრები – ცვლადი მოვლენაა. მათი მოძრაობა დამოკიდებულია მრავალრიცხოვან ფაქტორებზე (ფუნქციონალური ურთიერთშემცვლელობა, შეფარდებითი ფასები, მოდა, მომხმარებლის შემოსავლების დინამიკა, ბაზრის გაჯერების ხარისხი, სტაბილურობა და მისი კონკურენციულობა, ურთიერთშემცვლელობის სხვა ისეთი ბარიერების არსებობა როგორცაა საქონლის მარკა, მომსახურების განსაკუთრებული პირობები – სახლში მიტანა და სხვ.).

ბაზრის დეფინიტიურობა, მომხმარებლის რეალური შემოსავლების შემცირება აფართოებს საქონლის ურთიერთშემცვლელობის საზღვრებს, მაგრამ მხოლოდ იმ ჩარჩოებში, რომელიც განსაზღვრულია სასაქონლო პროდუქციის ფუნქციონალური დანიშნულებით.

სასაქონლო ბაზარზე გამყიდველებისა და მყიდველების შემადგენლობის განსაზღვრის ეტაპი წარმოადგენს ბაზრის სტრუქტურულ ანალიზს, რომლის საფუძველზეც მიიღება ინფორმაცია მყიდველთა ძირითადი ჯგუფების შესახებ (გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტრუქტურა) და გამყიდველთა შესახებ (საბაზრო მიწოდების სტრუქტურა).

გადახდისუნარიანი მოთხოვნის სტრუქტურის ანალიზის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს მომხმარებელთა სეგმენტირება; მაგ., რძის მყიდველი შეიძლება იყოს საცალო მაღაზია, საზოგადოებრივი კვების დაწესებულება, ჯანდაცვისა და განათლების ორგანიზაციები, მოქალაქეები (საბოლოო მომხმარებლები). თითოეული ჯგუფი (ანუ სეგმენტი)

ხასიათდება სპეციფიური თავისებურებებით, ვინაიდან განსხვავდება შესყიდვის მოცულობით, შეძენის მიზნებითა და სიხშირით, მოხმარების რეგულარულობით. ხშირად სხვადასხვა სეგმენტები ახორციელებენ გარიგებებს და იყენებენ ურთიერთანგარიშსწორების სხვადასხვა წესებს. აქ მოქმედებს სხვადასხვა ფასობრივი ფაქტორები. სეგმენტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მყიდველთა რიცხოვნების მიხედვითაც. მომხმარებლის სეგმენტირება გამოავლენს ამ სპეციფიკურ თავისებურებებს, აჯგუფებს მათ მნიშვნელობის მიხედვით, აერთიანებს დამოუკიდებელ სუბბაზრებად.

ამგვარი დაყოფის კრიტერიუმს წარმოადგენს საქონლის ბრუნვაში მყიდველის მონაწილეობის წესი. ჯგუფის შემადგენლობა ზუსტდება შემდეგი კრიტერიუმის საფუძველზე: გამოყოფილი ჯგუფის თითოეულ მყიდველს შეუძლია შეიძინოს საქონელი ნებისმიერი გამყიდველისგან, რომელიც ახდენს საქონლის რეალიზაციას ბაზარზე. საბაზრო მიწოდების სტრუქტურის შესწავლა ესაა გამოყოფილი სასაქონლო ჯგუფის არსებული და პოტენციური გამყიდველების გამოვლენა.

მაგალითად, ერთი და იგივე საქონლის საბითუმო და საცალო ბაზრები, როგორც წესი ხასიათდება გამყიდველებისა და მყიდველების სხვადასხვა შემადგენლობით და სხვადასხვა გეოგრაფიული საზღვრებით და სხვადასხვა ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემულ ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის ბარიერებს. ეს არ იძლევა საშუალებას ჩაითვალოს ისინი ერთ სასაქონლო ბაზრად და საჭიროა მათი ცალ-ცალკე შესწავლა.

გეოგრაფიული საზღვრები ესაა სასაქონლო ბაზრების ტერიტორიულ სივრცობრივი დახასიათება, რომელიც აჩვენებს მყიდველის შესაძლებლობას შეიძინოს საქონელი ამ ტერიტორიაზე ან ამ შესაძლებლობის არ არსებობაზე ამ საზღვრებს გარეთ. მყიდველის შესაძლებლობა – გეოგრაფიული საზღვრების ძირითადი ფაქტორი – შეიძლება დადგინდეს ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ადმინისტრაციული ბარიერების მეშვეობით, რომლებიც ზღუდავენ მოცემულ ტერიტორიაზე მის მონაწილეობას საქონლის შეძენაში. ეს ბარიერები აჩვენებენ იმ ტერიტორიას, სადაც მყიდველი გამოყოფილი ჯგუფიდან შეიძენს ან შეუძლია შეიძინოს აუცილებელი საქონელი.

განსაზღვრებიდან გამომდინარეობს გეოგრაფიული საზღვრების

უაღრესად მნიშვნელოვანი მახასიათებელი; კერძოდ: ეს საზღვრები შეიძლება იყოს სრულიად სხვადასხვა (იმის მსგავსად, რამდენად სხვადასხვა შეიძლება იყოს მყიდველის შესაძლებლობა).

ბაზრის ტერიტორია განისაზღვრება ისევე, როგორც სასაქონლო ჯგუფი – მყიდველის მიერ თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის მიხედვით ბაზრის სხვადასხვა სფეროებში (ნაწილებში). თუ მყიდველი თვლის რომ საქონელი, რომელიც იყიდება ერთ რეგიონში წარმოადგენს იმ საქონლის შემცველს რომელიც იყიდება მეორე რეგიონში, მაშინ ეს რეგიონები შეიძლება განხილულ იქნას როგორც ერთი გეოგრაფიული ბაზარი.

პროდუქტიულის მსგავსად, გეოგრაფიული საზღვრები შეიძლება აღწერილ იქნას „პოთენციური მონოპოლისტის“ ქცევის მეშვეობით: გამყიდველები, რომლებიც იმყოფებიან სხვადასხვა ადგილებში, ითვლებიან ერთ ბაზარზე მოქმედად, თუ თითოეული მათგანის შესაძლებლობა ფასის ამადლების თვალსაზრისით შეზღუდულია მომხმარებლის შესაძლებლობით შეიძინოს ეს საქონელი სხვა გამყიდველისაგან. მომხმარებლის მზადყოფნის ხარისხი დამოკიდებულია ასეთი გადართვის ღირებულებასა და უხერხულობის ხარისხზე.

ერთიანი გეოგრაფიული ბაზრის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს:

* შესაძლებლობა მოთხოვნამ გადაინაცლოს იმ ტერიტორიებს შორის, რომლებიც წინასწარი ვარაუდით შედიან ერთიან გეოგრაფიულ ბაზარში. მაგალითად, სატრანსპორტო საშუალებათა ხელმისაწვდომობა მყიდველის გადასაადგილებლად გამყიდველთან; სატრანსპორტო ხარჯების უმნიშვნელობა (მაგალითად საქონლის ფასის 5 პროცენტის ფარგლებში) მყიდველის გადასაადგილებლად გამყიდველთან;

* შესაძლებლობა, საქონელი გადაადგილდეს იმ ტერიტორიებს შორის, რომლებიც წინასწარი დაშვებით შედიან ერთიან გეოგრაფიულ ბაზარში; დამატებითი ხარჯების უმნიშვნელო მატება (უცხოური ამოცვდილების გათვალისწინებით საქონლის ფასის 5 პროცენტის ფარგლებში) საქონლის ტრანსპორტირებისათვის გამყიდველიდან მყიდველამდე.

* საქონლის ხარისხისა და სამომხმარებლო თვისებების დონის შენარჩუნება მისი ტრანსპორტირების პროცესში;

* მოცემულ ტერიტორიაზე საქონლის შეტანის ან გატანის მიმართ ადმინისტრაციული შეზღუდვების არ არსებობა;

* შესაბამის საქონელზე ფასების შესადარი დონე სავარაუდო ბაზრის საზღვრების შიგნით;

სასაქონლო ბაზრების გეოგრაფიული საზღვრების ანალიზისას მნიშვნელოვანია ყველა ჩამოთვლილი ნიშნების არსებობა. შესწავლის ობიექტურობა დამოკიდებულია ისეთ ინფორმაციაზე როგორცაა:

* გაყიდვის (წარმოების) სხვა პუნქტების არსებობა;
* ერთი პუნქტის მეორეთი შეცვლის შესაძლებლობა, რომელიც კონკრეტულ გაყიდვის პუნქტში ფასის ამაღლების შემთხვევაში;

* დანახარჯები საქონლის გადატანაზე;
* საქონლის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა (განსაკუთრებით აქტუალურია მალფუჭებადი კვების პროდუქტებისათვის).

ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკაში მიღებულია, რომ გაყიდვის ერთი პუნქტი შეიძლება აღმოჩნდეს მეორის „შემცვლელი“, თუ საქონლის ფასი განსახილველ პუნქტსა და მის შემცვლელს შორის არ განსხვავდება 5 პროცენტზე მეტით.

გეოგრაფიული საზღვრები, ისევე როგორც პროდუქტიული, მოძრავი მოვლენაა. მათ გაფართოებაზე ან შევიწროებაზე უპირველეს ყოვლისა მოქმედებენ დანახარჯების ღირებულება, რომელსაც ხარჯავენ გამყიდველები და მყიდველები იმისათვის რომ საძიებელი საქონელი აღმოჩნდეს სხვა ტერიტორიაზე. საბაზრო ურთიერთობათა განვითარება ხელს უწყობს საზღვრების გაფართოებას და შესაბამისად ზრდის მყიდველთა შესაძლებლობას საქონლის შეძენის თვალსაზრისით. ისევე როგორც ბაზრის პროდუქტიული საზღვრები, მისი გეოგრაფიაც შეიძლება გახდეს სასამართლო დავის საგანი. ბაზრის ტერიტორიის განსაზღვრაზე დამოკიდებული გაყიდვის საერთო მოცულობა, შესაბამისად, ცალკეული ფირმის საბაზრო წილი და მისი საბაზრო ძალა.

საკონტროლო კითხვები:

- * საბაზრო სტრუქტურის რა ძირითადი ტიპები არსებობს?
- * რომელი ფაქტორები ახასიათებს სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო სტრუქტურას?
- * რომელი ფაქტორები ახასიათებს მონოპოლიური კონკურენციის საბაზრო სტრუქტურას?
- * რა არის მონოპოლია და რა ძირითადი ნეგატიური თვისებებით ხასიათდება იგი?

- * რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება ოლიგოპოლიური ბაზარი?
- * რაში მდგომარეობს მომხმარებლის მონოპოლიზმი?
- * რას ეწოდება სასაქონლო ბაზრის პროდუქტიული და გეოგრაფიული საზღვრები და როგორ დგინდება ისინი?

თემა 5. სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის ხარისხის მახასიათებელი ძირითადი პარამეტრები და კრიტერიუმები

სასაქონლო ბაზრის რაოდენობრივ მახასიათებელს წარმოადგენს დადგენილ გეოგრაფიულ საზღვრებში საქონლის რეალიზაციის საერთო მოცულობა ღირებულებით და/ან ნატურალურ მაჩვენებელში. სასაქონლო ბაზრის მოცულობის დადგენისას აუცილებელ პროცედურას წარმოადგენს მისი პროდუქტიული და გეოგრაფიული საზღვრების, გამყიდველებისა და მყიდველების შემადგენლობის დაზუსტება და ასევე დროითი ინტერვალის განსაზღვრა. როგორც წესი, ეს უკანასკნელი ერთ კალენდარულ წელს უტოლდება.

სასაქონლო ბაზრებზე გაყიდვების საერთო მოცულობის დასადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა წესი, რაც ძირითადად დამოკიდებულია იმაზე თუ დაინტერესებულ მკვლევარებს რა რაოდენობის და როგორი ხარისხის საიმედოობის ინფორმაცია გააჩნიათ.

თეორიულად, სასაქონლო ბაზრის საერთო მოცულობა წარმოადგენს ყველა გამყიდველის მიერ რეალიზებული საქონლის ჯამს.

$$V(\text{ბაზრის}) = \sum_{i=1}^n V_i, \text{ სადაც}$$

V_i - აღნიშნავს საქონლის კონკრეტული მომწოდებლის რეალიზაციის მოცულობას;

i - აღნიშნავს გამყიდველების რიცხოვნებას 1-დან n -მდე.

რეალიზებული პროდუქციის საერთო მოცულობების შესახებ პირდაპირი მონაცემების არ არსებობისას ბაზრის მოცულობა განისაზღვრება კონკრეტულ გეოგრაფიულ ბაზარზე საქონლის მიწოდების მოცულობით, როგორც ყველა

გამყიდველის სასაქონლო მიწოდებათა ჯამით, შემდეგი ფორმულით:

$$V(\text{ბაზრის}) = V(I) + V(II), \text{ სადაც}$$

$V(I)$ - არის კონკრეტულ გეოგრაფიულ ბაზარზე ადგილობრივი საქონელმწარმოებლების მიერ მიწოდებული საქონლის მოცულობა;

$V(II)$ - არის ამავე გეოგრაფიულ ბაზარზე ყველა სავაჭრო დაწესებულებების მიერ საქონლის მიწოდების მოცულობა.

$$V(I) = \sum_{i=1}^n V(\text{ადგილობრივი წარმოება}), \text{ სადაც}$$

$V(\text{ადგილობრივი წარმოება})$ - არის გაანგარიშებითი მარეგულირებადი, რომელიც განისაზღვრება როგორც მოცემულ ბაზარზე ყველა ადგილობრივი მწარმოებლის საქონლის მიწოდებათა ჯამი.

$$\text{ამასთან, } V(\text{ადგილობრივი წარმოება}) = \text{წ} + \text{შ} - \text{გ} + \text{მდ} - \text{მზ}, \text{ სადაც}$$

წ - აღნიშნავს i -საწარმოთა წარმოების მოცულობას;

შ - აღნიშნულია ამ სასაქონლო ბაზრის ტერიტორიაზე i -საწარმოს მიერ შემოტანილი საქონლის მოცულობა;

გ - ესაა i -საწარმოს მიერ ბაზრის საზღვრებს გარეთ საქონლის გატანის მოცულობა;

მდ - ესაა i -საწარმოს სასაქონლო ნაშთი პერიოდის დასაწყისში;

მზ - ესაა i -საწარმოს სასაქონლო ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის.

$$\text{თავის მხრივ } V(II) = \sum_{j=1}^n V(\text{ვაჭრობა}), \text{ სადაც}$$

$$V(\text{ვაჭრობა}) = \text{სშ} + \text{შ} - \text{გ} + \text{მდ} - \text{მზ}, \text{ სადაც}$$

სშ - აღნიშნულია საქონლის შესყიდვის მოცულობა ადგილობრივი საქონელმწარმოებლებისაგან;

შ - j -ვაჭრობის ობიექტის მიერ შესაბამის ბაზარზე შემოტანილი საქონლის მოცულობა;

გ - j -ვაჭრობის ობიექტის მიერ ბაზრის საზღვრებს გარეთ გატანილი საქონლის მოცულობა;

მდ - j -ვაჭრობის ობიექტის სასაქონლო ნაშთი პერიოდის დასაწყისში;

მზ - j -ვაჭრობის ობიექტის სასაქონლო ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მონაცემები საქონლის მიწოდებათა მოცულობების შესახებ, თუ არაკორექტულია ისინი ან თუ გართულებულია ამგვარი ინფორმაციის მიღება, ბაზრის მოცულობას ($V(\text{ბაზრის})$) განსაზღვრავენ გაანგარიშებითი წესით შემდეგი ფორმულით:

$$V(\text{ბაზრის}) = V(\text{ადგილობრივი წარმოება}) + \text{შ} - \text{გ}, \text{ სადაც}$$

$V(\text{ადგილობრივი წარმოება})$ - არის გეოგრაფიული ბაზრის ტერიტორიაზე ადგილობრივ საქონელმწარმოებელთა მიერ მიწოდებული საქონლის მოცულობა;

შ - გეოგრაფიული ბაზრის საზღვრებში საქონლის შემოტანის მოცულობა;

გ - საქონლის გატანის მოცულობა გეოგრაფიული ბაზრის საზღვრებს გარეთ.

ბაზრის მოცულობის თაობაზე მიღებული მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება ეკონომიკური აგენტის (მწარმე სუბიექტის) ხვედრითი წილი როგორც პროცენტული თანაფარდობა რეალიზებულ (მიწოდებულ) პროდუქციასა და ბაზრის საერთო მოცულობას შორის.

ბაზრის განსაზღვრის ამ ეტაპზე განსაკუთრებულად რთულ პრობლემას წარმოადგენს მარეგულირების მიღება საერთო მოცულობების თაობაზე. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები როგორც წესი არ ფლობენ აუცილებელ მზა ინფორმაციას. ამასთან, მარკეტინგული სამსახურებისა და სააგენტოების განუვითარებლობა არ იძლევა შესაძლებლობას შეკვეთის სახით განხორციელდეს ბაზრის გამოკვლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში „სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში 2002 წლის დეკემბრის ბოლოს შეტანილი ცვლილებების საფუძველზე დაიხურა პირველადი მონაცემები ეკონომიკური აგენტების სამეწარმეო

საქმიანობის თაობაზე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირისათვის. ყოველივე ეს აქტუალურს ხდის ცალკეული ფირმებისათვის და კონკურენციული ორგანიზაციებისათვის დამოუკიდებლად განახორციელონ მარკეტინგული გამოკვლევები ყველა სასაქონლო ბაზრების მიხედვით, რაც არ არის ყველასათვის ხელმისაწვდომი როგორც ტექნიკურად, ისე ფინანსური თვალსაზრისით. განსაკუთრებით კი კონკურენციის სააგენტოსათვის.

საბაზრო წილის მანქანებელი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, უშუალოდაა დაკავშირებული საკონკურენციო კანონმდებლობის გამოყენების სამართლებრივ ასპექტებთან. იგი პირდაპირ კავშირშია შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრასა და მის საბაზრო ძალაუფლებასთან.

საერთოდ ბაზრისა და მისი სტრუქტურის განსაზღვრის ეკონომიკა, ამ ბაზარზე ეკონომიკური აგენტების ქცევის სხვადასხვა ასპექტები ესაა ის ძირითადი საკითხები, რომელთა არსს წარმოადგენს ბაზარზე ძალაუფლების პრობლემა; ამ უკანასკნელს აქვს „გასასვლელი“ საკონკურენციო პოლიტიკის სამართლებრივ ასპექტებზე.

თუ ფირმას არ გააჩნია ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ძალაუფლება ბაზარზე, პრაქტიკულად ამ შემთხვევაში არა აქვს აზრი საკონკურენციო კანონმდებლობის ამ ბაზარზე რეალიზებას. თუ ფირმას არ გააჩნია ბაზარზე ძალაუფლება, მას არ შეუძლია თავისი გადაწყვეტილებები თავს მოახვიოს კონკურენტებს ანდა მომხმარებლებს. იგი გამოიყენებს იმ ფასს, რომელსაც კარნახობს ბაზარი; ის მოკლებულია საშუალებას დააწესოს უფრო მაღალი ფასები, ვიდრე კონკურენტებმა; ასევე არ არსებობს მიზეზები, რომ გაყიდოს საქონელი უფრო დაბალ ფასად.

ეკონომიკური თვალსაზრისით, საბაზრო ძალაუფლება წარმოადგენს ფირმის (ფირმების ჯგუფის) შესაძლებლობას მოგების მიღების მიზნით დააწესოს ფასები კონკურენციულ დონეზე უფრო ზემოთ დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის. ამ ძალაუფლების გამოყენებას მივყავართ პროდუქციის მოცულობისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის შემცირებისაკენ.

ეკონომისტების მიერ შემოთავაზებულია ფირმის ან ფირმების ჯგუფის საბაზრო ძალაუფლების შეფასების სხვადასხვა ხერხები. საბაზრო ძალაუფლების ერთ-ერთ მანქანებელს წარმოადგენს ლერნერის ინდექსი (LI):

$$LI = \frac{P - MC}{P} = \frac{-1}{E_d}, \text{ სადა}$$

P - არის ფასის მანქანებელი;

MC - არის ზღვრული ღირებულება;

E_d - წარმოადგენს მოთხოვნის ელასტიურობას ფასის მიმართ.

ლერნერის ინდექსი აჩვენებს მონოპოლიური ძალაუფლების ხარისხის დამოკიდებულებას მოთხოვნის ელასტიურობისაგან - მოთხოვნის მრუდის ფორმისა და დახრილობისაგან: რაც უფრო მეტადაა დახრილი მოთხოვნის მრუდი ქვემოთ ან რაც უფრო არაელასტიურია იგი, მით მეტია ამ ფირმის ძალაუფლება ბაზარზე. მოთხოვნის ელასტიურობის ზრდისას (მაგალითად ფასების 2%-იან ცვლილებას მივყავართ რაოდენობის 5 %-იან ცვლილებამდე), სხვაობა ზღვრულ შემოსავალს (MC) და ფასს (P) შორის მცირდება. შესაბამისად მცირდება LI ლერნერის ინდექსიც. მოთხოვნის უსასრულო ელასტიურობის შემთხვევაში $1/E_d$ მისიწრაფვის ნულისაკენ. პირიქით, არაელასტიური მოთხოვნის შემთხვევაში (მაგალითად ფასის 5%-იანი ცვლილება არ ახდენს არსებით გავლენას გასაყიდი საქონლის რაოდენობაზე) LI ინდექსი იზრდება და აჩვენებს გამყიდველის საბაზრო ძალაუფლების ზრდას.

ბაზრის მონოპოლიზაციის შეფასების სხვა მეთოდები დაკავშირებულია მისი კონცენტრაციის განსაზღვრასთან, ანუ ერთი ან რამოდენიმე დიდი ფირმის მიერ ბაზრის ფლობის ხარისხთან.

შეუძლებელია აიგოს ბაზრის კონცენტრაციის დონისა და კონკურენციის მდგომარეობის შეფასების ისეთი მოდელი, რომელიც გამოყენებულ იქნება აბსოლუტურად ყველა სასაქონლო ბაზრისათვის: თითოეულ ბაზარს გააჩნია თავისი დამახასიათებელი სპეციფიკა. ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ კონცენტრაციის დონის შეფასების ზოგად პრინციპებზე (მიდგომებზე).

სპეციალისტების უმრავლესობა ემხრობა მოცემული ფირმის საბაზრო ძალაუფლების გაზომვის სტრუქტურულ მდგომარეობას. ის მოიცავს ფირმების რაოდენობის განსაზღვრას და ბაზრის საერთო მოცულობაში მათი წილების შედარებას. ბაზრის წილი გამოიყენება როგორც ძალაუფლების მაჩვენებელი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ არა მარტო ფირმების რიცხვს ბაზარზე, არამედ მათ დაბალანსებულობას ზომების მიხედვით შეუძლია დაახასიათოს კონკურენციის მდგომარეობა. ბაზარზე შეიძლება მოქმედებდეს თანაბარზომიერად დაბალანსებული ფირმების დიდი რაოდენობა, მაგრამ დომინირებდეს ერთი, სხვა ფირმებთან შედარებით გაცილებით მსხვილი ფირმა. ბაზარი, სადაც მოქმედებს თანაბარზომიერად დაბალანსებული ფირმების მცირე რაოდენობა, შეიძლება იყოს კონკურენციული.

ბაზრის კონკურენციულობის ხარისხის განსაზღვრის გარდა სტრუქტურულ ანალიზში ჩართულია პოტენციალური კონკურენციის შეფასება, ან ბაზარზე შესვლის ბარიერების შეწავლა, რაც საბაზრო ძალაუფლების შესწავლას ანიჭებს მრავალფაქტორული ანალიზის ხასიათს.

არსებობს კონცენტრაციის გაზომვის რამდენიმე მეთოდი. ისინი გამოიყენება საბაზრო ძალაუფლების მაჩვენებლად საბაზრო სტრუქტურის აღწერისას. ესენია, კონცენტრაციის კოეფიციენტები (CR) და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსები (HHI). ეს მაჩვენებლები გაიანგარიშება საქონლის გაყიდვის (მიწოდების) მონაცემებით. როგორც წესი, დროის განსაზღვრული პერიოდისათვის დინამიკაში.

კონცენტრაციის კოეფიციენტები (CR) ესაა განსაზღვრული სასაქონლო ბაზარზე უმსხვილესი ეკონომიკური აგენტების გაყიდვების პროცენტული თანაფარდობა, რომელიც გაიანგარიშება ფირმების გარკვეული რიცხვისათვის - 3, 6, 10, 25, 50-სათვის (ევროპაში) ან 4, 8, 20, 50-სათვის (აშშ-ში).

კონცენტრაციის კოეფიციენტს აქვს შეზღუდვა. ის არ ითვალისწინებს სხვაობას დარგებს შორის, რომელშიც ერთი ფირმა დომინირებს და იმ დარგებში, სადაც რამდენიმე მსხვილი ფირმა იყოფს ბაზარს მეტ-ნაკლებად თანაბრად. მაგალითად, ბაზარი სადაც ერთ ფირმას კონცენტრირებული აქვს 77%, ხოლო დანარჩენ 23-ს თითო-თითო პროცენტი, 4

ფირმისათვის ექნება კონცენტრაციის ისეთივე კოეფიციენტი როგორც ბაზარს, სადაც 5 ფირმა აკონტროლებს მოცულობას (თითოეული 20%-ს).

ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) მონოპოლიზაციის ყველაზე უფრო ადეკვატური მახასიათებელია. ითვალისწინებს მოცემულ დარგში მოქმედი ფირმის საერთო რიცხვს და მათ შედარებით სიდიდეებს. გაიანგარიშება როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილების კვადრატების ჯამით წილები გაიანგარიშება გამოშვების მოცულობა გაყიდვის მოცულობის, სიმძლავრის ან ეკონომიკურ საქმიანობის სხვა ინდიკატორების საფუძველზე. ხშირ ესაა ბაზრის წილი. HHI-ის ეკონომიკური არსი იმა მდგომარეობს, რომ რაც უფრო დიდია HHI-ის მნიშვნელობით უფრო გაელენიანია კომპანია.

ბაზარზე, სადაც მოქმედებს n კონკურენტული ფირმა უფრო უფრო აქვს შემდეგი სახე:

$$HHI = S_1^2 + S_2^2 + \dots + S_k^2 + \dots + S_n^2, \text{ სადაც}$$

S_k - არის k ეკონომიკური აგენტის (ფირმის) საბაზრო წილი; k იცვლება 1-დან n -მდე.

ბაზრის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად იზრდება HHI და მონოპოლიის დროს იგი აღწევს მაქსიმალურ სიდიდე 10 000. ბაზარი, სადაც მოქმედებს 10 თანაბარი ძალა ეკონომიკური აგენტი, ხასიათდება კოეფიციენტით 100, ხოლო HHI შეადგენს 1000. თუ ბაზარს თანაბრად ინაწილებს ეკონომიკური აგენტი, მაშინ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი იქნება 2 000-ის.

კონცენტრაციის კოეფიციენტისაგან განსხვავებით HHI შეუძლია გამოავლინოს სხვაობა კონცენტრაციის ხარისხებს შორის ბაზრებზე, სადაც მოქმედებენ თანაბარი რაოდენობის ეკონომიკური აგენტები. ასე, ბაზარს სადაც მოქმედებს თანაბარი ძალის ფირმა, აქვს კონცენტრაციის ისეთი კოეფიციენტი, როგორც ბაზარს, სადაც ერთი ფირმა აკონტროლებს 30%, ხოლო დანარჩენები 10% თითოეულ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი ბოლო ბაზრისათვის

შეადგენს 1 600, ხოლო პირველისათვის 1 250.

HHI-ს და CR-ის მანველებების სიდიდეებით ხდება ბაზრების კლასიფიცირება კონცენტრაციის ხარისხის მიხედვით:

* მაღალ კონცენტრირებული (HHI > 2000; CR3 > 70 პროცენტზე)

* ზომიერად კონცენტრირებული (1 000 < HHI < 2 000; 45 < CR 3 < 70 პროცენტზე);

* არაკონცენტრირებული (HHI < 1 000; CR 3 < 45 პროცენტზე).

კონკურენციული კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკაში ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, მასზე ეკონომიკური აგენტის წილის დადგენა, მისი საბაზრო ძალაუფლების გაზომვა თამაშობს გადამწყვეტ როლს განხილვებში რომლებსაც აწარმოებენ კონკურენციული ორგანოები, ასევე, სასამართლო პროცესებზე მონაპოლისტების ქმედებათა კანონზომიერებების განხილვისას, შერწყმებისას და შეერთებისას, შეთანხმებისას, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას და ვაჭრობის თავისუფლებას.

როგორც წესი, უმრავლესი ქვეყნების კონკურენციულ კანონმდებლობაში მონაპოლიური ძალაუფლება წარმოადგენს იურიდიულ კატეგორიას და ეროვნული კანონმდებლობები ადგენენ საბაზრო ძალაუფლების ანუ დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრის წესს. ზემოთ ჩამოთვლილი კოეფიციენტები და ინდექსები თავისი ხასიათით წმინდა ეკონომიკურია და, როგორც წესი, გამოიყენებიან დამატებითი არგუმენტების სახით.

საკონტროლო კითხვები:

* როგორ განისაზღვრება სასაქონლო ბაზრის მოცულობა და ეკონომიკური აგენტის ხვედრითი წილი?

* როგორი დამოკიდებულებაა სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონესა და კონკურენციის ხარისხს შორის?

* ეკონომიკური კონცენტრაციის შეფასების რომელ მანველებებს იცნობთ და როგორ ხდება მათი გაანგარიშება?

* რომელი კრიტერიუმებით განისაზღვრება ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლება?

* როგორ ხდება ბაზრების კლასიფიცირება კონცენტრაციის ხარისხის მიხედვით?

* რაში მდგომარეობს ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების გაზომვის სტრუქტურული მიდგომა?

თემა 6. მონაპოლიური მდგომარეობა, მონაპოლიური საქმიანობა და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

ეკონომიკურ აგენტთა შორის არსებული კონკურენცია ობიექტურად ქმნის მონაპოლიის განვითარების წინაპირობებს. ამგვარი პარადოქსალური ურთიერთკავშირი შემჩნეულია ჯერ კიდევ ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების მიერ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მონაპოლიის ნიშნებით ტრესტების უმრავლესობა იქმნებოდა დამოუკიდებელ საწარმოთა შეერთების გზით. ამიტომ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ არა მარტო ხელი შეუწყოს კეთილსინდისიერ კონკურენციას, არამედ ადკვეთოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მიმართულია მონაპოლიზირებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაკენ.

ახლა განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს მონაპოლიური მდგომარეობა და მონაპოლიური საქმიანობა, რა აქვთ საერთო და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაში გამოიხატება მონაპოლიის ნეგატიური თვისებები და რა ზომები უნდა იქნეს გატარებული, რომ არ შეიზღუდოს კონკურენცია.

ბაზარი, რომელზეც მოქმედებს მხოლოდ ერთი გამყიდველი, იწოდება მონაპოლიად. მონაპოლიური ძალაუფლება ასეთ გამყიდველს საშუალებას აძლევს შეზღუდოს წარმოება და პროდუქციის გამოშვება, აამაღლოს ფასი და ამით მოახდინოს მოგების მაქსიმიზირება. მონაპოლისტის ამგვარი მოქმედება განაპირობებს სიმდიდრის გადატანას მომხმარებლისაგან გამყიდველისაკენ, ამცირებს ამ უკანასკნელის მოტივაციას დანერგოს სიახლე წარმოებაში ან გააღვიძოს მისი ეფექტიანობა. მონაპოლიური ბაზარი ხასიათდება შემდეგი მანველებებით:

1. ბაზარზე მოქმედებს ერთი გამყიდველი;
2. გამყიდველის პროდუქცია უნიკალურია, ამიტომ მომხმარებელს არა აქვს საშუალება იგი შეცვალოს რაიმე სხვა მსგავსი საქონლით;
3. არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები, რომლებიც სხვა ფირმებს არ აძლევს საშუალებას შევიდნენ ამ ბაზარზე. ასევე გაძნელებულია ამ ბაზრის დატოვება (გამოსვლა).

ამ პირობების ცოდნა მნიშვნელოვანია გამყიდველის მონოპოლიური ქცევის აღბათობის პროგნოზირებისას. თუმცა თავისთავად ისინი არ განსაზღვრავენ /არ ადასტურებენ/ იმას, რომ აუცილებლად ექნება ალგილი მონოპოლიურ ქცევას შესაბამისი შედეგებით.

თუ მონოპოლისტი არ იყენებს ფასობრივი დისკრიმინაციის მეთოდს, რაც თავის მხრივ აკრძალულია უმრავლესი ქვეყნების ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, მაშინ პროდუქციის რაოდენობის გადიდებისას, იგი იძულებული იქნება შედარებით დაბალი ფასი დააწესოს არა მხოლოდ დამატებით გამოშვებულ პროდუქციაზე, არამედ გასაყიდი საქონლის მთლიან რაოდენობაზე. ანუ მონოპოლისტს დამატებითი გაყიდვა შეუძლია განახორციელოს ფასების შემცირებით მთელ გამოშვებულ პროდუქციაზე.

მონოპოლისტი დგება არჩევანის წინაშე: ან გაადიდოს წარმოება და შეამციროს ფასი, ანდა გამოუშვას საქონლის შედარებით ნაკლები რაოდენობა უფრო მაღალ ფასად. ბაზარზე განსაკუთრებული მდგომარეობა განსაზღვრავს მის გადაწყვეტილებასაც. მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი, სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფასწარმოქმნის შედეგების საპირისპიროდ, როგორც წესი, მოგების მაქსიმიზირებას ახდენს პროდუქციის რაოდენობის შეზღუდვის და ფასების ზღვრულ დანახარჯებზე ზემოთ დაწესების საშუალებით. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მოგების მაქსიმიზირება ფასების ზრდის საშუალებით არაეფექტურია, რადგან მომხმარებელი შეიძენს პროდუქციის შედარებით ნაკლებ რაოდენობას და შედეგად ჯამური მოგება შემცირდება. მეორეს მხრივ, მონოპოლისტი საქონლის გამოშვებას ადიდებს მხოლოდ იმ დონემდე, სანამ ხდება მისი მოგების ზრდა.

ეკონომიკურ თეორიაში ამ დებულებას მიეყვარათ ძალიან მნიშვნელოვან დასკვნამდე. როგორც ძალაც არ უნდა გააჩნდეს მონოპოლისტს ბაზარზე, მისი შესაძლებლობები ფასების გაზრდის თვალსაზრისით შეზღუდულია რეალური მოთხოვნის სიდიდით; ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მონოპოლიას არ შეუძლია დააწესოს იმაზე მაღალი ფასი, ვიდრე ამ საქონელზე შეუძლია გადაიხადოს მომხმარებელმა. ამდენად, თვით ტოტალურ მონოპოლიურ ძალაუფლებასაც კი არ შეუძლია მუდმივად იარსებოს, რადგან გრძელვადიანი პერიოდისთვის ყოველთვის გამოინდება ამ საქონლის რაიმე ეფექტური შემცველი

ლი და მომხმარებელი გადაერთვება მის მოხმარებაზე. ამგვარად, ეკონომიკურ თეორიაში ხაზგასმულია, რომ მონოპოლიური ძალაუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს და ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მისი დონისა და ხარისხის შესახებ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღეისათვის რეალური ბაზრები იმყოფებიან ორ უკიდურესობას, ანუ სრულყოფილ კონკურენციასა და მონოპოლიას შორის. ეკონომიკურსა და იურიდიულ ლიტერატურაში „მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა“ გამოიყენება ფირმის, გაერთიანების ან ორგანიზაციის ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობის მიმართ კონკურენტულ სასაქონლო ბაზარზე, რომელიც მას აძლევს შესაძლებლობას გადაამწყვეტი სეგაულენა მოახდინოს ბაზარზე საქონლის ბრუნვის საერთო პირობებზე /დათრგუნოს კონკურენცია, არეულიროს მიწოდებათა მოცულობა და პირობები, განსაზღვროს ფიქსირებული ფასები, რითაც ზიანს აყენებს მომხმარებელს/ ან გაართულოს ამ ბაზარზე სხვა ეკონომიკური აგენტების შეღწევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკურ აგენტს მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა უკავია, თუ მას ამ საქონლის ბაზარზე შეუძლია იმოქმედოს, ძირითადად კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად, ანუ თუ მას გააჩნია „ძალაუფლება“ ბაზარზე

სასაქონლო ბაზარი, სადაც მოქმედებს მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი, როგორც წესი, წარმოადგენს ოლიგოპოლიას, რადგან იქ მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა რიცხვი მცირეა. მაგრამ იგი ასიმეტრიული ოლიგოპოლიაა იმის გამო, რომ მონაწილე ფირმები არ წარმოადგენენ დაახლოებით ერთი ზომისასაც კი.

მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ საბაზრო წილი, ბაზარზე შეღწევის ბარიერები და მოწინააღმდეგეთა შესაძლო რეაქცია. საჭიროა აღინიშნოს, რომ თავისთავად დიდი საბაზრო წილის არსებობა, ანდა ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა არ განიხილება და არც შეიძლება განიხილებოდეს როგორც კანონსაწინააღმდეგო, რამდენადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში თითოეული მეტრეაკლებად ამბიციური ეკონომიკური აგენტის ბუნებრივი სწრაფვა წარმოების მასშტაბების ზრდისა და მოგების მაქსიმიზი-

რებისაკენ, წარმატების შემთხვევაში იწვევს მათ მონოპოლიური (დომინირებულ) მდგომარეობას ბაზარზე. მით უმეტეს ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც უმრავლეს კაპიტალტევად სამრეწველო ხასიათის დარგებში პრაქტიკულად შეუძლებელია კონკურენციის ჯეროვანი განვითარება.

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში არის დადგენილი დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელი რაოდენობრივი კრიტერიუმი, რომელიც მერყეობს დაახლოებით საბაზრო წილის 25 პროცენტთან (დიდი ბრიტანეთი) 65 პროცენტამდე (რუსეთი). საქართველოში „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტების გაუქმებამდე, ასეთ ნორმას წარმოადგენდა 35 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად ეკონომიკურ აგენტს უჭირავს დომინირებული მდგომარეობა თუ მისი წილი ბაზარზე შეადგენს არანაკლებ ერთ მესამედს. ამასთან, ორ ეკონომიკურ აგენტს უჭირავს დომინირებული მდგომარეობა, თუ მათი ერთობლივი წილი ბაზარზე შეადგენს არანაკლებ 50 პროცენტს, ხოლო სამი და მეტი ეკონომიკური აგენტი ითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ თუ მათი ერთობლივი წილი ბაზარზე შეადგენს არანაკლებ ორ მესამედს.

სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში მოქმედ კონკურენციის ჩარჩო კანონში საერთოდაა უგულვებელყოფილი იგი, არ „ცნობს“ და კონკურენციის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის იგნორირებას ახდენს, როგორცაა ეკონომიკური აგენტის დომინირება და მისი ბოროტად გამოყენება.

საქართველოში, ისევე როგორც უმრავლეს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, კატეგორიულად იკრძალება მონოპოლიური საქმიანობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს კონკრეტულ სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის განვითარებასა და დაცვას და უზრუნველყოს მონოპოლიური საქმიანობის ცალკეული ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

კონსტიტუციის აღნიშნული მოთხოვნა დაკონკრეტებული იყო საქართველოს კანონში „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, რომლის შესაბამისადაც მონო-

პოლიური საქმიანობა განმარტებული იყო როგორც საქმიანობა, რომელიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს არსებითი გავლენა მოახდინოს სასაქონლო ბაზარზე ურთიერთშენაცვლებადი /კონკურენტული/ საქონლის საბაზრო ფასზე და შეზღუდოს კონკურენცია.

რადგან მონოპოლიური საქმიანობის პოტენციური შესაძლებლობა გაანინა მხოლოდ მონოპოლიური /დომინირებული/ მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს, ისინი კონკურენციის ორგანოების განსაკუთრებული ინტერესის სფეროში იმყოფებიან და მათი საქმიანობა მუდმივი მონიტორინგის საგანს წარმოადგენს, რათა არ მოხდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და არ განხორციელდეს მონოპოლიური საქმიანობა კონკურენციის აღკვეთის ან შეზღუდვის ხარჯზე.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ისეთი ბაზარი, სადაც არ არსებობს კონკურენცია და არც შეიძლება არსებობდეს. ესენია ე.წ. ბუნებრივი მონოპოლიები, ანუ სასაქონლო ბაზრის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ამ ბაზარზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე /წარმოების მასშტაბების გაფართოების შესაბამისად პროდუქციის ერთეულზე საწარმოო დანახარჯების არსებით შემცირებასთან დაკავშირებით/ უფრო ეფექტურია კონკურენციის არარსებობის პირობებში, ხოლო ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მიერ წარმოებული საქონელი შეუძლებელია მოხმარებისას შეიცვალოს სხვა საქონლით, რის გამოც მოთხოვნილება ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციაზე, სხვა სახის საქონელზე მოთხოვნილებასთან შედარებით, ნაკლებად არის დამოკიდებული ამ საქონლის ფასის ცვლილებებზე. არაკონკურენტულ სფეროებში მომხმარებელთა უფლებებისა და სხვა კონკურენტული დარგების ეკონომიკურ აგენტთა უფლებების დაცვის მიზნით ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტები იმყოფებიან დარგობრივი ეროვნული მარეგულირებელი კომისიების მუდმივი ზედამხედველობისა და რეგულირების ქვეშ, რომლებიც ახორციელებენ უპირველეს ყოვლისა კოორდინირებულ სატარიფო პოლიტიკას.

ცალკე განხილვას საჭიროებს კონკურენციის თეორიისა და პრაქტიკის ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორია, როგორცაა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. სპეციალისტთა განმარტებით, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია – ესაა

სპეციფიური სამართლებრივი ინსტიტუტი. იგი არ წარმოადგენს მონოპოლიური საქმიანობის ფორმას, არ უკავშირდება საბაზრო ძალაუფლების არაჯეროვნად (ბოროტად) გამოყენებას და ძირითადად ახასიათებს კონკურენტების ქცევას ეთიკური ნორმების თვალსაზრისით.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ეკონომიკური შედეგები, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არაა ისე ცხადად გამოხატული, როგორც მონოპოლიური საქმიანობისა, უკავშირდება კონკურენციის „ხარისხის“ გაუარესებას და როგორც შედეგი ეფექტიანობის შემცირებას.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის (აგენტების) მიზანმიმართულ ქმედებებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაუსაბუთებელ (დაუმსახურებელ) უპირატესობათა მოსაპოვებლად; ეს ქმედებები ეწინააღმდეგებიან მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს, სამეურნეო ბრუნვის წესებს, წესიერების, გონიერულობის და სამართლიანობის მოთხოვნებს და აყენებენ (შეიძლება მიაყენონ) ზარალს სხვა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ან მათ საქმიან რეპუტაციას.

სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფის, დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზით სავსებით დასაშვები, ნორმალური და აუცილებელი მოვლენაა კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვება. უფრო მეტიც, ეს უპირატესობანი განპირობებულია სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული მექანიზმის არსებობით. რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ დაუმსახურებლად უპირატესობათა მიღწევას, სახელმწიფო მათ წინ უნდა გადაედობოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ბარიერებით.

არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ სადაც არსებობს კონკურენცია, იქ შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების არსებობაც. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა ცნობილია ყველა ქვეყანაში იმის მიუხედავად, თუ საბაზრო ურთიერთობების რა „სტაჟი“ გააჩნიათ ამ ქვეყნებს და რამდენად დიდი ხანია მიმდინარეობს კონკურენციულ კანონმდებლობათა რეალიზაცია. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ეკონომიკურ შეჯიბრებაში (კონკურენციაში) უნდა იმარჯვებდეს ეკონომიკური აგენტი, რომელიც აწარმოებს ყველაზე უფრო სასარგებლო (იმ დროისთვის საჭირო) პროდუქციას მომხმარებლისათვის ყველაზე უფრო მისაღებ (მომგებიან) პირობებში. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტი დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. მაგრამ სპორტული შეჯიბრების ანალოგიურად, აქაც შეიძლება წარმოიქმნას ცდუნება აღნიშნული წესების არად ჩაგდებისა და მათი გვერდის აგლისა.

ეკონომიკურ კონკურენციაში „არბიტრის“ ფუნქციას, როგორც წესი მომხმარებელი ასრულებს თავისი არჩევანით. მაგრამ სიტუაციის გართულების გამო იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს როლის შესრულებას და თავადვე რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე პატიოსან კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ „თამაშის წესებს“. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერი ფორმის გამოვლინების თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის ინტერესებს, არამედ საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს და საზოგადოდ პროგრესის სტიმულირებას.

სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციული კანონმდებლობების და კონკურენციის სფეროში მოღვაწე ექსპერტთა შეფასებით ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად ითვლება, თუ ეს ქმედება:

- მიმართულია სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მისაღებად

- ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქმიანი ბრუნვის, წესიერების, გონიერულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს;

- მატერიალურ ზიანს აყენებს (შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტებს - კონკურენტებს ან ჩრდილს აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას წესიერებისა და სამართლიანობის ნორმები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების სოციალური და მორალურ-ეთიკური პრინციპების გამოხატვა. ისინი ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ ზოგჯერ ერთი ქვეყნის შიგნითაც. ამასთან, ეს ნორმები შეიძლება იცვლებოდნენ დროთა განმავლობაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განსაზღვრება ნაკლებად ეფექტურია ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ობიექტური შეფასებისათვის. არსებობს პარამეტრების რიგი,

რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მკაფიოდ განისაზღვროს, როგორი პრაქტიკა შეიძლება იქნეს განხილული „არაკეთილსინდისიერი“-ს და როგორი — „კეთილსინდისიერი“-ს რანგში. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოვლენა, კანონით აკრძალულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.

ანალოგიურად, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, კერძოდ, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით იკრძალებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული იყო მისი გამოვლინების სახეები:

-კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ადრესატს უქმნის არასწორ წარმოდგენას და ამით უბიძგებს გარკვეული სამეურნეო ქმედებისაკენ;

-ეკონომიკური აგენტის მიერ კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის მიზნით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

-კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემინგური ფასების გამოყენებითა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით;

-ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტირება;

-კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებურად გამოყენება;

-კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება;

-სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, სავაჭრო ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

დიდი მნიშვნელობის გამო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნორმები არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ გამოყოფილია ცალკე კანონის რეგულირების სფეროდ. აღნიშნული მოდელი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და ევროპის რიგ ქვეყნებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სამხრეთ

აფრიკის რესპუბლიკაში. სხვა ქვეყნებში კი კონკურენციის შესახებ კანონებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის პრობლემატიკას.

ახსენადა ის გარემოება, რომ როცა არ არსებობს ცალკე კანონი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, საქართველოს კონკურენტული კანონმდებლობის ჩარჩო-კანონში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დეფინიციაც კი არაა მოცემული, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი გამოვლინების სახეებსა და ცალკეულ აკრძალვით დებულებებზე. ბუნებრივია, ეს დადებითად ვერ იმოქმედებს ქვეყანაში ბიზნესის ჯანსაღი და არადისკრიმინაციული გარემოს ფორმირებაზე. შედეგად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება განიცადოს მცირე და საშუალო ბიზნესმა, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუშლის საერთოდ ბიზნესის განვითარებას საქართველოში და საზოგადოებრივი კეთილდღეობის სათანადო ზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია მითითებული ხარვეზის სასწრაფო გამოსწორება და შესაბამის კანონმდებლობაში სათანადო დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, რაც უზრუნველყოფს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას.

საკონტროლო კითხვები:

* რას ნიშნავს ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური მდგომარეობა და რომელი ფაქტორები განსაზღვრავენ მას?

* როგორ განისაზღვრება მონოპოლიური საქმიანობა და როგორც წესი რატომ იკრძალება იგი კატეგორიულად, ხოლო მონოპოლიური მდგომარეობა კი არა?

* რა ძირითადი ნიშნები ახასიათებს ბუნებრივ მონოპოლიებს და მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს კონკურენციულ ბაზარზე?

* რას ნიშნავს არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და როგორ გავლენას ახდენს იგი სასაქონლო ბაზარზე?

* რა ძირითადი ნიშნები უნდა ახასიათებდეს ქმედებას, რომ იგი ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად?

* რატომ დგება მონოპოლიტი არჩევანის წინაშე — მოგების გასაზრდელად გაადიდოს წარმოება და შეამციროს ფასი, თუ გამოუშვას საქონლის უფრო ნაკლები რაოდენობა უფრო მაღალ ფასად?

* ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად რა შემთხვევაში უჭირავს ეკონომიკურ აგენტს დომინირებული მდგომარეობა სასაქონლო ბაზარზე?

თემა 7. ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები; შერწყმები

კონკურენციის განვითარებაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებები ბაზრის განაწილების, ფასების დაფიქსირების და სხვა მიმართულებით, რითაც ერთის მხრივ იზღუდება კონკურენცია და მეორეს მხრივ ხარაღდება მომხმარებელი.

ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებები შეიძლება ატარებდნენ ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ ხასიათს. როგორც წესი, მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის და შესაბამისად საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება დაკავშირებულია ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობებთან ბაზარზე დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები და ზეგავლენა მოახდინონ საქონლის ფასზე.

ბაზარზე შესაძლებელია ისეთი სიტუაციის არსებობა, როდესაც კონკურენტი ეკონომიკური აგენტები ინარჩუნებენ თავიანთ იურიდიულ დამოუკიდებლობას, მაგრამ ათანხმებენ რა ერთმანეთთან თავიანთ მოქმედებას, მათი საბაზრო ქცევა ფაქტობრივად ემსგავსება ერთი ეკონომიკური აგენტის მოქმედებას. ცხადია, ამ შემთხვევაში ეკონომიკური აგენტები იძენენ სერიოზულ საბაზრო ძალაუფლებას, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნას ანტიკონკურენტული მიზნების მისაღწევად. ამგვარი სიტუაცია დაკავშირებულია ჰორიზონტალური შეზღუდვების, ანუ ჰორიზონტალური შეთანხმებების არსებობასთან.

ამგვარად, ჰორიზონტალური შეთანხმება წარმოადგენს ერთ და იგივე სასაქონლო ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ეკონომიკური აგენტების (გამყიდველების ან მყიდველების) შეთანხმებას, რომლის შედეგად იზღუდება ან შეიძლება შეიზღუდოს კონკურენცია. ჰორიზონტალური შეთანხმება ითვლება კონკურენციის

შემზღუდავ ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვან ფორმად და ყველა ქვეყნის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით იკრძალება, ხოლო მათი პრაქტიკულად გამოყენებისა და კონკურენციის შეზღუდვის ფაქტების დადასტურებისას ისჯება კიდევც.

არსებობს შეთანხმების მეორე სახეც, ე.წ. ვერტიკალური შეთანხმება. ვერტიკალური შეთანხმების მონაწილენი ჰორიზონტალურისგან განსხვავებით არ წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს. ამ შეთანხმების მონაწილენი, ხშირ შემთხვევაში პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა სტადიაზე ფუნქციონირებადი ეკონომიკური აგენტები არიან. აქ შეიძლება, მაგალითად ისეთ ანტიკონკურენტულ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, როდესაც მონოპოლიური მდგომარეობის მქონე მწარმოებელი ეკონომიკური აგენტი შეთანხმების მონაწილე რეალიზატორ ეკონომიკურ აგენტს პროდუქციას სთავაზობს შედავათიან პირობებში, ხოლო სხვა ეკონომიკურ აგენტებს თავს ახვევს დისკრიმინაციულ პირობებს. მაგრამ ასეთი ქმედება კონკურენციის შეზღუდვის საშიშროებას ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მონაწილეებს (რომელიმეს ცალკე ან ერთად აღებულთ) უკავიათ მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა და გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება. შესაბამისად, მათი ქმედება ამ შემთხვევაში იკრძალება კანონმდებლობით და იგი ექცევა კონკურენციის ორგანოს ზედამხედველობისა და რეგულირების არეალში. კონკურენციის კანონები კრძალავენ ისეთ კომერციულ პრაქტიკას, კონტრაქტებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ კონკურენციას, აძლიერებენ ბაზრის ძალასა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. იურიდიული სტანდარტები სახელმწიფოების მიხედვით განსხვავდებიან, რაც გამოწვეულია კონკურენციის ეროვნული დებულებების მიზნებითა და კომერციული ეფექტის შესახებ შეხედულების სხვადასხვაობით.

ჰორიზონტალური შეზღუდვები ითვალისწინებს ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც იღება კონკურენტ მომწოდებლებს შორის ფასების, ინვესტიციების, წარმადობის მოცულობის, პროდუქციის დიფერენციაციისა ან რეკლამირების შეზღუდვის მიზნით. არსებობს მრავალი სახის ჰორიზონტალური შეზღუდვა,

რომელთაგან ბევრი ითვლება საბაზრო ეკონომიკისათვის საზიანოდ და არასასურველად. პორიზონტალური ფასების ფიქსაცია ყოველთვის იკრძალება ინდუსტრიულ ქვეყნებში და მისი დარღვევა ხდება მკაცრი სამოქალაქო და კრიმინალური სანქციების გამოყენების მიზეზი. ამის საპირისპიროდ, თვლება, რომ შეთანხმება პროდუქციის სტანდარტების ჩამოყალიბებაზე აძლიერებს როგორც კონკურენციას, ასევე ვეექტურობას და კანონიერია ინდუსტრიული ქვეყნების უმრავლესობაში.

გონივრულობის პრინციპის გამოყენებით, არსებობს ისეთი ვარიანტი, რომლითაც რეგორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში შეიძლება პორიზონტალური შეთანხმებების საკითხის მოგვარება იმგვარად, რომ ფასების ფიქსირება და სხვა აშკარად ანტიკონკურენტული პრაქტიკა აიკრძალოს, ხოლო პოტენციური ვეექტიანობის მქონე შეთანხმებები შენარჩუნდეს. უპირველეს ყოვლისა, კანონში დაკონკრეტებულ უნდა იქნეს შეთანხმებების ტიპები და კლასები და თითოეულს უნდა შეესაბამებოდეს სხვადასხვა იურიდიული სტანდარტი. კონკურენციული კანონმდებლობის სრულყოფის პროცესში, განვითარებული ქვეყნები ამ პრობლემის მოწესრიგებას ცდილობენ – „აბსოლუტური მონოპოლიური პრაქტიკის“ და „შედარებითი მონოპოლიური პრაქტიკის“ შემოღებით, რომელთაგან პირველ კატეგორიაში მოიაზრება ფასების ფიქსირება და მსგავსი შეთანხმება პროდუქციის შემცირებაზე რეალიზაციის ტერიტორიის განსაზღვრასა და საზოგადოებრივ აუქციონებზე განაცხადების არაკეთილსინდისიერ პრაქტიკაზე. ესენი ყოველთვის საზიანო ქმედებებია და შესაბამისად ექვემდებარებიან უპირობო და მკაცრ აკრძალვას. „შედარებითი მონოპოლიური პრაქტიკა“ კი მოიცავს შეთანხმებებს ტექნოლოგიებისა და ობიექტების ერთობლივ გამოყენებაზე, რომლის კონკურენტული ეფექტი გაურკვეველი, მაგრამ არასაზიანოა. ამდენად ამ კონკრეტულ (ბოლო) შემთხვევაში კონკურენციის სააგენტოს შეუძლია პორიზონტალური შეთანხმების დაშვება, თუ ისინი ეფექტურობას უზრუნველყოფენ (გამონაკლისების საკითხი ევროკავშირის კანონმდებლობაში სწორედ ამას ეხება). ამ რეჟიმის შეთანხმება თავისუფლდება იურიდიული პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები წინასწარ აცნობებენ კონკურენციის სააგენტოს და წერილობით თანხმობას მიიღებენ მისგან. თუ ასეთი თანხმობა არ არსებობს, პორიზონტალური

შეთანხმება შეიძლება გახდეს მკაცრი საჯარიმო სანქციის საგანი (საქართველოს კონკურენციის ახალი 2005 წლის 3 ივნისის კანონი მხოლოდ რეკომენდაციების მიცემას ითვალისწინებს).

რაც შეეხება ვერტიკალურ შეთანხმებებს, ის გულისხმობს იმ კონტრაქტებს, რომლებიც ზღუდავენ საქმიანობას მხარეებს შორის მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთობაში. მაგალითად, მწარმოებლებსა და მისი პროდუქციის დისტრიბუტორებს შორის. ეს შეთანხმება ჩვეულებრივ ანალიზდება ორი ფაქტორით: წახალისებს თუ არა ის ბაზრის ძალის გამოყენებას და შედეგად წარმოქმნის თუ არა კონკურენციულ სიმეტრიას დისტრიბუტორებს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომერციული ეფექტები უფრო გაურკვეველია ვერტიკალური შეთანხმებების შემთხვევაში, ვიდრე პორიზონტალური შეთანხმებებისას. შედეგად იურიდიული სტანდარტები სახელმწიფოების მიხედვით განსხვავდება. მაგალითად, აშშ-ს პრეცედენტულ სამართალში შეიცვალა მიდგომები ვერტიკალური შეთანხმებებისადმი კეთილგანწყობის მიმართულებით. 1985 წელს ანტიტრესტული დეპარტამენტის მიერ სახელმძღვანელო პრინციპების მიღებისას ვერტიკალური შეზღუდვების მიმართ აღინიშნა, რომ იგი არ აღძრავს განსახილველად საქმეებს ვერტიკალურ შეზღუდვებთან მიმართებაში, რომლებიც აკონტროლებენ ბაზრის 10%-ზე ნაკლებს და უფრო მეტიც, აუცილებლად არ გახდება დავის საგანი ის ვერტიკალური შეზღუდვები, რომლებსაც იყენებენ 10%-ზე მეტი საბაზრო წილის მქონე ფირმები, არამედ ისინი დაექვემდებარებიან შემდგომ ანალიზს „გონივრულობის პრინციპის“ შესაბამისად.

ანალოგიური მდგომარეობაა ევროკავშირის ჩარჩოებშიც. კერძოდ, რეგორმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ევროკომისიის 1999 წლის 22 დეკემბრის №2790/1999 რეგლამენტი ვერტიკალური შეზღუდვებიდან და პორიზონტალური შეთანხმებებიდან ჯგუფური გამონაკლისების მიმართ. ამ რეგლამენტების თანახმად გაუქმებულ იქნა ადრე დადგენილი ჯგუფური გამონაკლისების დადგენილი წესი და გამოიყენება ახალი წესები.

აღნიშნული ადასტურებს, რომ ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობა, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ კომპანიებზე არამედ სახელმწიფოებზეც, მუდმივ ცვლილებებს განიცდის იმ სიახლეებისა და პრაქტიკული რეალობების გათვალისწინებით, რასაც ადგილი აქვს ევროკავშირის

სინამდვილეში. ბოლო წლებში, ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნა ვერტიკალური შეთანხმებების დარეგულირების საკითხი, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ვერტიკალური ხელშეკრულებების რეჟიმს. ევროპული კომისიის საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ის, რომ ევროკავშირის კონკურენციულმა წესებმა უზრუნველყონ კარტელების შექმნის აცილება და ხელი შეუწყონ სწარმოების ეკონომიკურად მიზანმიმართულ კორპორაციას, რომელიც აძლიერებს კონკურენციას ბაზარზე.

ამასთან, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს წარმოადგენს რა ფასობრივი კარტელი, ევროკომისიის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ასეთი კარტელების გამოვლენა და მათი ანტიკონკურენციული ქმედებების აღკვეთა. კერძოდ, ევროკანონმდებლობით აკრძალულია ისეთი შეთანხმებების დადება, რომლის საფუძველზედაც კომპანიები ერთობლივად ადგენენ ფასებს, რაც საბოლოო ჯამში მომხმარებლებს ართმევს შესაძლებლობას ისარგებლონ კონკურენტი მომწოდებლების ფასებით. ამ მიმართულებით არსებული დარღვევების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ევროკომისიის მიერ გაწეულია გარკვეული მოცულობის სამუშაო. მათ შორის, კომისიის მიერ 1998 წელს გამოვლენილ და აღკვეთილ იქნა დისტანციური გათბობის მილის ბაზარზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცხადებული ტენდერისათვის პირობებისა და ფასების ერთობლივად დადგენის კარტელი. როგორც გაირკვა, კარტელი შეიქმნა 1990 წლის ბოლოს დანიაში და გავრცელდა გერმანიასა და ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში. 1994 წელს კარტელი მოედო მთელ ევროპულ ბაზარს. დანიაში და გერმანიაში კომპანიებმა გამოიგონეს სისტემა სატენდერო პროცედურების დასადგენად, რომლის თანახმად „ფავორიტი“ იგებდა ყოველ კონტრაქტს, ხოლო კარტელის დანარჩენი წევრები ზრდიდნენ ფასებს, რომელიც „ფავორიტის“ ფასებზე მაღალი იყო. შედეგად კარტელის წევრები ინაწილებდნენ ეროვნულ ბაზრებს და ერთობლივად ადგენდნენ ფასებს დისტანციური გათბობის მილებზე. აღნიშნული ანტიკონკურენციული ქმედებით ზარალდებოდნენ როგორც კარტელური გაერთიანების კონკურენტი კომპანიები, ასევე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. კომისიის

მიერ კარტელის წევრებზე დაკისრებულ იქნა დაახლოებით 92 მილიონი ევროს ჯარიმა.

კომისიის მიერ ასევე გამოვლენილ იქნა კარტელური შეთანხმება გაერთიანებული სამეფოს შაქრის ბაზარზე, რის შედეგადაც შაქრის ბაზრის მომხმარებლები იძულებული იყვნენ შაქარი შეეძინათ უფრო ძვირად. საკითხის შესწავლის შემდეგ ევროკომისიის მიერ 1998 წელს აღკვეთილ იქნა აღნიშნული კარტელური შეთანხმება და მის მონაწილეებს დაეკისრა ჯარიმის სახით 50 მილიონი ევრო.

აღსანიშნავია, რომ კლექტონის კანონი არეგულირებს აშშ-ს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კომპანიების შერწყმასა და შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და კრძალავს ბაზარზე ისეთ შერწყმასა და შექმნას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციის შეზღუდვა (შესუსტება) და მონოპოლიის შექმნის ტენდენცია. ამასთან, კანონში 1976 წელს შეტანილმა ცვლილებამ, დაავალდებულა ეკონომიკური აგენტები წინასწარ შეატყობინონ იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტულ დეპარტამენტს და ფედერალური ვაჭრობის კომისიას მოსალოდნელი შერწყმების შესახებ. ასეთი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე აშშ-ს იუსტიციის სამინისტრომ 1994 წელს ჩაატარა კორპორაცია Microsoft-ის მიერ საპროგრამო უზრუნველყოფის შემუშავებული კომპანია Intuit-ის შერწყმის საკითხის გამოძიება. Intuit ფლობდა უფლებას აშშ-ში ყველაზე პოპულარული პირადი ფინანსების მართვის კომპიუტერული პროგრამების Quicken-ის წარმოებაზე. საკითხის მრავალთვიანი გამოძიების შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ ჩათვალა, რომ Microsoft-ისა და Intuit-ის შერწყმა გამოიწვევდა ბაზარზე ერთი კომპანიის ხელში დასაშვებ ზღვარზე მეტი ძალაუფლების კონცენტრაციას და მიიღო გადაწყვეტილება ასეთი შერწყმის საწინააღმდეგო გოდ. შედეგად Intuit დარჩა დამოუკიდებელ კომპანიად.

აშშ-ში მოქმედი ანტიტრესტული კანონმდებლობის თანახმად, კომპანიათა შერწყმის კონტროლი ხორციელდება წინასწარი ნოტიფიკაციების (შეტყობინების) სისტემის ბაზაზე, რომელთა განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, ანტიტრესტული ორგანოების მიერ იკრძალება ისეთი შერწყმები (გაერთიანებები), რომლებიც იწვევენ ან შეიძლება გამოიწვიონ კონკურენციის შეზღუდვა ან მონოპოლიების შექმნა. თავის მხრივ, ნოტიფიციების დადგენილი პირობების (ფასების)

დაუცველობა იწვევს ეკონომიკური აგენტებისათვის საჯარიმო-საანქციების დაკისრებას დღეში 10 ათასი დოლარის ოდენობით.

რაც შეეხება უფრო რბილ მიდგომებს შერწყმების შეფასების საკითხებზე, ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. კერძოდ, 1982 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად ძირითადი აკრძალვის საგანს წარმოადგენდა ჰორიზონტალური შერწყმები, ხოლო ვერტიკალური შერწყმებისა და კონგლომერატების (არაკონკურენტული კომპანიები, რომლებიც ასევე არ არიან დაკავშირებული საწარმო-ტექნოლოგიური ციკლით) აკრძალვის საკითხები დამოკიდებული იყო იმის დასაბუთებაზე, თუ რამდენად არსებითი იყო მათი ანტიკონკურენტული ეფექტი.

1984 წელს გამოქვეყნებულ იქნა ახალი სახელმძღვანელო პრინციპები, რამაც დასაშვები გახადა ისეთი ჰორიზონტალური შეთანხმებები, რომლებიც წარმოებაში დაუსაბუთებელი დუბლირების თავიდან აცილებას ახდენს და ხელს უწყობს ეფექტიანობის ზრდას წარმოების მასშტაბების გაფართოების ხარჯზე. ასევე, იცავს ერთ-ერთ პარტნიორს (უფრო სუსტს) საბაზრო წილის დაკარგვისა და ბაზრიდან გამოდევნისაგან. ამავე დოკუმენტითაა განსაზღვრული ამერიკული იმპორტის დონეზე შერწყმის ზემოქმედების გათვალისწინება.

მანამდე კი, 1982 წელს იუსტიციის სამინისტრომ გამოუშვა შერწყმაზე ახალი განახლებული სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც მიიჩნევდა (აღგენდა) რომ შერწყმას შეიძლება ჰქონოდა დადებითი ეფექტი, ამიტომ აკრძალვებს ექვემდებარებოდა მხოლოდ ის შერწყმა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ანტიკონკურენტული ეფექტი. გარდა ამისა, აშშ-ში მოქმედებს სახელმძღვანელო წესი ერთობლივი წარმოების (joint venture) შემთხვევებში ანტიტრესტული კანონმდებლობის გამოყენებაზე. პირველად იგი მიღებულ იქნა 1977 წელს. დღეისათვის კი ამ შემთხვევების მიმართ გამოიყენება 1995 წლის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც აღგენს იმ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც ახდენს სახელმწიფო ორგანო მეწარმეთა საქმიანობის შეფასებას, თუ რა შემთხვევებში ითვლება შერწყმა ანტიტრესტული კანონმდებლობის დარღვევად.

ამასთან, აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულია სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს ამერიკული კომპანიების მიერ უცხოურ სახელმწიფოებთან

ან სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებების დადების შემთხვევაში, რომლებიც განიხილება როგორც ჯოინტ ვენტურეს ნაირსახეობა.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამერიკული კომპანიების ფედერალურ დონეზე შერწყმების რეგულირება იზღუდება ძირითადად 1968 წელს მიღებული უილიამსის კანონის შესაბამისად, რომლის თანახმად კონტროლის ძირითადი ბერკეტები კორპორაციათა გაერთიანებების შესახებ მოქმედებდა შტატების მთავრობათა ხელში.

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, 1956 წლის კანონმა შემზღვეველი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ, გააფართოვა 1948 წლის კანონის მოქმედების სფერო. ამასთან, 1965 წლის კანონმა მონოპოლიებისა და შერწყმების შესახებ განავრცო სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები მომსახურების ბაზრის კონკურენტის პირობებზე. შესაბამისად, გაიზარდა მთავრობის უფლებამოსილებები ბაზარზე კონკურენტის პირობების რეგულირების სფეროში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ის საქმეები, რომლებიც შერწყმებთან არიან დაკავშირებულნი, ყოველთვის გამოირჩევიან კონფლიქტური სიტუაციებით (სიტუაციის სირთულეთა და სიმწვავეთ), 1965 წლის კანონმა შემოიტანა შერწყმათა გამოძიების სპეციალური პროცედურა. დღეისათვის დიდ ბრიტანეთში კომპანიათა შერწყმის რეგულირება ხორციელდება ევრო-კავშირის კონკურენტის კანონმდებლობის შესაბამისად.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გამოძიება იწყება იმ ინფორმაციის (რეგულარულად მიწოდებული ანგარიშები) საფუძველზე, რომელიც მიიღება გენერალური დირექტორის და კომისიის მიერ ბაზარზე არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. ამასთან, გამოძიება შერწყმებთან დაკავშირებით, როგორც წესი ტარდება, თუ ახალი კომპანიის ხვედრითი წილი ბრიტანეთის სასაქონლო (მომსახურების) ბაზარზე შეადგენს 25%-ს (მონოპოლიური მდგომარეობის მქონედ ეკონომიკური აგენტისათვის დადგენილ ზღვარს) და მეტს (ე.წ. „მოწოდების ტესტი“) და ან თუ ერთ-ერთი კომპანიის ლიკვიდური აქტივები (საზღვარგარეთულის ჩათვლით) აღემატება 70 მილიონ ფუნტ სტერლინგს (ე.წ. „ტესტი აქტივებზე“). ტესტი გამოიყენება კომპანიის ყველა იმ აქტივის ღირებულებაზე, რომელიც მას გააჩნია კონკურენტის კომისიაზე მიმართვის მომენტისათვის.

თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთის სამთავრობო ორგანოები იტოვებენ უფლებას თავისი შეხედულებისამებრ აწარმოონ გამოძიება კომპანიათა შერწყმის ნებისმიერ ფაქტზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონმდებლობის ახსნისა და მისი პრაქტიკული გამოყენების გაადვილების მიზნით დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ შემუშავებულია კომპანიათა შერწყმის სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი კომპანიათა შერწყმის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურა, ამ კომპანიებისა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების წესი.

ამასთან, დიდ კომპანიათა შერწყმისას ევროკავშირის ფარგლებში მოქმედებს ევროკავშირის დებულება კომპანიათა შერწყმის შესახებ 4064/89, მასში 1997 და 2004 წლებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ 2002 წლის კანონის მიღებამ დააჩქარა სამართლიანი ვაჭრობის შესახებ კომპანიათა შერწყმის 1973 წლის კანონით დადგენილ ბრიტანულ წესში გარკვეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ, თვალშისაცემია კომპანიათა შერწყმის პროცესზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური გავლენის მინიმუმამდე დაყვანის პროცედურა. ამ უფლებამოსილებების გარკვეული ნაწილის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრიდან (სახელმწიფო მდივნიდან) დამოუკიდებელ, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოზე გადაცემის გზით (კეთილსინდისიერი (სამართლიანი) ვაჭრობისა და კონკურენციის ოფისები). ამასთან, კომპანიათა შერწყმების საკითხზე გადაწყვეტილებების მიღებისას უფრო მეტი ყურადღება ექცევა არა მათ კონკურენტუნარიანობას, არამედ სახელმწიფოებრივ ინტერესების დაცვას.

დიდ ბრიტანეთში კონკურენციის კომისია წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც სახელმწიფო მდივნის დავალებით ახორციელებს კომპანიათა შერწყმის გამოძიებას სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. კონკურენციის კომისია:

- ისმენს ყველა დაინტერესებული მხარის პოზიციას;
- იხილავს კომპანიათა შერწყმის დასაბუთებულობას და მის შესაძლო შედეგებს სახელმწიფო ინტერესებისათვის;

• თუ შერწყმას მოჰყვება უარყოფითი (ნეგატიური) შედეგები ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, იძლევა მისი გამოსწორების ღონისძიებათა შესახებ შესაბამის რეკომენდაციებს;

• სახელმწიფო მდივნისათვის მოხსენების წარდგენამდე, შერწყმაში მონაწილე მხარეთა თხოვნით იხილავს საკითხს მოხსენებიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამორიცხვის თაობაზე;

• მოხსენებას წინადადებებითურთ უგზავნის სახელმწიფო მდივანს გამოსაქვეყნებლად, მომზადებული მასალებიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამოკლებით.

ამასთან უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დიდ ბრიტანეთში მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს სავალდებულო მოთხოვნას განსახორციელებელ ან უკვე განხორციელებული შერწყმის შეტყობინების თაობაზე. თავის მხრივ, კომპანიებს შეუძლიათ შერწყმის განხორციელებიდან ოთხი თვის განმავლობაში მიმართონ კონკურენციის კომისიას მათ მიერ ყველა დადგენილი პროცედურის დაცვისა და სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლობის დასამტკიცებლად. პრაქტიკაში ბევრი კომპანია მიმართავს კომისიას შერწყმის განხორციელებამდე.

კანონი მხარეებს ანიჭებს უფლებას თვითონ აირჩიონ კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისის გენერალური დირექტორისათვის შეტყობინების ფორმა, ეწ. „წინასწარი შეტყობინების პროცედურები“. ამ პროცედურების შესაბამისად მოქმედებს კანონით დადგენილი მაქსიმალური 35 დღიანი ვადა, რომლის დროსაც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შეტყობინება ეგზავნება გენერალურ დირექტორს შერწყმის განხორციელების შემდეგ, მაშინ მიმართვების 90%-ზე გადაწყვეტილების მიღების ვადა იზრდება 45 დღემდე.

კეთილსინდისიერი ვაჭრობის ოფისის გენერალურ დირექტორს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს სახელმწიფო მდივანს გადასცეს შერწყმის საკითხი კონკურენციის კომისიას, რომლის პარალელურად სახელმწიფო მდივანი უფლებამოსილია დაავალდებულოს გენერალური დირექტორი, რომ მან კატეგორიულად მოითხოვოს მხარეებისაგან შესაბამისი კანონით განსაზღვრული პირობების შესრულება. საბოლოოდ, მითითებული მოთხოვნები და რეკომენდაციები შერწყმების არასასურველი შედეგების გამოსწორების შესახებ ექვემდებარებიან გამოქვეყნებას სავალდებულო წესით.

თუ სახელმწიფო მდივანი ავსაენის შერწყმის საკითხს კონკურენციის კომისიაში, მაშინ ის ადგენს ვადებს, რომლის დროსაც კომისიამ უნდა წარუდგინოს მას მოხსენება. კანონით კომისიას შერწყმის შესახებ მასალების შეგროვებისა და ანალიზისათვის ეძლევა 6 თვიანი ვადა, რომელიც შეიძლება გაგრძელებულ იქნეს კიდევ სამი თვით. თუმცა ბოლო წლების პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოხსენების წარდგენის საწყისი ვადა ისაზღვრება 3 თვით და აუცილებლობის შემთხვევაში ხდება შემდგომში მისი ორკვირიანი ვადით გაგრძელება.

თავის მხრივ, სახელმწიფო მდივანი კომისიისაგან შერწყმების შესახებ მოხსენების მიღების შემდეგ ვალდებულია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება 20 სამუშაო დღის განმავლობაში კომისიის მოხსენების სავალდებულო გამოქვეყნებასთან ერთად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ შერწყმების კონტროლის საკითხი, როგორც კონკურენციის დაცვის ერთ-ერთი სერიოზული ბერკეტი, უაღრესად პრიორიტეტულია დიდი ბრიტანეთის საკონკურენციო სამართალში.

უნდა ითქვას, რომ კანონმდებლობით დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სახელმწიფო მდივანს (მინისტრს) რჩება უფლებამოსილება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ეკონომიკურ აგენტთა ისეთ შერწყმაზე, რომელიც ეხება განსაკუთრებულ სახელმწიფო ინტერესებს (მაგალითად, თავდაცვა). გარდა ამისა, საწარმოთა ეს კატეგორია (თავდაცვითი კომპლექსის ობიექტები, წყალმომარაგების სფერო, ეკონომიკური აგენტები, რომლებიც საგაზეთო სფეროში მოღვაწეობენ და ა.შ.), მათი შერწყმისას რჩებიან სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის საგანზე სავალდებულო ტესტის ჩასატარებელ ობიექტებად.

ცნობილია, რომ ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნების საწარმოებს შორის ტრანსნაციონალური კავშირების დამყარებამ მიიღო სულ უფრო ფართო მასშტაბები, რაც გარკვეული ეტაპისათვის უკვე გადაიქცა სერიოზულ საშიშროებად კონკურენციისა და ეკონომიკის ევოლუციური ფუნქციონირებისათვის. ამ პროცესის უარყოფით რეალზეა ხაზი გასმული „ევროკავშირის კომისიის შესახებ მოხსენებაში კონკურენციულ პოლიტიკაზე“ (1974 წ.), სადაც აღნიშნულია, რომ ევროპული ფირმების გამსხვილების წახალისებამ ევროპულ ბაზარზე გამოიწვია

უმსხვილესი კომპანიების „ზედმეტი კონცენტრაცია“ და „დომინირებული მდგომარეობა“. ამდენად, ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ, რომელსაც მოჰყვება საწარმოების ტრანსნაციონალური კავშირების გაფართოება და დიფერენსიაცია, გამოიწვია მათი ზემოქმედების უფრო მეტოვრი რეგლამენტაციის საჭიროება, რამაც განაპირობა კონკურენციის რეგულირების იურიდიული ბაზის შემდგომი გაფართოება. მათ შორის, უშუალოდ წარმოების კონცენტრაციის რეგულირების მიმართულებით.

ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფაში დიდ როლს თამაშობს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის კომისიის რეგლამენტი და დირექტივები, რომლებიც ეხებიან კონკურენციული ბრძოლის წესების დარღვევის საწინააღმდეგო სანქციებს, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საპროცედურო საკითხებს, ამა თუ იმ ფორმის შეთანხმებებზე აკრძალვების საკითხს და ა.შ.

ერთ-ერთი ასეთი რეგლამენტი, რომლითაც ხდება ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის სისტემის მიერ კომპანიათა შერწყმის გაკონტროლება, არის 1990 წლის და 1989 წლის რეგლამენტი 4064/89 (დებულება შერწყმის შესახებ), რომელშიც 1997 (ძალაში შევიდა 1998 წლის 1 მარტიდან) და 2004 წლებში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები შერწყმაში მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა ზღვრული მანევრებლების განსაზღვრის (დაზუსტების) კუთხით.

შერწყმის შესახებ 2004 წლის 139/2004 რეგლამენტის თანახმად გაერთიანების ფარგლებში შერწყმის განხორციელების თაობაზე კომისიას უნდა ეცნობოს შეთანხმების მიღწევიდან არა უგვიანეს ერთი კვირის ვადაში (4064/89 რეგლამენტით გათვალისწინებული იყო კომისიისათვის ყოველგვარი ინფორმაციის წინასწარ მიწოდება შერწყმის განხორციელებაზე). კომისია ვალდებულია შეისწავლოს მიღებული შეტყობინებები და ერთი თვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება განხორციელებული შერწყმის კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე. ყველა ის კონცენტრაცია, რომელიც არ აკმაყოფილებს რეგლამენტით გათვალისწინებულ პირობებს, შეუსაბამოდ ცხადდება და იკრძალება. ამასთან, კომისიას აქვს უფლება დართოს ნება შერწყმის განხორციელებაზე, თუ მოხდა ისეთი სავალდებულო შეთანხმების

დადება მხარეებთან, რომლის მეშვეობითაც შერწყმა შეიძლება შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი გაერთიანების წესებთან.

თავის მხრივ, კავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ეროვნულ კონკურენციული კანონები გამოიყენონ ისეთი შერწყმის მიმართაც, რომლებიც არ შეესაბამებიან შერწყმის შესახებ რეგლამენტით განსაზღვრულ ზღვრულ მანევრებებს.

საქართველოში დღეისათვის სამწახაროდ არ არსებობს შეთანხმებებისა და შერწყმების მარეგლამენტირებელი რაიმე საკანონმდებლო ნორმა.

ევროკომისის რეკომენდაციების თანახმად შემუშავებული პროექტის შესაბამისად განხორციელებული კონცენტრაციების შესახებ საქართველოს კონკურენციის ორგანოს უნდა ეცნობოს შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ათი დღის ვადაში, რომლის ათვლა იწყება შერწყმაზე ხელშეკრულების დადების და/ან საკონტროლო პაკეტის შექმნის დღიდან.

პროექტის თანახმად, განხორციელებული კონცენტრაციების შესახებ კონკურენციის ორგანოს აუცილებელია ეცნობოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი პირდაპირ ან არაპირდაპირ იძენს, მინდობილობაში იღებს ან აკონტროლებს მეორე ეკონომიკური აგენტის საწესდებო კაპიტალის 5 პროცენტს ან მეტს. ამასთან, ამ კანონის მიზნებისათვის:

(ა) წილის პირდაპირ შექმნად ჩაითვლება, თუ მეორე ეკონომიკური აგენტის საწესდებო კაპიტალის წილს იძენს, მინდობილ საკუთრებაში იღებს ან აკონტროლებს ისეთი ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტი, რომლის საწესდებო კაპიტალის წილთა ნახევარზე მეტს, თავის მხრივ, ფლობს, აკონტროლებს ან ამ ოდენობის მინდობილი მესაკუთრეა დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი;

(ბ) კონტროლად მიიჩნევა, თუ დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს, მის ხელმძღვანელს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან პარტნიორს (აქციონერი, მუპაიე) მფლობელობაში ან მინდობილ საკუთრებაში გააჩნია მეორე ეკონომიკური აგენტის საწესდებო კაპიტალის წილთა, სულ მცირე, 5 პროცენტი, ან მეორე ეკონომიკურ აგენტში ამ რაოდენობის ხმები გადაეცემა რწმუნებულებით (მინდობილობით).

შეტყობინება კეთდება წერილობითი ფორმით შერწყმასა თუ მიერთებაში მონაწილე თითოეული ეკონომიკური

აგენტის მიერ და მასში უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია განხორციელებული შერწყმის ან მიერთების შესახებ. კერძოდ, მასში უნდა იყოს მითითებული კონცენტრაციაში მონაწილე მხარეები, კონცენტრაციის სახე და ის დარგი სადაც ეს შერწყმა განხორციელდა.

კონკურენციის ორგანომ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა განსაზღვროს კონკრეტული შერწყმით ან მიერთებით იზღუდება თუ არა კონკურენცია და თავისუფალი ვაჭრობა შესაბამის სასაქონლო ბაზარზე და ექნება თუ არა ადგილი საზოგადოებრივი კეთილდღეობის საწინააღმდეგო ქმედებას:

თუ კონკურენციის ორგანო ჩათვლის, რომ კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს კონკურენციის აღკვეთა ან შეზღუდვა, იგი იწყებს გამოძიებას შეტყობინების მიღებიდან ან აღნიშნულის თაობაზე სხვა გზებით ინფორმირებიდან 30 დღის განმავლობაში.

გამოძიების წარმოებისას კონკურენციის ორგანო უფლებამოსილია აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვოს, რომ მოცემულმა ეკონომიკურმა აგენტებმა შეაჩერონ კონცენტრაციის პროცესი გამოძიების დასრულებამდე.

თუ გამოძიების დასრულების შემდეგ კონკურენციის ორგანო დაადგენს, რომ კონცენტრაცია ზღუდავს კონკურენციას, იგი კრძალავს მას. ამასთან, იგი უფლებამოსილია კონკურენციის შემზღუდავი კონცენტრაციების მიმართ მოითხოვოს კონკურენციის პირობების აღსადგენად ეფექტიანი ზომების მიღება და კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპების საწინააღმდეგო ნებისმიერი ფაქტორის ლიკვიდაცია.

საკონტროლო კითხვები:

- * რას ეწოდება ჰორიზონტალური შეთანხმება?
- * რა არის ვერტიკალური შეთანხმება და რითი განსხვავდება ჰორიზონტალური შეთანხმებისაგან?
- * როგორია კონკურენციული კანონმდებლობის დამოკიდებულება ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებებისადმი?
- * რას ნიშნავს კარტელური შეთანხმება, რა დამოკიდებულებაში იმყოფება იგი ჰორიზონტალურ შეთანხმებებთან და რატომ არის იგი განსაკუთრებით საშიში კონკურენციისათვის?

* როგორი დამოკიდებულებაა შია თანამედროვე საკონკურენტო კანონმდებლობა ვერტიკალური შეთანხმებებისადმი ევროკავშირის ჩარჩოებში?

* რას ნიშნავს შერწყმა და რა შემთხვევებში ხდება მისი აკრძალვა?

თემა 8. საბაზრო ურთიერთობათა ანტიმონოპოლიური რეგულირება

საბაზრო ურთიერთობათა სისტემის რეგულირება, რომლის ფორმირებაც ხდება დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში, ხორციელდება როგორც სტიქიურად, ისე მიზანმიმართულად. სტიქიური რეგულირება (ანუ თვითრეგულირება) ეფუძნება ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს, პირველ რიგში კი მოთხოვნა-მიწოდების კანონს. აღიარებულია, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით ამ კანონების ზემოქმედებას ყოველთვის არ მოყვება სასურველი დადებითი ეფექტი. ამიტომ საბაზრო სტიქიის ნეგატიურ გამოვლინებათა შემცირების მიზნით აუცილებელია თვითრეგულირების კორექტირება და მისი მიზანმიმართული ზემოქმედების ზომებით შევსება. ასეთი ზეგავლენა ხორციელდება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების დახმარებით, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს სამართლებრივი ანტიმონოპოლიური რეგულირება. მისი უმთავრესი დანიშნულებაა კონკურენტის სტიმულირება, ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა მხრიდან კონკურენტული ბრძოლის მექანიზმის ხელმყოფი სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობის თავიდან აცილება და აღკვეთა მიზეზს, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან ანტიმონოპოლიური რეგულირების ზომების რეალიზებას, წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობათა კონკურენტული

საფუძვლების მხარდაჭერის აუცილებლობისადმი საჯარო ინტერესს.

ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსებული განვითარების საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ინფრასტრუქტურული დარგები, რომლებიც ასრულებენ დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას საწარმოო და მომსახურების სფეროებსა და მომხმარებლებს შორის. ინფრასტრუქტურული დარგების ძირითად ნაწილს შეადგენენ ბუნებრივი მონოპოლიები. ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით კონკურენტის განვითარების მიზანშეუწონლობა და რიგ შემთხვევაში მისი შეუძლებლობა აუცილებელს ხდის ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების რეგულირების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებასა და რეალიზაციას. განსაკუთრებით აქტუალურია ამ სფეროში კონტროლი ფასწარმოქმნაზე, რადგან ბუნებრივი მონოპოლიების პროდუქციასა და მომსახურებაზე ტარიფების დადგენილი დონე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ისეთ, საზოგადოებრივად სასიცოცხლო ეკონომიკურ მანქანებლებზე, როგორცაა ფასებისა და ინფლაციის დონე, მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი.

ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა გრძელვადიანი პერიოდისათვის ხორციელდება შესაბამისი, მასტიმულირებელი მოტივებისა და მექანიზმების წარმომქმნელი კანონებისა და წესების საფუძველზე. ბუნებრივი მონოპოლიების სპეციფიური მდგომარეობის გამო მონოპოლიური ბაზრის სუბიექტების საქმიანობაზე გადამწყვეტი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია სახელმწიფოს. სპეციფიურობა იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო რიგ შემთხვევაში გამოდის ეკონომიკური ურთიერთობის სუბიექტის (მესაკუთრის) სახით და იმავდროულად (ყოველთვის) წარმოადგენს ინსტიტუციონალური გარემოს განმსაზღვრელს და მაკონტროლებელს.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ბუნებრივი მონოპოლიების პირობებში მომუშავე ფირმების საქმიანობა უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელ და საჭიროების შემთხვევაში შემზღუდავ ზემოქმედებას. პრაქტიკულად, რეგულირების მიზანი გამოიხატება ტარიფების დასაბუთებულობისა და სამართლიანობის, გადამხდელთა და მომხმარებელთათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფაში.

ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში ტარიფების სა-
ხელმწიფო რეგულირებისათვის, სასაქონლო ბაზრებზე მონო-
პოლიზმის აღკვეთისათვის, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის
სარეალიზაციოდ და ქვეყანაში ჯანსაღი საკონკურენციო
პირობების შექმნისათვის, როგორც წესი, იქმნება ხოლმე
ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობის რეგულირების
სპეციალური სახელმწიფო ორგანოები. სახელმწიფო რე-
გულირება ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- მომხმარებელთა და ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტე-
ბის ინტერესების დაბალანსებულობის მიღწევა;

- ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების ეფექტიანი და
მომგებიანი საქმიანობის უზრუნველყოფა;

- ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში მოქმედ მეწარმე
სუბიექტებსა და მათი საქმიანობის მარეგულირებელ ორგა-
ნოებს შორის ურთიერთპასუხისმგებლობის უზრუნველყოფა.

სხვადასხვა ქვეყანაში რეგულირების სხვადასხვა წესია,
მაგრამ მათი გაერთიანება შეიძლება ორ ძირითად
მიმართულებაში: პირდაპირი რეგულირება, რომელიც
ხორციელდება სპეციალუ- რად შექმნილი მართვის
უფლებამოსილი ორგანოების მიერ და ირიბი, როცა
სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება გამოიხატება მისი,
როგორც მესაკუთრის (სახელმწიფო და მუნიცი- პალური
საკუთრების საწარმოების არსებობისას) უფლებათა
გამოყენების, ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის
განსაზღვრისა და სათანადო ცვლილებათა შეტანისას მის-
თვის მიკუთვნებული საკანონმდებლო ინიციატივის უფლებათა
რეალიზაციის მეშვეობით. რეგულირების წესები განსხვავდება
საფასო და არასაფასო მეთოდების გამოყენების ხარის-
ხითაც. იმ ქვეყნების ტიპურ წარმომადგენლად, სადაც გამოიყენება
პირდაპირი რეგულირება და საფასო მეთოდი, ითვლება აშშ, ხოლო
შვედეთი და ფინეთი კი იყენებენ ბუნებრივი მონოპოლიების
საქმიანობის ირიბი რეგულირების ხერხს, უპირველეს ყოვლისა,
საკუთრებით ურთიერთობის რეალიზაციის გზით. ორივე შემთხვევაში,
ფორმის მიუხედავად, რეგულირებას გააჩნია ერთი და იგივე მიზნები:

- მომხმარებელთა მიმართ დაუსაბუთებელი ტარიფების
დაუშვებლობა;

- მწარმოებელთა ინტერესების ხელშეწყობა;

- სახელმწიფოს ინტერესების ხელშეწყობა ქვეყნის და
საერთაშორისო დონეზე.

ბუნებრივ მონოპოლიებზე სახელმწიფო ზემოქმედების
ფორმები და მეთოდები განსხვავდებიან ეკონომიკური
სისტემის რეფორმირების ეტაპის მიხედვითაც. კერძოდ,
ადმინისტრაციულ-გეგმური სისტემიდან საბაზროზე გადასვლის
პირველ ეტაპზე (ეკონომიკაში სახელმწიფოს უშუალო ჩარევის
და მისი როლის შემცირების ეტაპზე) დღის წესრიგში დგას
ისეთი რეფორმისტული ხერხების გამოყენება, როგორცაა
დეზინტეგრაცია, დემონოპოლიზაცია და პრივატიზაცია.
შემდგომ ეტაპზე (ეკონომიკური კონკურენციის აღმოცენებისა
და განვითარების ეტაპზე) პრიორიტეტი ენიჭება პირდაპირ
და ირიბ სახელმწიფო რეგულირებას როგორც ფასების,
ისე არასაფასო მეთოდების მეშვეობით, ასევე კონკურენ-
ციისათვის ხელშემწყობი ეკონომიკური გარემოს შექმნას.

ეკონომიკური თეორიისა და კონკურენციის სფეროს
სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ არ არსებობს მუდმივი
და ყოვლისმომცველი მონოპოლია და რომ ისეთ მონოპო-
ლიურ ბაზარზეც კი, როგორც ბუნებრივ მონოპოლიას
ახა- სიათებს, შესაძლებელია კონკურენცია
შიდადარგობრივი კონკურენციის სახით. ამ თვალსაზრისით
განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მ. პორტერის მოდელი,
რომელიც ასახავს კონკურენციის გამოვლინების შემდეგ
ფორმებს: ახალი, პოტენციური კონკურენტების გაჩენის
საფრთხე, არსებული საქონლისა და მომსახურების
შემცველთა წარმოქმნის საფრთხე, მომწოდებელთა
(გამყიდველების) ვაჭრობის უნარი, მყიდველთა ვაჭრობის
უნარი, უკვე არსებული კონკურენტების
ურთიერთდაპირისპირება. ასე მაგალითად, კავშირგაბმულო-
ბის დარგში სატელეფონო კომპანიების მონოპოლიზმი შეიძ-
ლება დაირღვეს ახალი კონკურენტების გაჩენასთან და
მომსახურების არსებული სახეების შემცველთა, ანუ
სა- მეცნიერო-ტექნიკური პროგრესით განპირობებული
ტექნო- ლოგიური კონკურენციის წარმოქმნასთან
დაკავშირებით (მაგისტრალური ციფრული ხაზები,
მობილური კავშირი, ინტერნეტი და ა.შ.). ანალოგიური
მოვლენები შეიძლება მოხდეს ელექტროენერგეტიკის დარგში
და რკინიგზის ტრანსპორტზე. რაც შეეხება ლოკალურ

ბუნებრივ მონოპოლიებს – წყალ- მომარაგებასა და კანალიზაციას, ამ სფეროში ბუნებრივი მონოპოლია ბაზრის ყველაზე უფრო მყარი მდგომარეობაა და იგი პრაქტიკულად არ განიცდის (არც უახლოეს პერსპექტი- ვაშია მოსალოდნელი) კონკურენციის ფაქტორების ზეგავლენას.

სანამ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულირებად სფეროს შეეხებოდეთ, აუცილებელია შევჩერდეთ ისეთი ცნებების განმარტება-გამიჯვნის საკითხზე, როგორცაა „მონოპოლია“, „მონოპოლისტი“ და „მონოპო- ლიზმი“. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ „მონოპოლია“ ბაზრის ისეთი მდგომარეობაა (საბაზრო სტრუქტურაა), რომლის დროსაც ბაზარზე მოქმედებს მხოლოდ ერთი გამყიდველი და მყარეს მხრივ, ესაა საბაზრო ძალაუფლება, რომელიც წარმოიშვა წარმოების ან ვაჭრობის განსაკუთრე- ბული შესაძლებლობის არსებობის შედეგად. „მონოპო- ლისტი“ – ეკონომიკური აგენტია (მეწარმე სუბიექტი), რომელიც ერთადერთი გამყიდველია შესაბამის სასაქონლო ბაზარზე. „მონოპოლიზმი“- ეკონომიკური აგენტის მხრიდან რეალურად გამოვლენილი მონოპოლიური თვისებებია, რომელიც გამოიხატება სარგებლის მიღების მიზნით მონოპოლისტის მიერ საბაზრო ძალაუფლებისა და თავისი დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში. „მონოპოლიზმი“ პრაქტიკულად კონკურენციის თეორიაში ცნობილი „მონოპოლიური საქმიანობაა“, რომელიც აკრძა- ლულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით და ასევე უმრავლესი ქვეყნების კონკურენციული კანონმდებ- ლობით, მაგრამ რომელსაც („მონოპოლიურ საქმიანობა“-ს) სამწუხაროდ არ „ცნობს“ საქართველოს კანონი „თავისუფა- ლი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“.

რაც შეეხება ბუნებრივი და საბაზრო მონოპოლიების ფუნქციონირებისა და რეგულირების ასპექტებს საქართველოში, დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ არსებობს ენერგე- ტიკისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროებში დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები, რომლებიც კონკურენციის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე შემუშავებული კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ აღნიშნულ

რეგულირებად სფეროებში სალიცენზიო სამუშაოებს და ზედამხედველობას ტარიფების დასაბუთებულობაზე.

„მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლისა და საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალი- ბების შემდეგ, უცხოელ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომ- ლობით მიღებულ იქნა რიგი ნორმატიული აქტები, როლებ- მაც შეავსეს და სრულყვეს ქვეყნის საკონკურენციო კანონმდებ- ლობა. კერძოდ,

1998 წლის 22 თებერვალს მიღებულ იქნა „ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ“ – საქართველოს პრეზიდენტის ბრძა- ნებულება №95, რომლითაც დამტკიცებულ იქნა – ა) „ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ და ბ) „ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების რეგულირებისა და დანახარჯების კონტროლის შესახებ“ დებულებები.

ა) „ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ დებულების მიზანს წარმოადგენდა ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების საქმიანობის რეგულირების მიზნით მათი ჩამონათვლის ფორმირება, რასაც უნდა უზრუნველყო როგორც ეკონომიკური აგენტებისა და მომხმარებელთა კანონიერი უფლებების დაცვა, ასევე ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების ეფექტიანი ფუნქ- ციონირება და განვითარება.

„ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 20 მაისის №334, 1997 წლის 20 აპრილის №206 და 1997 წლის 6 ნოემბრის №631 ბრძანებულებების თანახმად ბუნებრივ მონოპოლიებს განეკუთვნებოდნენ: 1) საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროდან – ა) სახელმწიფო საფოსტო კავშირით მომსახურება; ბ) სინშირეთა სპექტრის განაწილება; 2) საქართველოს სარკინიგზო დეპარტამენტიდან – სარკინიგზო ხაზი; 3) ს/ს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორა- ციიდან“ – საქართველოს ტერიტორიაზე მაგისტრალური მილსადენით ბუნებრივი გაზის შემოტანა და ტრანზიტით; 4) სა- ხელმწიფო კომპანია „საქენერგოდან“ – მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი სისტემა; 5) სახელმწიფო საწარმო „საქაერონავიგაციიდან“ – „საპაერო სივრცის გამოყენების

სამარშრუტო და სადისპეტჩერო უზრუნველყოფა“, რომელიც შემდეგ შეიცვალა შემდეგი სახით – „საჰაერო მოძრაობის სადისპეტჩერო მომსახურება მარშრუტზე“; 6) საქართველოს საზღვაო სანაოსნო დეპარტამენტიდან – ა) ფოთის საზღვაო ნავსადგური; ბ) ბათუმის საზღვაო ნავსადგური; გ) სოხუმის საზღვაო ნავსადგური. მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 ივნისის №235 ბრძანებულებით ბუნებრივ მონოპოლიათა სუბიექტების სახელმწიფო რეესტრში შეყვანილ იქნა – სააეროდრომო-სადისპეტჩერო მომსახურება და ქ. თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს რაიონების (ქალაქების) წყალმომარაგების საწარმოები (წყალკანალები);

ბუნებრივ მონოპოლიათა სფეროებში ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების (კერძოდ, ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტებისა და მომხმარებელთა ინტერესების ბალანსის უზრუნველყოფის) მიზნით ანტიმონოპოლიური სამსახური ახორციელებდა სახელმწიფო კონტროლს ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების მიერ ან მათი მონაწილეობით განხორციელებულ ქმედებებზე, რომლებსაც შეიძლება გამოეწვიათ მათ მიერ წარმოებული საქონლის (სამუშაოს მომსახურების) მომხმარებელთა ინტერესების შელახვა. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანტიმონოპოლიური სამსახური იყენებდა რეგულირებისა და კონტროლის შემდეგ მექანიზმებს: ა) ადგენდა და აზუსტებდა რეესტრს; ბ) ანაღლიზებდა ბუნებრივი მონოპოლიების საქმიანობას; გ) დადგენილი წესით თავის კომპეტენციის ფარგლებში იღებდა გადაწყვეტილებებს ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების მონოპოლიურად მაღალი მოგების რეგულირების შესახებ (თვითღირებულების, წარმოების მოცულობისა და ინფლაციის დონის ცვლილებების გათვალისწინებით); დ) ამოწმებდა დანახარჯების ფაქტობრივ შემადგენლობას და მოგების ნორმას; ე) ავლენდა სასაქონლო ბაზრებზე შესაძლო არაკეთილსინდისიერ ქმედებებს (მუხლი 18); ანტიმონოპოლიურ სამსახურს ჰქონდა უფლება ასევე გამოეყენებინა კონტროლისა და რეგულირების ისეთი მეთოდი როგორცაა – ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების საქმიანობის სტრუქტურული კონტროლი, ასევე ეწარმოებინა ფასების რეგულირება,

ფასების (ტარიფების) ან მათი ზღვრული დონეების, აგრეთვე რენტაბელობის ზღვრული დონის დაწესებით.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ჰქონდა უფლება ბუნებრივ მონოპოლიათა რეესტრში შეყვანილი ეკონომიკური აგენტის საქმიანობის რეგულირება და კონტროლი განეხორციელებინა, არა მხოლოდ რეესტრის დაზუსტებისა და გეგმიური შემოწმების პროცესში, არამედ, კონკრეტული საჩივრის საფუძველზეც. ამასთან, ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებული ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილებები სავალდებულო ხასიათის იყო და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახურს შეეძლო გაეტარებინა ადმინისტრაციული ზომები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში (დაჯარიმება, ზემდგომ ინსტანციაში საკითხის დასმა და სხვა).

რაც შეეხება, **ბ) „ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების რეგულირებისა და დანახარჯების კონტროლის შესახებ“** დებულებას, ის შემუშავებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და „ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად და განსაზღვრავდა ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების საქმიანობის რეგულირებისა და დანახარჯების კონტროლის წესს. შესაბამისად მის მიზანს წარმოადგენდა – ფასებისა და ტარიფების ინდივიდუალურ რეგულირებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების დანახარჯებისა და ფასების რეგულირებისა და კონტროლის მეთოდების განსაზღვრა და სამეურნეო სტრუქტურების დემონოპოლიზებისათვის ეკონომიკურად დასაბუთებული წინადადებების შემუშავება.

აღნიშნული დებულება, ავსებდა რა ქვეყნის საკონკურენციო სამართალს, ანტიმონოპოლიურ სამსახურს ანიჭებდა უფლებას სათანადო ანალიზის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების საქმიანობის ფასებით (ტარიფით) რეგულირების შესახებ. კერძოდ, სამსახურს ჰქონდა უფლება დადგენილი წესით განეხორციელებინა კონტროლი ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტების მიერ ფასწარმოქმნის რეგულირების შესახებ გადაწყვეტილებებით

გათვალისწინებული პირობებისა და ბაზარზე მოქმედების წესების დაცვისადმი, ისევე როგორც, პროდუქციის თვითღირებულებაში შესატანი დანახარჯების შემადგენლობის შესახებ დებულებების დაცვისადმი და ფასებში (ტარიფებში) გათვალისწინებული მოგების ნორმის დასაბუთებულობისადმი. სამსახურს ჰქონდა ასევე უფლება გაეკონტროლებინა ისეთი ეკონომიკური აგენტების წარმოქმნის პროცესი, რომლებსაც ფაქტიურად უნდა მოეხდინათ ბუნებრივი მონოპოლიების ძირითადი საქმიანობის დუბლირება.

ამასთან, ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტებს ეკრძალებოდათ ძირითადი ფონდების იმ ნაწილის გაყიდვა, იჯარით ან სხვა წესით გადაცემა, რომელიც გათვალისწინებული იყო რეგულირებას დაქვემდებარებული პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისათვის (რეალიზაციისათვის). ასევე, აკრძალული იყო სახსრების დაბანდება (მათ შორის კაპიტალური მშენებლობის გზით, სამეურნეო ამხანაგობების დაარსებით სხვა მეურნე სუბიექტებთან ხელშეკრულებებით) იმ საქონლის წარმოებაში (რეალიზაციაში), რომელთა მიმართაც არ გამოიყენებოდა რეგულირება.

გარდა ამისა, კანონმდებლობა ითვალისწინებდა ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტის (მისი შვილობილი საწარმოს) აქციების ან წილის (პაის) შექმნისას სავალდებულო წესით ანტიმონოპოლიური სამსახურის საექსპერტო დასკვნის არსებობას, ხოლო ფასწარმოქმნის დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ეკონომიკური სანქციების გატარება, რომლის დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა რეგულირებადი ფასის რეჟიმის დარღვევა.

კონკურენციის პრობლემატიკაზე მომუშავე თეორეტიკოსი მკვლევარებისათვის და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ბუნებრივი მონოპოლიების გარდა არსებობს საბაზრო კონკურენციის შედეგად წარმოქმნილი ე.წ. „საბაზრო მონოპოლიები“ და დომინირებული (მონოპოლიური) მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები, რომელთაც პოტენციურად გააჩნიათ კონკურენციის შემზღუდავი საბაზრო ძალა შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე. აღნიშნული მეწარმე სუბიექტების მიმართ, როგორც წესი, კონკურენციის სააგენტოებს (სამინისტროებს, კომიტეტებს,

კომისიებს, დეპარტამენტებს, სამმართველოებს) გააჩნიათ კანონმდებლობით მინიჭებული შესაბამისი ზემოქმედების ბერკეტები. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე ამ პრობლემის რეგულირება საქართველოშიც ხორციელდებოდა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის ქვემდებარე ისეთი ნორმატიული აქტებით, როგორცაა:

-საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 სექტემბრის №26 ბრძანებულება „საქართველოს სასაქონლო ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.“

-საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის 2000 წლის 12 დეკემბრის №8/42 ბრძანება „შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის შესახებ.“

„საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ დებულების მიზანს წარმოადგენდა – ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების დადგენა, აღრიცხვა და მათი საქმიანობის კონტროლი; ასევე, მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ეკონომიკური აგენტების მიმართ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება;

რეესტრს აწარმოებდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც კონკრეტული სასაქონლო ბაზრების ანალიზის (მონიტორინგის) შედეგების საფუძველზე ახდენდა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების გამოვლენასა და მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრში მათ შეყვანას. რეესტრში შეყვანილი ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდებოდა მუდმივად, რაც გულისხმობდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის ეკონომიკური აგენტის საქმიანობის ამსახველი საერთო მაჩვენებლების სახით ანგარიშის წარდგენას. კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის

სახელმწიფო დეპარტამენტის (სსსდ) მიერ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურთან შეთანხმებით შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმები – ფორმა №1-მონ. კვარტალური და ფორმა №1 ს-მ მონ. ნახევარწლიური. მოგვიანებით, მოხდა აღნიშნული ფორმების დაზუსტება და საბოლოოდ სსსდ-ს 2001 წლის 15 ნოემბრის ბრძანებით მიღებულ იქნა – 1) ფორმა №03-VII-01 (ნახევარწლიური) მონოპოლისტ საწარმოთა საქმიანობის გამოკვლევა და 2) ფორმა №05-VII-01 (კვარტალური) მონაცემები საწარმო-მონოპოლისტის სამრეწველო საქმიანობის შესახებ.

ამ ფორმების საფუძველზე მიღებული მონაცემები წარმოადგენდნენ ძირითად ბაზას მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრში შესული ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევაზე დაკვირვებისათვის, რასაც უნდა გამოერიცხა დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან მათი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. თუმცა, საქართველოში 2005 წლის 3 ივნისამდე მოქმედი საკონკურენციო სამართალი, მხოლოდ, მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტის მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებდა ზემოქმედების ისეთ ფორმებს, როგორიცაა ფიქსირებული ფასის დაწესება (რენტაბელობის ზღვრული ნორმის განსაზღვრა) ან დაწვრილერთეულება, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევებში სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური საკონკურენციო სამართლის დამრღვევ ეკონომიკურ აგენტს უგზავნიდა მიწერილობას კონკრეტული დარღვევის მითითებითა და გამოსწორების ვადების ჩვენებით და მხოლოდ მისი არ შესრულების შემთხვევაში იყენებდა ადმინისტრაციული ზემოქმედების (დაჯარიმების) ბერკეტებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ამ ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების გამოვლენის სფეროში არსებული საკონკურენციო სამართლებრივი (ადმინისტრაციული) ხარვეზები შევსებულ იქნა ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მიერ 1998 წლის 3 დეკემბერს მიღებული „სასაქონლო ბაზრებზე

კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციებით“ და სამსახურის უფროსის 2000 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით (ნორმატიული აქტით) – „შესაბამის (კონკრეტულ) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის (მეწარმე სუბიექტის) მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის შესახებ“. შეიძლება ითქვას, რომ ამ უკანასკნელი ნორმატიული აქტის მიღებით დასრულდა საქართველოში საკონკურენციო სამართლის კონსტიტუციურ საფუძვლებზე ფორმირების პირველი ეტაპი და დაიწყო არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში არსებული საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას და ჰარმონიზაციას. ამ პროცესში თავიდანვე აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური „GEPLAC“-ის ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად.

არ ვაფასებთ რა მითითებული ნორმატიული აქტების შინაარსობრივ მხარეს და მეთოდური ინსტრუმენტარის პრაქტიკულ ღირებულებას, უნდა აღინიშნოს, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონი კონკურენციის სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის იგნორირებას ახდენს, როგორცაა ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა და მისი ბოროტად გამოყენება. კანონის მე-2 თავი, რომელიც ეძღვნება კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვის თემას, გარკვეულ აკრძალვებს უწესებს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, მაგრამ საერთოდ არ ითვალისწინებს რომელიმე ეკონომიკური აგენტის მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობასა და მისი აკრძალვის (რეაგირების) მექანიზმს. ამდენად, გაურკვეველია კანონში მითითებული ე.წ. „რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები“-ს ნუსხა, თუ კი იგი არ მოიცავს საბაზრო მონოპოლიების სუბიექტებს. თუ ქვეყანაში ბუნებრივი მონოპოლიების სუბიექტები მეტნაკლებად რეგულირების სფეროში არიან მოქცეული მარეგულირებელი კომისიების მხრიდან, კანონი არ ითვალისწინებს საბაზრო მონოპოლიებისა და მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების (რომელთაც ძალუძთ კონკურენციის შეზღუდვა შესაბამის სასაქონლო ბაზარზე) საბაზ-

რო ქცევის შესწავლასა და ადეკვატური ღონისძიებების განხორციელებას; ზედამხედველობის გარეშე რჩება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინტერესების ზოგიერთი სფერო.

საკონტროლო კითხვები:

- * რა განაპირობებს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობას?
- * რატომ ექვემდებარებიან ბუნებრივი მონოპოლიები სახელმწიფოს მხრიდან მუდმივ რეგულირებას?
- * რა ძირითად პრინციპებს ემყარება ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეგულირება?
- * რაში მდგომარეობს პირდაპირი და ირიბი რეგულირება და რა მიზნები გააჩნია მათ?
- * რომელი ნორმატიული აქტებით რეგულირდებოდა 2005 წლამდე ბუნებრივი მონოპოლიები და ეგრეთ წოდებული საბაზრო მონოპოლიები?
- * კონკრეტულად რომელი ორგანოების მიერ ხორციელდება საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება და როგორაა იგი დიფერენცირებული სფეროების მიხედვით?

თემა 9. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური კონტროლი სასაქონლო ბაზრებზე და პასუხისმგებლობა კონკურენციული კანონმდებლობის დაცვის სფეროში

თითქმის ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში კონკურენციის კანონი იურიდიულად ტარდება არასპეციალიზირებული, დამოუკიდებელი სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სასამართლო სისტემის მიერ, მაშინ როდესაც ბევრი რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყანა იყენებს ადმინისტრაციულ სისტემას. იურიდიული და ადმინისტრაციული სისტემების განხორციელება უპირველეს ყოვლისა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კანონის გატარების იურიდიული პრეცედენტების გამოყენებაში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კონკურენციის კანონის პრაქტიკაში იურიდიული გატარებით წარმოიქმნება სტანდარტები დებულებების (კანონის) ენისა და პრეცედენ-

ტებიდან. პრეცედენტების გამოყენების მასშტაბი საერთაშორისოა და სახელმწიფოები კონკურენციის კანონების შედგენისას ხელმძღვანელობენ უფრო განითარებულ ქვეყნებში არსებული პრეცედენტებით. მაგალითად, საბერძნეთის კონკურენციის კომისია იურიდიული სტანდარტების შედგენაში დაეყრდნო ევროპის კავშირის პრეცედენტს კომპანიების შერწყმის კონტროლზე, ხოლო ახალი ზელანდია დაეყრდნო ავსტრალიისა და აშშ-ში ჩამოყალიბებულ იურიდიულ სტანდარტებს.

საქართველოში საკონკურენციო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში მოწინავე განვითარებული ქვეყნების პრეცედენტული სამართლის ნორმების გამოყენებას (შესაბამისი სტანდარტების შემუშავებისას), ნაკლები ყურადღება ექცეოდა. უფრო მეტიც, მხოლოდ ერთად ერთხელ (2001 წლის მეორე ნახევარი) ჰქონდა ადგილი საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში განვითარებული ქვეყნების იურიდიული პრეცედენტის გამოყენებას. კერძოდ, ევრო – სასამართლოს მიერ 1978 წელს (საქმე ECR 207) მიღებული დადგენილების თანახმად, ბანანის ბაზარი გამოყოფილ იქნა სხვა ახალი ხილის ბაზრისაგან, რადგანაც სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მომხმარებელთა ფართო წრე ჩვილი ბავშვებისა და მოხუცების სახით, რომლებიც ბანანის გარდა სხვა ახალ ხილს ვერ მოიხმარდნენ. სწორედ, ევრო-სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, როგორც პრეცედენტი, გამოყენებულ იქნა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ და სასაქონლო ბაზრების კვლევის პროცესში ბანანის ბაზარი განხილულ იქნა სხვა ხილის ბაზრისაგან განცალკევებულად. აღნიშნულ სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ანალიზის პროცესში გამოვლენილ იქნენ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები (შ.პ.ს. „აგროტექნიკი“ და „სოტობი ენტერპრაიზ ლიმიტედ“-ის წარმომადგენლობა), რომლებიც სამსახურის უფროსის 2001 წლის 25 სექტემბრის ბრძანებით (დადგენილი წესის თანახმად) შეყვანილ იქნენ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტების სახელმწიფო რეესტრში და დაექვემდებარნენ ანტიმონოპოლიურ ზედამხედველობას და კონტროლს.

კონკურენციის შესახებ უცხოეთის ქვეყნების კანონმდებლობათა ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ორი ფორმა, რომელთაგან პირველი ემყარება ბაზარზე არსებული ყველა სამართლებრივი ურთიერთობების კონკურენციულ (ანტიმონოპოლიურ) რეგულირებაზე დაქვემდებარების პრინციპს. ამის მაგალითს წარმოადგენს, აშშ-ში უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება, რომელიც წარმოაჩენს აშშ-ში კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის თავისებურებებს, რომელთაგან უმთავრესია ანტიმონოპოლიური რეგულირების მექანიზმის სრულყოფის ხარისხი.

საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მეორე ფორმა პირველისაგან განსხვავდება იმით, რომ კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) რეგულირების მოდელის მიხედვით ხდება კანონების მიღება, კონკრეტული სახის რეგულირების სამართლებრივი ურთიერთობებისათვის. მაგალითად, „ინვესტიციების შესახებ“ კანადის 1986 წლის კანონი, რომელიც წარმოადგენს ანტიმონოპოლიურ (კონკურენციის შესახებ) კანონს საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების სფეროში. იმეორებს სამართლებრივი რეგულირების სტრუქტურას და მეთოდს, რომლებიც დამახასიათებელია ანტიმონოპოლიური (კონკურენციული) რეგულირებისათვის, მაგრამ მისაღებია მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობისათვის. იგივე შეიძლება ითქვას, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის კანონზეც, რომელიც ასევე შეიცავს ანტიმონოპოლიური რეგულირებისათვის დამახასიათებელ ნორმებს (ბევრად უფრო სრულყოფილი სახით), მაგრამ ის მხოლოდ კომუნიკაციების სფეროს ეხება.

აღიარებულია, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზებისას ჩამოყალიბდა პროცედურების ორი ჯგუფი – ადმინისტრაციული და სასამართლოს მეშვეობით. ადმინისტრაციული პროცედურების ჩარჩოებში, რომელიც უპირატესად გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ეკონომიკურ აგენტებს შორის წარმოქმნილ დავებს განიხილავს სპეციალურად შექმნილი კომპეტენტური ორგანო, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში,

ხოლო ისეთ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ესპანეთი), სადაც უპირატესობა ენიჭება სასამართლო პროცედურებს, გადაწყვეტილებებს იღებენ სასამართლოები. ადმინისტრაციული ორგანოები იხილავენ საჩივრებს და დამრღვევ მოპასუხე მხარეს სთავაზობენ (მოსთხოვენ) არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის ნებაყოფლობით აღკვეთას, აღძრავენ საქმეს სასამართლოში. ამ ორგანოებს უფლება აქვთ გასცენ რეკომენდაციები, რომელთა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს სასამართლო განხილვის საფუძველი, ასევე განახორციელონ მოლაპარაკებები დაპირისპირებულ მხარეებს შორის დავების დასარეგულირებლად.

შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება ეკონომიკური აგენტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და მათი თანამდებობის პირების მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულების მეშვეობით, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული კანონმდებლობა ირღვევა ან არ სრულდება ნებაყოფლობით, მაშინ მის დაცვას უზრუნველყოფენ ისეთი იძულებითი პროცესუალური ნორმები, რომლებიც შეიძლება განეკუთვნებოდნენ, როგორც ადმინისტრაციულ ისე სისხლის სამართლებრივ კანონდარღვევებს.

ამ პრობლემების მოწესრიგების მიზნით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებისთანავე, გასული საუკუნის 90-იან წლებში, შეტანილ იქნა შესაბამისი მუხლები ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსში, სადაც დროთა განმავლობაში შედიოდა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში ახალი საკონკურენციო სამართლის მიღებამდე (2005 წლის 3 ივნისი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჩადებული იყო შემდეგი მუხლები 153, 158, 158¹, 159, 159¹, 159², 159³, 159⁴ და 173³, სადაც გათვალისწინებული იყო სასჯელები მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევისათვის, სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებისათვის, მომხმარებელთა უფლებების შელახვისათვის, რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელების დადგე-

ნილი წესების დარღვევისათვის, არასათანადო რეკლამის განთავსებისათვის (გავრცელებისათვის), ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის, ჩვილ ბავშვთა ხელოვნურად კვების რეკლამისათვის, სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისათვის ხელის შეშლისათვის.

ამასთან, ცხადია ისიც, რომ ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, თავისი მცირე მოცულობის გამო, არაეფექტური იყო. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული მეწარმეთა პროვოცირება სამართალდარღვევის მიმართულებით. მაგალითად, ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევისათვის ისევე, როგორც სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენებისათვის გათვალისწინებული იყო ჯარიმა 30 ლარიდან 150 ლარამდე, რაც ნამდვილად ვერ უზრუნველყოფდა სადამსჯელო ზომების ქმედუნარიანობას და ეფექტურობას.

მოგვიანებით, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან ერთად, შეტანილ იქნა ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად კოდექსიდან ამოღებულ იქნა 153-ე მუხლის მე-3-5 ნაწილი. ასევე, განისაზღვრა დარღვევათა ის სახეები (159² მუხლი – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობა და 159³ მუხლი – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოსათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობა), რაზეც უფლებამოსილება ენიჭება თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული იყო კონკრეტული სანქციები კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. აღნიშნული სანქციები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სანქციებთან შედარებით, ბევრად უფრო მკაცრი იყო მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვისათვის, სასაქონლო (მომსახურების)

ნიშნის უკანონოდ გამოყენებისათვის, აშკარად ვალბი რეკლამის გავრცელებისათვის და ფალსიფიკაციისათვის.

თავის მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სანქციები შესაბამისობაში იყო საქართველოში 2005 წლის 3 ივნისამდე მოქმედ საკონკურენციო სამართლებრივ ნორმებთან, მაშინ როდესაც ახალი საკონკურენციო სამართალი უკვე არ არეგულირებს მონოპოლიური საქმიანობის აღკვეთისა და სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენების ფაქტებს.

და ბოლოს, რაც შეეხება, სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ სანქციებს სარეკლამო საქმიანობის რეგულირებისა და ფალსიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა გამოსულია ქვეყნის მთავარი კონკურენციის ორგანოს – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციიდან და სხვა სახელმწიფო ორგანოთა რეგულირების სფეროს წარმოადგენს.

საკონტროლო კითხვები:

* რაში მდგომარეობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის რეალიზაციის მეთოდი ადმინისტრაციული პროცედურის ჩარჩოებში?

* რითი ხასიათდება სასამართლოს მეშვეობით კონკურენციული კანონმდებლობის რეალიზაციის პროცედურა?

* რომელ ქვეყნებში გამოიყენება უპირატესად ადმინისტრაციული პროცედურები და სად ენიჭება უპირატესობა სასამართლო პროცედურებს?

* საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულების გარდა რა მეთოდები გამოიყენება მათ დასაცავად?

* რა სანქციებს ითვალისწინებდა საკონკურენციო კანონმდებლობის დარღვევა საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებით 2005 წლამდე და რას ითვალისწინებს 2005 წლის შემდეგ?

თემა 10. კონკურენციის განვითარების საერთაშორისო ასპექტები

თანამედროვე მსოფლიოში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების შიდა ბაზრებზე არსებული ეფექტიანი კონკურენცია ხშირად ადგილობრივ კომპანიებს აიძულებს გავიდნენ საზღვრებს გარეთ თავიანთი ბიზნეს-საქმიანობის შემდგომი ზრდისა და გაფართოების შესაძლებლობათა საძიებლად და ახალი ბაზრების დასაპყრობად. გლობალიზაციისა და ეკონომიკური კავშირურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის პირობებში, კონკურენცია, ისევე, როგორც მისი არალეგალური შეზღუდვის საშუალებები, იძენს საერთაშორისო ხასიათს. იგი რიგ სხვა მოვლენებთან ერთად გამოიხატება, კერძოდ, მთელ მსოფლიოში ამ ბოლო წლებში გამოვლენილი არალეგალური სართაშორისო კარტელების რაოდენობის ზრდითაც, რომელთა მონაწილეებსაც წარმოადგენენ სხვადასხვა ქვეყნების კომპანიები. ამ პირობებში საერთაშორისო მასშტაბით კონკურენციის პრინციპების და საყოველთაოდ აღიარებული კონკურენციის ნორმების ოპტიმალურ დონეზე უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვნად ძლიერდება საერთაშორისო სამართლის როლი; მაღლდება სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა ორმხრივ და რეგიონალურ დონეებზე და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში.

ეკონომიკის გლობალიზაციის არსებული ტემპები და მასშტაბები სულ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ბიზნესის განვითარების კანონზომიერებათა ანალიზსა და ბიზნესის რაციონალური გარემოს კრიტერიუმებთან ამ კანონზომიერებათა კავშირურთიერთობების შესწავლას; ამასთან, შეუძლებელია იმ როლის გადაჭარბებით შეფასება, რომელსაც იძენს საერთაშორისო კონკურენციაში ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვის ეფექტური მექანიზმის შემუშავება და რეალიზაცია. აღნიშნულის განხორციელების მიზნით აუცილებელია უპირველეს ყოვლისა ბიზნესის გარემოს განმსაზღვრელი და უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტების: კონკურენტული გარემოს, საინვესტიციო და საბაჟო გარემოს, საგადასახადო და სავალუტო

რეჟიმის მახასიათებელი პარამეტრების შესწავლა, მათი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმებთან და წესებთან და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობის დადგენა და ევროკანონმდებლობასთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის შეფასება, თანამედროვე საერთაშორისო კონკურენტულ, საბაჟო-საგადასახადო, საინვესტიციო და სავალუტო სფეროებში არსებული რეგულირების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა ჩარჩოებში მიმდინარე პროცესებს, რამდენადაც საერთაშორისო ბიზნესს მიკუთვნებულ ეკონომიკურ გარიგებათა დაახლოებით 80% სავაჭრო ხასიათისაა. გულდასმით არის განსახილველი და შესასწავლი კონკურენტული გარემოს ფორმირების კანონზომიერებანი, რადგან სწორედ იგი წარმოადგენს ბიზნესის (მათ შორის საერთაშორისო ბიზნესის და საერთაშორისო ვაჭრობის) განვითარების აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს პირობას.

ბიზნესის გარემოს რაციონალური პარამეტრების ფორმირება და შენარჩუნება დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაზე, ვაჭრობის ლიბერალიზაციის ხარისხზე, სტარიფო და არასტარიფო რეგულირების დონეზე, საინვესტიციო, საბაჟო და საგადასახადო რეჟიმზე და განსაკუთრებით კონკურენტული გარემოს არსებობა-არარსებობაზე, თუ მის ხარისხზე. ქვეყნის ხელისუფლებისა და დაინტერესებული ბიზნეს-წრეების ეკონომიკური აქტივობის შედეგიანობაზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანად გამოყენების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში არსებული კონკურენტული კანონმდებლობის ხასიათი და კონკურენტული გარემო.

ბუნებრივია, უცხოელ ინვესტორს აინტერესებს ისეთივე ან დაახლოებით ისეთივე სამეწარმეო გარემოში ფუნქციონება, როგორც არის ძირითადად მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (რომელსაც ის უკვე შეჩვეულია) და რომელიც მისთვის მისაღებია.

ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციებმა და მისი გლობალიზაციის ხარისხმა განაპირობეს თავისუფალი

ეკონომიკური ურთიერთობისა და არადისკრიმინაციული ვაჭრობის მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან და მათ შორის საქართველოს მიერ ვალდებულებების ნებაყოფლობით აღება (მათ შორის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას) ეროვნული კანონმდებლობის ნორმების ევროკანონმდებლობის პარამეტრებთან პარამონიზაციის შესახებ და ქვეყნის ტერიტორიაზე კონკურენციის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების მაქსიმალურად დაცვის თაობაზე /მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 8 მაისის №22 დადგენილებით დამტკიცებულია და ხორციელდება „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარამონიზაციის ეროვნული პროგრამა“/.

საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან ემყარება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ძალაშია 1999 წლის 1 ივლისიდან (შეთანხმება დაიდო ათწლიანი ვადით და მხარეთა პროტესტის არ არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მისი გაგრძელება). ამ ხელშეკრულებით შეიცვალა ევროგაერთიანებასა და საბჭოთა კავშირს შორის 1989 წლის 18 დეკემბერს ხელმოწერილი შეთანხმება საჯარო, კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულებით, ერთის მხრივ, საქართველოს მიერ აღებულ იქნა ვალდებულება, რომ ქვეყნის არსებული და სამომავლო კანონმდებლობა, მათ შორის, კონკურენციის მარეგულირებელი ნორმები და მომხმარებელთა დაცვის საკითხები, დაეახლოვებინა (ეტაპობრივად მოეყვანა შესაბამისობაში) ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან (შეთანხმების 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი), ხოლო მეორეს მხრივ, ევროგაერთიანების მიერ გამოთქმულ იქნა მზადყოფნა ამ ვალდებულებების შესრულების საქმეში საქართველოსათვის გაეწია ტექნიკური დახმარება (შეთანხმების 44-ე მუხლი). კერძოდ, გაერთიანების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის შემუშავებისა და სრულყოფის სფეროში საქართველოსათვის აღმოეჩინა დახმარება განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორცაა – 1) ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღვევა ან შემაფერხებელი

ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება; 2) ბაზარზე დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; 3) კონკურენციის შემზღვევა სახელმწიფო დახმარებები; 4) სახელმწიფო მონოპოლიები (საქართველოში სახელმწიფო მონოპოლიის ცნება ცალკე არ არსებობდა და ის ფაქტიურად გაიგივებული იყო ბუნებრივი მონოპოლიის ცნებასთან); 5) სახელმწიფო გამგებლობაში არსებული საწარმოები და სპეციალური და ექსკლუზიური უფლებების მქონე ეკონომიკური აგენტები;

ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება საკონკურენციო კანონმდებლობის გამოყენებასა და მასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში ყოფნის შემოწმებასა და ზედამხედველობაზე.

საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის მიღწეული შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც ეხება კონკურენციის სფეროს და რომელთანაც უნდა მოვიდეს შესაბამისობაში ქვეყნის კონკურენციული კანონმდებლობა, გამომდინარეობს ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების („რომის ხელშეკრულების“) 81-ე და 82-ე მუხლებიდან (ძველი რედაქციის 85 და 86 მუხლები). კანონმდებლობათა დაახლოების პროცესში ასევე მხედველობაშია მისაღები ევროკავშირის საკონკურენციო სამართლის 1989 წლის რეგლამენტი 4064/89, მასში 1997 (რეგლამენტი 1310/97) და 2004 (რეგლამენტი 139/2004) წლებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით (აღნიშნული რეგლამენტით იკრძალება ევროგაერთიანების სივრცეში კონკურენციის შემზღვევა კონცენტრაციები).

ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ევროკავშირის გაფართოების შემდეგ 2004 წლიდან, სამეზობლო პოლიტიკა იქცა უპირველეს პრიორიტეტად, რომლის მიზანს წარმოადგენს გაფართოებულ ევროკავშირსა და მის სამხრეთ და აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან ახალი გამყოფი ხაზების გაჩენის თავიდან აცილება, რომლის საფუძველს საერთო ფასეულობებისადმი ერთგულება წარმოადგენს, ხოლო საშუალებებს კი არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარება ყველა მიმართულებით.

ევროკავშირი თანამშრომლობის ფაზიდან ეკონომიკური ინტეგრაციისაკენ გადადის იმ ქვეყნებთან, რომლებიც ამისათვის მზად არიან და შესაბამისი შესაძლებლობებიც გააჩნიათ.

თუმცა, გამოცდილება ადასტურებს, რომ ყველაზე რთული და პრობლემატური სწორედ კონკურენციის საკითხებია. ამასთან, სასწრაფო პოლიტიკით პრიორიტეტული სფეროებია: 1) ანტიტრესტული პოლიტიკა და სახელმწიფო დახმარებების პოლიტიკის კონტროლი და 2) პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების თანახმად, ევროკავშირის კონკურენციასთან დაკავშირებულ პრინციპებთან შესაბამისობა“.

ამდენად, კონკურენციის განვითარება და დაცვა ევროპული კომისიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ, კავშირის ფარგლებში მიღებული სამართლებრივი ნორმების განხორციელებაზე პასუხისმგებლობის პარალელურად მაქსიმალურად ცდილობს ქმედითი, კონკრეტული დახმარებები აღმოუჩინოს კავშირის არაწევრ ქვეყნებსაც, რაც საბოლოო ჯამში უფრო დაცულსა და მომგებიანს ხდის ბიზნესის წარმოებას.

„ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა“ და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესების შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის სავაჭრო თანამშრომლობას საფუძვლად უდევს უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი (ანუ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი), რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ „ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების“ მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის მიერ მეორე მონაწილე ქვეყნისათვის მინიჭებული რაიმე საბაჟო შედავათი ავტომატურად ვრცელდება ამ შეთანხმებაში მონაწილე ყველა ქვეყანაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ეს არის, სამართლებრივი დოკუმენტების პაკეტთა ერთობლიობა (ერთგვარი მრავალმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება), რომელიც განსაზღვრავს მთავრობათა უფლება-მოვალეობებს საქონლისა და მომსახურებების საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში.

რაც შეეხება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებს კონკურენციის სფეროში, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სწორედ ასეთი მრავალმხრივი შეთანხმებების (სამართლებრივი დოკუმენტების) პაკეტის შემადგენელი ნაწილია, რომლის ნორმებითა და პრინციპებით, ამჟამად, მსოფლიო ვაჭრობის (საქონლითა და მომსახურებებით) 90%-ზე მეტი

რეგულირდება. თუმცა, „ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება“ თავის არც ერთ დებულებაში არ ახდენდა და არც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დებულებებით ხდება იმის პირდაპირი დეკლარაცია, რომ ისინი ემხრობიან კონკურენციის პრინციპებს (არ ახასიათებენ დახადგენ წესებს როგორც „კონკურენციის წესებს“). მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესების არსშია ჩადებული საგარეო-ეკონომიკური გარიგებების კონკურენციული პირობები, დისკრიმინაციისა და ხელოვნური შეზღუდვების მოხსნის მეშვეობით. აღნიშნული, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მთლიანად ეყრდნობა ღია კონკურენციის პირობებს, რამეთუ მისთვის დასაშვებია სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მეთოდების გამოყენება, მათ შორის – ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება, მათი გამოყენების მკაცრი რეგლამენტაციის პირობებში, რაც არ ისახავს მიზნად კონკურენციის შეზღუდვას.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ითვალისწინებს ზომების ორ კატეგორიას. პირველი, დროებითი ზომები, შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას, ხოლო მეორე – მუდმივმოქმედი ზომები, წარმოადგენენ გამონაკლისებს ვმო-ს მიმართ ნაკისრი ვალდებულებებიდან. ვმო-ს მიერ გათვალისწინებული დროებითი ზომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია:

– გადაუღებელი ღონისძიებები, რომლებმაც უნდა დაიცვან იმპორტული საქონლის კონკურენციით სერიოზულად დაზიანებული ეროვნული მრეწველობა. თითოეულ ქვეყანას უფლება აქვს მიიღოს „უსაფრთხოების“ ზომა რომელიმე პროდუქტიაზე საიმპორტო ქვოტების ან გადასახადების დაწესების მეშვეობით, თუ იმპორტის გაზრდილი მოცულობა ადგილობრივი მწარმოებელთათვის ზიანის ან ზიანის საფრთხის მომტანია (GATT-ის XIX მუხლი – ზოგიერთი დასახელების პროდუქციის იმპორტთან დაკავშირებული გადაუღებელი ღონისძიებები, ვმო-ს შეთანხმება უსაფრთხოების ზომების შესახებ);

– ქვეყნის მიერ ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟის შემოღება ერთი ან მეტი ქვეყნიდან არაკეთილსინდისიერი

გზით განხორციელებული იმპორტის მიმართ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ან ზიანის მიყენების საშიშროება შეუქმნა ეროვნულ მრეწველობას (GATT-ის VI მუხლი) ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟი, ვმო-ს შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 წლის გენერალური შეთანხმების VI მუხლის განხორციელების თაობაზე, შემდგომში „ანტიდემპინგური შეთანხმება“, და ვმო-ს შეთანხმება სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ);

– განვითარებადი ქვეყნების მიერ საიმპორტო შეზღუდვების შემოღება საგადაამხდლო ბალანსის და ქვეყნის საგარეო ფინანსური მდგომარეობის დაცვის მიზნით (GATT-ის XVIII ბ მუხლი – საიმპორტო ზომები საგადაამხდლო ბალანსის მიზნებისათვის).

სახელმწიფოთა თანამედროვე საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა კონკრეტული ისტორიული პირობების განვითარების ზემოქმედებით იმართება. ხშირ შემთხვევაში, შიდა ბაზრის დროებითი დაცვა სრულიად გამართლებულია (მაგალითად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც ეროვნულ ეკონომიკას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს) და საერთოდ, ყველა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში, ეროვნული კომპანიების პოზიციების გამაგრებას მსოფლიო ბაზარზე, უპირობო პრიორიტეტი ენიჭება სამართლიანი კონკურენციის პრინციპებისა და შიდა ბაზრებზე მონოპოლიზმის დაუშვებლობის მიმართ.

შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკა განეკუთვნება შიდა ბაზრის პოლიტიკას, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება, ხოლო რაც შეეხება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებული ქვეყნების ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათი რეგულირება ხორციელდება საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ წარმოიქმნას კონფლიქტური სიტუაციები. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში, პროფესიონალთა წრეებში აქტიურად განიხილება კონკურენციის საერთაშორისო წესების შემოღების, ამოქმედებისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში მათი ჩართვის საკითხები.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ გლობალიზაციის პირობებში, წარმოიშვება კონკურენციულ პოლიტიკაზე გლობალური მასშტაბით კონტროლის დაწესებისა და განხორციელების, ასევე, კონკურენციული ურთიერთობების გარკვეული სტანდარტებით რეგულირების შეთანხმების აუცილებლობა, რითაც საბოლოო ჯამში უნდა იხელმძღვანელოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის თითოეულმა წევრმა ქვეყანამ.

ამასთან, საქართველო, გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნების მსგავსად, იძულებულია გადაჭრას არა მარტო კონკურენციის დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური უზრუნველყოფის პრობლემები, არამედ კონკურენციული გარემოს ფორმირების საკითხიც.

იმისათვის, რომ რეალურად მოხდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მხრიდან, საქართველოს, როგორც თანასწორი პარტნიორის აღიარება, აუცილებელია, ქვეყანაში არსებობდეს საბაჟო წესებისა და მათი აღმონისტირების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, რეპრესალიებისა და სხვა მსგავსი, ბიზნეს გარემოს მომწესრიგებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომლებიც თავის მხრივ გავლენას ახდენენ, როგორც საქონლის, ასევე მომსახურების რეალიზაციაზე. მით უმეტეს, საქართველოს მიერ ასეთი კონკრეტული ვალდებულებები აღებული იქნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე გაწევრიანების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს.

საქართველოში ამ ეტაპზე არ არსებობს სამართლებრივი ბაზა (უსაფრთხოების მექანიზმების სრულად მომცველი საკანონმდებლო აქტები), რომელიც დაარეგულირებს ანტიდემპინგურ და საკომპენსაციო ბაჟის დაკისრების ღონისძიებებს. თუ სიღრმისეულად გავანალიზებთ ანტიდემპინგური ღონისძიებების გატარების კუთხით არსებულ მდგომარეობას, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოსათვის ამ ეტაპზე არაა კატასტროფული რეპრესალიების შესახებ საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა, რადგანაც ამ ეტაპზე უფრო მისაღებ და შეიძლება ითქვას უფრო ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დებულებების გამოყენება – დაცვის ღონისძიებების შესახებ.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულება დამცავ პროცედურებთან

მიმართებაში ბევრად უფრო მარტივი და ეფექტურია (ეკონომიურია), რაც მის გამოყენების ალბათობას ზრდის გარდამავალ ეკონომიკის ქვეყნების მხრიდან. უფრო მეტიც, ის პოლიტიკური თვალსაზრისითაც მომგებიანია, რამეთუ ისინი უზრუნველყოფენ იმ ადგილობრივი წარმოების დაცვას, რომლებსაც კონკურენტულ გარემოში ადაპტაცია უჭირთ. შესაბამისად სტიმული ეძლევა ადგილობრივ წარმოებას, რომელსაც მთავრობა თავისი პოლიტიკით ეხმარება სიძნელეების დაძლევისა და ბაზარზე დამკვიდრებაში.

აქვე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დებულებების თანახმად დაცვის ღონისძიებები, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება იმპორტთან მიმართებაში, დროებით ხასიათს ატარებენ. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ამ ღონისძიებების პერიოდში ადგილობრივი მეწარმის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ვერ მოხერხდა, დამცავი პროცედურების მოხსნის შემდეგ არაა გამორიცხული, რომ კონკრეტული საწარმოები იგივე ან ბევრად უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ, ვიდრე დაცვის პროცედურების ამოქმედებამდე იყვნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოში ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟის დაკისრების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის მიუხედავად, რეალურადაა შესაძლებელი სრულყოფილი საკონკურენტო პოლიტიკის განხორციელება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დებულებების ფარგლებში.

აღნიშნული პროცესის დაჩქარებას (ვმოს სტანდარტებთან საკონკურენტო სამართლის დაახლოებას) ხელი შეიძლება შეუწყოს იმანაც, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის აქტიური წევრია (1995 წლის 1 იანვრიდან) ევროკავშირიც, რომელიც მუდმივად ცდილობს გააძლიეროს ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ევროკავშირსა და ამ კავშირის გარეთ დარჩენილ ევროპის სახელმწიფოებს შორის, რითაც ის ამ ქვეყნებს აძლევს შანსს განახორციელონ ევროკავშირის ბაზარზე შესვლა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოების გზით.

ამასთან, საქართველო, როგორც დსთ-ს სრულყოფილი ანტიდემპინგური, თავიდანვე იყო ჩართული ამ სივრცეში ერთიანი

ანტიდემპინგური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში, რომელიც გამომდინარეობს, თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურების მიერ 1993 წლის 23 დეკემბერს აშხაბადში ხელმოწერილი „ერთიანი ანტიდემპინგური პოლიტიკის გატარების შესახებ“ სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებიდან (მოგვიანებით, აღნიშნული ხელშეკრულების ცალკეული დებულებები 2000 წლის 25 იანვარს იქნა დაზუსტებული და სრულყოფილი); ამ ხელშეკრულებამ საბოლოოდ განსაზღვრა დსთ-ს წევრი სახელმწიფოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები კონკურენტის სფეროში. კერძოდ, 1) მონოპოლიური საქმიანობისა და/ან არაკეთილსინდისიერი კონკურენტის აღკვეთისა და შეზღუდვის მიმართულებით ერთობლივ მოქმედებათა კოორდინაცია; 2) ანტიდემპინგური კანონმდებლობების დაახლოება იმ ფორმით, როგორც ეს აუცილებელია შეთანხმების რეალიზაციისათვის; 3) კონკურენტის განვითარებისათვის პირობების შექმნა, სასაქონლო ბაზრების ეფექტური ფუნქციონირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა; 4) მეურნე სუბიექტებისა და მმართველობითი ორგანოების მონოპოლიური საქმიანობის შეფასებისა და განხილვის წესის შეთანხმება და მის საფუძველზე თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა;

ის ასევე მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან განსაზღვრებებს და ზოგად წესებს, როგორცაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მეურნე სუბიექტების ანტიკონკურენტული შეთანხმებები და არაკეთილსინდისიერი კონკურენტია.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის ზრდადი ინტეგრირების პირობებში აქტუალური როლი ენიჭება როგორც მრავალმხრივ, ასევე ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გააქტიურებას კონკურენტული ურთიერთობების სფეროში.

სწორედ ამ მიზნით 2002 წლის 16 ივლისს ქ. თბილისში დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და უკრაინას შორის – „საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის საკონკურენტო პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

აღნიშნული ხელშეკრულება მიმართულია 1) საქართველოსა და/ან უკრაინის სასაქონლო ბაზრების ეფექტური ფუნქციონირების პირობების უზრუნველსაყოფად; 2) მე-

ქანიზმის შექმნისათვის იმ ქმედებების დაუშვებლობისა და აღკვეთისათვის, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს კონკურენციაზე საქართველოსა და/ან უკრაინის სასაქონლო ბაზრებზე; 3) კონკურენციის სფეროში საქართველოსა და/ან უკრაინის კანონმდებლობათა ჰარმონიზაციის საკითხთა გადასაწყვეტად; 4) იმ ანტიკონკურენტული ფაქტების ერთობლივი განხილვისათვის, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ კონკურენციის განვითარებაზე საქართველოს და/ან უკრაინის სასაქონლო ბაზრებზე.

ამასთან, ხელშეკრულების გამოყენების ერთ-ერთ სფეროდ განისაზღვრა სამეურნეო სუბიექტთა ისეთი ქმედებების გამოვლენა, რომლებიც ჩადენილია ერთი სახელმწიფოს სასაქონლო ბაზრებზე და შეუძლიათ ნეგატიური გავლენა იქონიონ კონკურენციაზე მეორე სახელმწიფოს სასაქონლო ბაზრებზე.

ანალოგიურად, კონკურენციის განვითარებისა და ანტი-მონოპოლიური რეგულირების საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით 1999 წლის 18 ნოემბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს და რუმინეთის კონკურენციის ორგანოებს შორის.

საკონტროლო კითხვები:

* რას ნიშნავს კონკურენციულ ურთიერთობათა მრავალ-მხრივი რეგულირება და რომელ კონკრეტულ მაგალითებს დაახასიათებდით ამ ასპექტში?

* როგორია ევროკავშირისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ვალდებულებები კონკურენციის სფეროში?

* რომელ საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობს საქართველო კონკურენციის სფეროში და რა ვალდებულებები აქვს ნაკისრი?

* რომელ ქვეყნებთან აქვს საქართველოს ხელშეკრულებები ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ კონკურენციის დაცვის სფეროში?

ტესტები თვითშემოწმებისათვის

1. ევროკავშირის საკონკურენციო კანონმდებლობის შესაბამისად ეკონომიკური აგენტი (მეწარმე სუბიექტი) მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის მქონედ ითვლება, თუ მას უკავია შესაბამისი, კონკრეტული სასაქონლო ბაზრის არანაკლები:

- ა) 1/5; ბ) 1/4; გ) 1/3; დ) 1/2.

2. როგორც წესი, კონკურენციული კანონმდებლობით ცალსახად არის აკრძალული:

- ა) მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობა;
ბ) მონოპოლიური საქმიანობა;
გ) მონოპოლიური მდგომარეობა(ც და მონოპოლიური საქმიანობა(ც)
დ) კანონმდებლობა არ კრძალავს არც მონოპოლიურ მდგომარეობას და არც მონოპოლიურ საქმიანობას

3. სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის კუთხით მუდმივი რეგულირების ობიექტებს წარმოადგენენ:

- ა) ყველა ეკონომიკური აგენტი საბაზრო წილისა და საქმიანობის წესის მიუხედავად;
ბ) მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები;
გ) ბუნებრივი მონოპოლიები;
დ) სახელმწიფო არ ერევა ეკონომიკური რეგულირების სფეროში

4. კონკრეტული სასაქონლო ბაზარი კონკურენციულია, თუ: მასზე მოქმედებს ბევრი გამყიდველი და ბევრი მყიდველი; თითოეულ ეკონომიკურ აგენტს იმდენად მცირე წილი უკავია, რომ არ შეუძლია საქონლის საბაზრო ფასზე ზემოქმედება; პროდუქცია ერთგვაროვანია; არ არსებობს საქონლის რაიმე ეფექტური შემცველი; არ არსებობს ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის ბარიერები; ინფორმაცია ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის შესახებ გამჭვირვალეა. ჩამოთვლილთაგან რომელია ზედმეტი და

არ წარმოადგენს კონკურენტული ბაზრის მახასიათებელ ფაქტორს?

- ა) ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი ახასიათებს კონკურენციულ ბაზარს;
- ბ) პროდუქცია ერთგვაროვანია;
- გ) არ არსებობს საქონლის რაიმე ეფექტური შემცველი;
- დ) ინფორმაცია ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის შესახებ გამჭვირვალეა

5. სასაქონლო ბაზარი მონოპოლიურია, თუ ბაზარზე მოქმედებს ერთი გამყიდველი; გამყიდველის პროდუქცია უნიკალურია, ამიტომ მომხმარებელს არა აქვს საშუალება იგი შეცვალოს რაიმე სხვა მსგავსი საქონლით; არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები, რომლებიც სხვა ფირმებს არ აძლევს საშუალებას შევიდნენ ამ ბაზარზე. ასევე გაძნელებულია ამ ბაზრის დატოვება (გამოსვლა); საქონელზე ფასი დაწესებულია რეალურ მოთხოვნაზე უფრო მაღალ დონეზე. რომელია ჩამოთვლილთაგან მცდარი და არ წარმოადგენს მონოპოლიური ბაზრის მახასიათებელს?

- ა) გამყიდველის პროდუქცია უნიკალურია, ამიტომ მომხმარებელს არა აქვს საშუალება იგი შეცვალოს სხვა მსგავსი საქონლით;
- ბ) არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები, რომლებიც სხვა ფირმებს არ აძლევს საშუალებას შევიდნენ ამ ბაზარზე. ასევე გაძნელებულია ამ ბაზრის დატოვება;
- გ) საქონელზე ფასი დაწესებულია რეალურ მოთხოვნაზე უფრო მაღალ დონეზე;
- დ) ჩამოთვლილთაგან არც ერთი არაა მცდარი.

6. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენცია აუცილებელ და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმიზირებისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენების საქმეში. მაგრამ, კონკურენციის უპირველესი „დამსახურებაა“:

- ა. ბაზარზე თავისუფლად (ბარიერების გარეშე) ფუნქციონირების შესაძლებლობა;

- ბ) შედარებით დაბალ ფასად ხარისხიანი პროდუქციის შექმნის შესაძლებლობა;
- გ) თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა;
- დ) ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

7. მომხმარებელთა უფლებების ეფექტური დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიას საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოადგენს:

- ა) პროდუქციის ხარისხის მაკონტროლებელი სახელმწიფო ინსტიტუტების ძლიერი სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება;
- ბ) პროდუქციის ფასების დამდგენი და მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოების ეფექტიანი მუშაობა;
- გ) სასაქონლო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ფორმირება და დაცვა;
- დ) მომხმარებელთა უფლებების დარღვევა გამყიდველთა საზიანოდ მოქმედებს, ამიტომ ამ უფლებების დაცვა უშუალოდ მათი ინტერესის საგანს წარმოადგენს და სხვათა ჩარევა ამ სფეროში არაა საჭირო.

8. პოსტკომუნისტური ქვეყნების კონკურენციული კანონმდებლობის ფორმირების თავისებურებანი განსაზღვრულია ობიექტურად განპირობებული გარემოებებით:

- ა) საკონკურენციო საკანონმდებლო ბაზის შექმნა ხდება უკვე მრავალ ქვეყანაში არსებული დიდი გამოცდილების საფუძველზე, რაც საშუალებას იძლევა, რომ კანონებში გათვალისწინებულ იქნეს ყველაზე უფრო აქტუალური და ცხოვრების მიერ უკვე მრავალგზის აპრობირებული ცნებები და დებულებები;
- ბ) კანონებში ჩართულია აკრძალვები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის მხრიდან კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების მიმართ, რაც არაა დამახასიათებელი ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის;
- გ) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კონკურენციული

კანონმდებლობა საკითხებისადმი უფრო ფართო გაგებას მოიცავს და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ტრადიციული მიმართულებების გარდა ხშირად იგი ეხება სასაქონლო ბაზრის დემონოპოლიზაციის პრობლემატიკასაც;

დ) კონკურენციული კანონმდებლობა გარდამავალ ქვეყნებში რაიმე თავისებურებით არ ხასიათდება.

9. შეთანხმება ეკონომიკურ აგენტებს შორის „პორიზონტალურ შეთანხმებად“ ითვლება თუ შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტები

- ა) მოქმედებენ სხვადასხვა სასაქონლო ბაზრებზე;
- ბ) მოქმედებენ ერთსა და იგივე სასაქონლო ბაზარზე (წარმოადგენენ კონკურენტებს)
- გ) მოქმედებენ სხვადასხვა სასაქონლო ბაზრებზე, მაგრამ განზრახული აქვთ, რომ იმოქმედონ ერთ სასაქონლო ბაზარზე
- დ) შეთანხმების მონაწილეები წარმოადგენენ ნათესავეებს.

10. „პორიზონტალური შეთანხმების“ ერთ-ერთი სახეობა, კერძოდ კარტელური შეთანხმება მკაცრად და ცალსახად აკრძალულია როგორც ევროკავშირის, ისე ფაქტობრივად ყველა ქვეყნის საკონკურენტო კანონმდებლობით. რაც შეეხება საერთოდ პორიზონტალურ შეთანხმებას, იგი როგორც წესი:

- ა) არ იკრძალება;
- ბ) იკრძალება, თუ მისი მონაწილეთა რიცხვი 2-ზე მეტია;
- გ) იკრძალება, თუ მისი მონაწილეები სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენენ;
- დ) იკრძალება, თუ შეთანხმების რომელიმე მონაწილე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტია, ან შეთანხმების შედეგად მისი მონაწილეები ერთობლივად დაიკავებენ დომინირებულ მდგომარეობას და შეიქმნება კონკურენტის შეზღუდვის საშუალება.

11. „ვერტიკალური შეთანხმება“, წარმოადგენს რა შეთანხმებას არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის, ითვლება კონკურენტისათვის ნაკლებად საშიშად, მაგრამ კონკურენციული კანონმდებლობით იგი მაინც იკრძალება, თუ:

- ა) შეთანხმების რომელიმე მონაწილე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტია და შეთანხმების სხვა მონაწილეს სთავაზობს გარკვეულ შეღავათებს, ხოლო შეთანხმების გარეთ მყოფებს თავს ახვევს დისკრიმინაციულ პირობებს;
- ბ) შეთანხმების მონაწილეთა რაოდენობა 2-ზე მეტია;
- გ) შეთანხმების მონაწილეები ორი ან მეტი ქვეყნის ეკონომიკურ აგენტებს წარმოადგენენ;
- დ) შეთანხმების მონაწილეები მცირე ბიზნესის წარმომადგენლები არიან და მათი ერთობლივი საბაზრო ძალა ვერ უზრუნველყოფს დისკრიმინაციული კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაციას;

12. როგორი დამოკიდებულება არსებობს საბაზრო კონცენტრაციის დონესა და კონკურენტის ხარისხს შორის?

- ა) რაც უფრო მაღალია კონცენტრაციის დონე, მით უფრო მაღალია კონკურენტის ხარისხი (პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება);
- ბ) რაც უფრო მაღალია კონცენტრაციის დონე, მით უფრო დაბალია კონკურენტის ხარისხი (უკუპროპორციული დამოკიდებულება);
- გ) საბაზრო კონცენტრაციის დონე და კონკურენტის ხარისხი ერთმანეთზე დამოკიდებული არ არიან(მათ შორის არ არსებობს კავშირი);
- დ) საბაზრო კონცენტრაციის დონესა და კონკურენტის ხარისხს შორის მკაცრად განსაზღვრული ცალსახა დამოკიდებულება არ არსებობს (ზოგჯერ იგი პირდაპირპროპორციულია, ზოგჯერ კი - უკუპროპორციული).

13. როგორც ვიცით, არაკეთილსინდისიერი კონკურენტია წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის (აგენტების) მიზანმიმართულ ქმედებებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაუსაბუთებელ (დაუმსახურებელ) უპირატესობათა მოსაპოვებლად. როგორც წესი, რა დამოკიდებულებაა არაკეთილსინდისიერ კონკურენტისა და კანონმდებლობას შორის?

- ა) კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციისადმი რაიმე აკრძალვით ზომას;
- ბ) კანონმდებლობით აკრძალულია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ზოგიერთი სახე;
- გ) კანონმდებლობა დადებითად აფასებს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ზოგიერთ სახეს, ვინაიდან თვლის, რომ ამით მოგებული რჩება მომხმარებელი;
- დ) კანონმდებლობა კრძალავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციას.

14. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია განეკუთვნება თუ არა მონოპოლიურ საქმიანობათა ნუსხას და ახდენს თუ არა კონკურენციის შეზღუდვას?

- ა) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია არ წარმოადგენს მონოპოლიური საქმიანობის ფორმას და უკავშირდება არა კონკურენციის შეზღუდვას, არამედ მისი „ხარისხის“ გაუარესებას;
- ბ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია მონოპოლიური საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა და ახდენს კონკურენციის შეზღუდვას;
- გ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია მონოპოლიური საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ არ ახდენს კონკურენციის შეზღუდვას;
- დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია არ წარმოადგენს მონოპოლიური საქმიანობის ფორმას, მაგრამ ახდენს კონკურენციის შეზღუდვას.

15. როდის იქნა მიღებული კონკურენციის შესახებ პირველი ანტიტრესტული კანონი ფედერალურ დონეზე შერმანის აქტის სახელწოდებით აშშ-ში?

- ა) 1860წ. ბ) 1890წ. გ) 1920წ. დ) 1950წ.

16. როდის იქნა მიღებული „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი?

- ა) 1992წ. ბ) 1994წ. გ) 1996წ. დ) 1998წ.

17. როდის იქნა მიღებული „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“?

- ა) 2003წ. ბ) 2004წ. გ) 2005წ. დ) 2006წ.

18. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს საკონკურენციო სამართლის ისეთ ძირითად საკითხებს, როგორცაა:

- ა) კონკურენციის შემზღუდავი პორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები;
- ბ) დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- გ) სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისა და ისეთი შედეგათების დაწესების აკრძალვა, რაც არსებითად ზღუდავს კონკურენციას და თავისუფალ ფასწარმოქმნას;
- დ) ეკონომიკურ აგენტთა შერწყმები.

19. სასაქონლო ბაზრის განსაზღვრა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ბაზრის სასაქონლო (პროდუქტიული) საზღვრების დადგენა; გამყიდველებისა და მყიდველების შემადგენლობის განსაზღვრა; ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა; პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების დადგენა; სასაქონლო ბაზრის მოცულობის განსაზღვრა; ეკონომიკური აგენტის ხვედრითი წილის განსაზღვრა ბაზრის საერთო მოცულობაში. რომელი მათგანია ჩამონათვალში ზედმეტი?

- ა) ბაზრის სასაქონლო (პროდუქტიული) საზღვრების დადგენა;
- ბ) ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა;
- გ) პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების დადგენა;
- დ) სასაქონლო ბაზრის მოცულობის განსაზღვრა

20. სასაქონლო ბაზრისა და მისი სტრუქტურის განსაზღვრის ეკონომიკა დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, რომელთა არსი უშუალოდ არის დამოკიდებული საბაზრო ძალაუფლების პრობლემასთან. ბაზრის მონოპოლიზაციისა და საბაზრო ძალაუფლების ხარისხის შესაფასებლად იყენებენ:

- ა) სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობას;
- ბ) სასაქონლო ბაზრის მოცულობას;
- გ) ბაზრის კონცენტრაციის დონეს;
- დ) ეკონომიკური აგენტის ხვედრით წილს ბაზრის საერთო მოცულობაში.

21. კონკურენციის შეზღუდვის გამოვლენისას და/ან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების დაფიქსირების შემთხვევაში კონკურენციის ორგანოები იყენებენ რეგულირების ისეთ ადმინისტრაციულ ზომებს, როგორცაა სიტყვიერი მითითება, წერილობითი გაფრთხილება (მიწერილობის სახით), შემზღუდავი (ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების სახით) და აღმკვეთი (ეკონომიკურ აგენტთა დაწვრილერთეულების სახით). რომელი მათგანი არ შედის ანტიმონოპოლიური ორგანოების ოფიციალურად აღიარებულ რეგულირების მექანიზმში?

- ა) სიტყვიერი მითითება;
- ბ) წერილობითი გაფრთხილება (მიწერილობის სახით);
- გ) შემზღუდავი (ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების სახით);
- დ) აღმკვეთი (ეკონომიკურ აგენტთა დაწვრილერთეულების სახით)

22. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრობა ყველა ქვეყანას უფლებამოსილებების მინიჭებასთან ერთად აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს. კერძოდ, მას მოეთხოვება უზრუნველყოს ვმო-ს წევრი ქვეყნებისათვის ვაჭრობის სფეროში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. ამ მიზნით უნდა მოხდეს:

- ა) შესაბამისი, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობი

კონკურენციული გარემოს ფორმირება და დაცვა ქვეყნის შიდა ბაზარზე ადგილობრივი ეკონომიკური აგენტებისათვის;

- ბ) შესაბამისი, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობი კონკურენციული გარემოს ფორმირება და დაცვა ქვეყნის შიდა ბაზარზე უცხოური ეკონომიკური აგენტებისათვის ვმო-ს წევრი ქვეყნებიდან;
- გ) შესაბამისი, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობი იდენტური კონკურენციული გარემოს ფორმირება და დაცვა ქვეყნის შიდა ბაზარზე როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის ვმო-ს წევრი ქვეყნებიდან;
- დ) უცხოელი ინვესტორებისათვის განსაკუთრებული შეღავათების მინიჭება, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ინვესტიციების მოზიდვას

23. კონკურენციული პოლიტიკის პრინციპების რეალიზაცია ხდება: ქვეყნის დონეზე, რეგიონულ დონეზე, ორმხრივი ურთიერთობისას და ურთიერთობათა მრავალმხრივი რეგულირებისას. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეესაბამება სიმართლეს?

- ა) რეგიონულ დონეზე;
- ბ) ორმხრივი ურთიერთობისას;
- გ) მრავალმხრივი ურთიერთობისას;
- დ) ყველა ჩამოთვლილი შეესაბამება სიმართლეს

24. დემპინგური ფასები ხშირად ძალიან მიმზიდველი და მომგებიანია მომხმარებლისათვის. რატომ არის აკრძალული კონკურენციული კანონმდებლობით მათი გამოყენება?

- ა) იგი წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფორმას და როგორც წესი, მიზნად ისახავს სხვა ქვეყნის ბაზარზე გაბატონებას და სამაჟულო პროდუქციის განდევნას;
- ბ) იგი ხელს უწყობს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხარისხის დაქვეითებას, ვინაიდან საქონელმწარმოებლები იძულებული ხდებიან დაუსაბუთებლად შეამცირონ ფასები და შესაბამისად ხარჯები;

- გ) დემპინგური ფასები საბოლოო ანგარიშით იწვევენ კონკურენციის შეზღუდვასა და აღკვეთასაც კი, რაც საზიანოდ მოქმედებს მომხმარებელზე;
- დ) საკანონმდებლო აკრძალვის მიზნებს წარმოადგენს ყველა „ა“-„გ“ პასუსში მითითებული ფაქტორი.

25. საქართველოში ბუნებრივი მონოპოლიების ერთ-ერთი სფერო რეგულირდება შემდეგი სამართლებრივი აქტის საფუძველზე:

- ა) კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“;
- ბ) ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“;
- გ) კანონი „დაზღვევის შესახებ“;
- დ) კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“

ტიპური საგამოცდო საკითხები

1. კონკურენციული პოლიტიკა; მისი მიზანი, ამოცანები და განხორციელების ძირითადი მიმართულებები;
2. საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა, პრიორიტეტები და განხორციელების მეთოდები;
3. კონკურენციის განვითარებისა და დაცვის მნიშვნელობა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში;
4. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი კონკურენციული ბრძოლის ჯანსაღი პირობების დაცვისათვის;
5. კონკურენციის ფუნქციები საბაზრო მეურნეობაში: რეგულირების, განაწილების, კონტროლის;
6. კონკურენციის განვითარება, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარანტია;
7. კონკურენციული (ანტიმონოპოლიური, ანტიტრესტული) კანონმდებლობის ფორმირების ეკონომიკური და იურიდიული საფუძვლები;
8. ანტიტრესტული (კონკურენტული) კანონმდებლობის შექმნისა და განვითარების ისტორია;
9. კონკურენციული კანონმდებლობის ამერიკული და ევროპული მოდელები; მსგავსებები და განსხვავებები;
10. საზღვარგარეთის ქვეყნების კონკურენციულ კანონმდებლობათა და კონკურენციის ორგანოების მოკლე დახასიათება;
11. საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობის შედგენილობა; მისი შექმნისა და განვითარების ეტაპები;
12. საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების საკონსტიტუციო პრინციპები და ნორმები;
13. ანტიმონოპოლიური რეგულირების ცნება;
14. ანტიმონოპოლიური რეგულირების ძირითადი მიმართულებები;
15. რეგულირების სამართლებრივი საშუალებები და ფორმები;
16. საქართველოს კონკურენციის ორგანოს სამართლებრივი სტატუსი, მისი სტრუქტურა, ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებანი;

17. საბაზრო სტრუქტურის ტიპები და ძირითადი მახასიათებლები;
18. სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო სტრუქტურა და მისი მახასიათებელი ფაქტორები;
19. მონოპოლიური კონკურენციის საბაზრო სტრუქტურა და მისი მახასიათებელი ფაქტორები;
20. მონოპოლია და მისი ნეგატიური თვისებები;
21. ოლიგოპოლია; ცნება და ძირითადი მახასიათებლები;
22. მომხმარებლის მონოპოლიზმი; მონოფოსონია და ოლიგოფოსონია;
23. სასაქონლო ბაზრის პროდუქტიული და გეოგრაფიული საზღვრები;
24. სასაქონლო ბაზრის მოცულობისა და ეკონომიკური აგენტის ხვედრითი წილის განსაზღვრა;
25. კონკურენციული გარემოს შეფასების კრიტერიუმები;
26. ეკონომიკური კონცენტრაცია და კონცენტრაციის კოეფიციენტები;
27. დამოკიდებულება კონცენტრაციის დონესა და კონკურენციის ხარისხს შორის;
28. საბაზრო ძალაუფლებისა და დომინირებული (მონოპოლიური) მდგომარეობის განსაზღვრის კრიტერიუმები;
29. პორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები; აკრძალვები კონკურენციაზე მათი უარყოფითი ზეგავლენის გამო;
30. კარტელური შეთანხმებები და მათი აკრძალვის მიზეზები;
31. მონოპოლიური მდგომარეობის ცნება და კონკურენციული კანონმდებლობის დამოკიდებულება მონოპოლიური მდგომარეობისადმი;
32. მონოპოლიური საქმიანობის ცნება, სახეები და კონკურენციული კანონმდებლობის დამოკიდებულება მონოპოლიური საქმიანობისადმი;
33. მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვის მიზეზები;
34. მონოპოლიური მდგომარეობა და მონოპოლიური საქმიანობა; კავშირი მათ შორის;
35. ბუნებრივი მონოპოლიები, სახელმწიფო მონოპოლიები და მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები კონკურენტულ ბაზარზე; ცნებები, ძირითადი ნიშნები და თავისებურებანი;
36. ბუნებრივი მონოპოლიების სისტემატური რეგულირების აუცილებლობა; რეგულირების პრაქტიკა (გამოცდილება);

37. მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა საჯარო რეესტრი და წარმოების წესი;
38. საკანონმდებლო აკრძალვები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიმართ კონკურენციის შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით;
39. პასუხისმგებლობა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის და მისი სახეები;
40. კონკურენციული პოლიტიკის რეალიზაცია რეგიონულ დონეზე (ვეროკავშირი, დსთ და სხვა);
41. ორმხრივი თანამშრომლობა კონკურენციის სფეროში (აშშ-ვეროკავშირი, აშშ-იაპონია);
42. კონკურენციულ ურთიერთობათა მრავალმხრივი რეგულირება (ემო და სხვა);
43. კონკურენციული პოლიტიკის საერთაშორისო ასპექტები; ევროკავშირისა და ემო-ის წევრი ქვეყნების ვალდებულებები კონკურენციის სფეროში;
44. საერთაშორისო კონკურენციული პოლიტიკა და ეროვნული კონკურენციული კანონმდებლობები;
45. საკონკურენციო კანონმდებლობის შექმნის მიზეზები საქართველოში და მისი თავისებურებანი;
46. ბაზრების კლასიფიკაცია კონცენტრაციის ხარისხის მიხედვით;
47. ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლების გაზომვის სტრუქტურული მიდგომა;
48. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის რეალიზაცია ადმინისტრაციული პროცედურის ჩარჩოებში და სასამართლოს მეშვეობით;
49. სანქციები საკონკურენციო კანონმდებლობის დარღვევისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში 2005 წლამდე და 2005 წლის შემდეგ;
50. თანამედროვე საკონკურენციო კანონმდებლობის დამოკიდებულება ვერტიკალური შეთანხმებებისადმი ევროკავშირის ჩარჩოებში;
51. შერწყმა; არსი, აკრძალვის მიზეზები და რეგულირების მექანიზმი;
52. ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები საქართველოსა და ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებს შორის.

53. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ხელშეკრულებებში კონკურენციის სფეროში;

54. ანტიმონოპოლიური რეგულირების განმახორციელებელი ორგანოები საქართველოში და მათი დიფერენციაცია სფეროების მიხედვით;

55. აშშ-ს ანტიტრესტული კანონმდებლობის აღმასრულებელი სახელმწიფო ორგანოების დახასიათება;

56. ევროკავშირის სივრცეში კონკურენციის კანონმდებლობის მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციები და უფლებამოსილებანი;

57. კონკურენციის სფეროს ადმინისტრირების მექანიზმები აშშ-სა და ევროკავშირში;

58. ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების ძირითადი პრინციპები;

59. სასაქონლო ბაზრის განსაზღვრის ეტაპები;

60. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონების დამოკიდებულება ეკონომიკური აგენტების დომინირებული მდგომარეობის, შერწყმების და შეთანხმებების მიმართ.

„კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება“ სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სტატუსი – „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება“ გათვალისწინებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებისათვის; კურსი სავალდებულოა.

სასწავლო კურსის ხანგრძლივობა – ერთი სემესტრი.

ECTS – 5 კრედიტი, აქედან 60 საკონტაქტო საათი 15 კვირის განმავლობაში, მ.შ. 30 სალექციო და 30 სასემინარო პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

სასწავლო კურსის მიზანი – „კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების“ კურსის შესწავლის მიზანია ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და კონკურენციული კანონმდებლობის როლისა და ადგილის განსაზღვრა საბაზრო ურთიერთობების პირობებში, თანამედროვე კონკურენციული კანონმდებლობის ეკონომიკური და იურიდიული საფუძვლების შესწავლა, კონკურენციის სფეროში არსებული საერთაშორისო რეგულირების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტების ანალიზი. დისციპლინის მიზანია მომავალ სპეციალისტებს ჩამოუყალიბდეს ცოდნა კონკურენციის სფეროში როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო ჭრილში, რათა კურსდამთავრებულმა და შესაბამის დარგებში დასაქმებულმა ეკონომისტებმა შეძლონ იმოქმედონ კონკურენციული ბრძოლისათვის მიღებული წესების დაცვით როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები – „კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების“ დამაკმაყოფილებელ დონეზე შესწავლისათვის სტუდენტებს ათვისებული უნდა ჰქონდეთ ეკონომიკური თეორიის, მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, ეკონომიკური სტატისტი-

კისა და მარკეტინგის სასწავლო კურსები; ასევე კურსი ბიზნესის საფუძვლებში.

სასწავლო კურსის ფორმატი – ლექცია, სემინარი/პრაქტიკუმი; შუალედური წერითი შემოწმებები.

სასწავლო კურსის შინაარსი

თემა №1. კონკურენციული ურთიერთობებისა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მიზანი, ამოცანები და ძირითადი მიმართულებები (ლქ - 2 სთ; სმ - 2 სთ).

კურსის საგანი, მიზანი და ამოცანები; კურსის ზოგადი დახასიათება; კონკურენციული კანონმდებლობის შექმნის მიზეზები საქართველოში; ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობის თავისებურებანი.

ლიტერატურა: გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლო“, 2007, გვ. 8-16; გოგიაშვილი შ., კონკურენციის პოლიტიკა და ქართული რეალობა – ჟურნ. „გადასახადები“, №4, თბ., 2000წ. გვ. 63-65; ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლო“, 2007, გვ. 260-273; Конкуренция и антимонопольное регулирование, под ред. Цыганова А.Г., М., „Логос“, 1999, с. 3-17.

თემა №2 ანტიმონოპოლიური /ანტიტრესტული, კონკურენციული/ კანონმდებლობის შექმნისა და განვითარების ისტორია. საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კონკურენციული კანონმდებლობისა და კონკურენციის ორგანოების მოკლე დახასიათება (ლქ - 4 სთ; სმ - 4 სთ).

ანტიტრესტული კანონმდებლობის ფორმირების ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები; „შერმანის“ აქტის მიღება; კონკურენციული კანონმდებლობის ამერიკული და ევროპული მოდელები; ევროკავშირის საკონკურენციო კანონმდებლობის საფუძვლები; საზღვარგარეთის ქვეყნების /აშშ, ევროკავშირი/ კონკურენციულ კანონმდებლობათა და

კონკურენციის ორგანოების დახასიათება; კონკურენციული კანონმდებლობის აღმინისტრირების მექანიზმები აშშ-სა და ევროკავშირში.

ლიტერატურა: გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლო“, 2007, გვ. 17-40; გოგიაშვილი შ., მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება – თავი IX წიგნში „საკორპორაციო და სავაჭრო სამართალი“, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, თბ., 2003წ. გვ.176-179; ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლო“, 2007, გვ. 13-97; Конкурентное право Российской Федерации, учебное пособие для вузов, под ред. Клейн Н.И., Фонарёвой Н.Е., М., „Логос“, 1999, с. 350-416; Ячейстова Н.И., Международная конкуренция, законодательство, регулирование и сотрудничество, Женева, 2001, с. 39-71.

თემა №3. საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობა და საქართველოს კონკურენციის ორგანო (ლქ - 4 სთ; სმ - 4 სთ).

საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირების საკონსტიტუციო პრინციპები და ნორმები; საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობის შემადგენელი სამართლებრივი აქტები; საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები; „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონების შედარებითი დახასიათება; ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები საქართველოსა და ევროკავშირის კონკურენციის სამართლებრივ ნორმებს შორის; საქართველოს კონკურენციის ორგანოს სტატუსი, მისი სტრუქტურა, ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებანი; საქართველოში საკონკურენციო კანონმდებლობის აღმინისტრირების სამართლებრივი მექანიზმები.

ლიტერატურა: გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი),

თბ., „ლოი“, 2007, გვ. 41-59; გოგიაშვილი შ., კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნესის გარემო საქართველოში. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, №1, 2006წ., გვ.14-20; გოგიაშვილი შ., მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება – თავი IX წიგნში „საკორპორაციო და სავაჭრო სამართალი“, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. თბ., 2003წ. გვ. 176-179, გვ. 182-185; ტუშური ა., ურჯუყელაშვილი ტ., საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ მიმოხილვა – „ტასის“-ის ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, I-II კვარტალი, თბ., 2000წ. გვ. 56-72; ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007, გვ. 131-245; საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №31, 27.06.2005წ. გვ.3-9; „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26.09.1996 წ.

თემა №4. სასაქონლო ბაზარი და მისი სტრუქტურა (ლქ - 4 სთ; სმ - 4 სთ).

საბაზრო სტრუქტურის ცნება, ტიპები და სახეები; საბაზრო სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლები; მონოპოლიის ნეგატიური თვისებები; მომხმარებლის მონოპოლიზმი: მონოფსონია, ოლიგოფსონია; სასაქონლო ბაზრის განსაზღვრის ეტაპები; სასაქონლო ბაზრის პროდუქტიული და გეოგრაფიული საზღვრები; სასაქონლო ბაზრის მოცულობის განსაზღვრა; ეკონომიკური აგენტის წილის განსაზღვრა ბაზრის მოცულობაში.

ლიტერატურა: გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლოი“, 2007, გვ. 60-80; Конкуренция и антимонопольное регулирование, под ред. Цыганова А.Г., М., „Логос“, 1999, с. 19-46; Тотьев К.Ю., Конкурентное право (правовое регулирование деятельности

субъектов конкуренций и монополий) М., 2003, с. 42-60; Юданов А.Ю., Конкуренция - теория и практика, М., 1998, с.12-46.

თემა №5. სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის ხარისხის მახასიათებელი ძირითადი პარამეტრები და კრიტერიუმები (ლქ - 3 სთ; სმ - 3 სთ).

სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციული გარემოს შეფასების კრიტერიუმები; ეკონომიკური კონცენტრაცია და მისი შეფასება; კონცენტრაციის კოეფიციენტები და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსები; ეკონომიკური კონცენტრაციის მანუენებლები და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია; საბაზრო ძალაუფლება და დომინირებული მდგომარეობა; ბაზრების კლასიფიკაცია კონცენტრაციის ხარისხის მიხედვით.

ლიტერატურა: გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლოი“, 2007, გვ. 81-88; Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестонское законодательство и экономика, Вашингтон, 1994, с. 115-190; Конкуренция и антимонопольное регулирование, под ред. Цыганова А.Г., М., „Логос“, 1999, с. 54-81.

თემა №6. მონოპოლიური მდგომარეობა, მონოპოლიური საქმიანობა და არაკეთილსინდისიერი კონკურენცია (ლქ - 3 სთ; სმ - 3 სთ).

ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური მდგომარეობა და მისი განსაზღვრის ფაქტორები; მონოპოლიური საქმიანობის ცნება და ძირითადი მახასიათებლები; დამოკიდებულება მონოპოლიურ მდგომარეობასა და მონოპოლიურ საქმიანობას შორის; ბუნებრივი მონოპოლიები, სახელმწიფო მონოპოლიები და ეგრეთ წოდებული საბაზრო მონოპოლიები, ანუ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები კონკურენციულ ბაზარზე; მონოპოლისტი არჩევანის წინაშე – გაადიდოს წარმოება და შეამციროს ფასი, თუ გამოუშვას საქონლის უფრო ნაკლები რაოდენობა უფრო მაღალ ფასად; არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ცნება და მისი გავლენა სასაქონლო ბაზარზე; ევროკავშირის რეკომენდაციები სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისათვის; კონკურენციუ-

ლი კანონმდებლობის დამოკიდებულება მონოპოლიური მდგომარეობისადმი და მონოპოლიური საქმიანობისადმი; საკანონმდებლო აკრძალვები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიმართ კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით.

ლიტერატურა: გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლოი“, 2007, გვ. 89-97; გოგიაშვილი შ., მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება. თავი IX წიგნში „საკორპორაციო და სავაჭრო სამართალი“, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. თბ., 2003წ. გვ. 173-175, გვ. 179-183; გოგიაშვილი შ., ბიზნესი და ბუნებრივი მონოპოლიები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №6, 2007, გვ. 7-10; ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007, გვ. 131-143, გვ. 204-238; Конкуренция и антимонопольное регулирование, под ред. Цыганова А.Г., М., „Логос“, 1999, с. 189-191; Тотьев К.Ю., Конкурентное право (правовое регулирование деятельности субъектов конкуренций и монополий) М., 2003, с. 230-306.

თემა №7. ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები; შერწყმები (ლქ - 4 სთ; სმ - 4 სთ).

ჰორიზონტალური შეთანხმების არსი; ვერტიკალური შეთანხმება და განსხვავებები ჰორიზონტალური შეთანხმებებისაგან; კარტელური შეთანხმება; კონკურენციული კანონმდებლობის დამოკიდებულება ჰორიზონტალური (მათ შორის კარტელური) და ვერტიკალური შეთანხმებებისადმი; ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებების უარყოფითი ზეგავლენა საბაზრო კონკურენციის განვითარებაზე; თანამედროვე საკონკურენციო კანონმდებლობის დამოკიდებულება ვერტიკალური შეთანხმებებისადმი ევროკავშირის ჩარჩოებში; შერწყმა, არსი, აკრძალვის მიზეზები და რეგულირების მექანიზმი.

ლიტერატურა: გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ.,

„ლოი“, 2007, გვ. 98-111; გოგიაშვილი შ., მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება. თავი IX წიგნში „საკორპორაციო და სავაჭრო სამართალი“, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. თბ., 2003წ. გვ. 179-180; ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007, გვ. 29-97, გვ. 274-316; Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестонское законодательство и экономика, Вашингтон, 1994, с. 203-245.

თემა №8. საბაზრო ურთიერთობათა ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლქ - 2 სთ; სმ - 2 სთ).

ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობა, მისი ცნება და ნიშნები; სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი კონკურენციული ბრძოლის ჯანსაღი პირობების დაცვისათვის; ანტიმონოპოლიური რეგულირების ძირითადი მიმართულებები; ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეგულირების ძირითადი პრინციპები; ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირების მექანიზმები; ანტიმონოპოლიური რეგულირების განმახორციელებელი ორგანოები საქართველოში და მათი დიფერენციაცია სფეროების მიხედვით.

ლიტერატურა: გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლოი“, 2007, გვ. 112-123; გოგიაშვილი შ., ბიზნესი და ბუნებრივი მონოპოლიები, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №6, 2007, გვ. 7-10; ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007, გვ. 144-201; Конкуренция и антимонопольное регулирование, под ред. Цыганова А.Г., М., „Логос“, 1999, с. 7-18.

თემა №9. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური კონტროლი სასაქონლო ბაზრებზე და პასუხისმგებლობა კონკურენციული კანონმდებლობის დაცვის სფეროში (ლქ - 2 სთ; სმ - 2 სთ).

იურიდიული პასუხისმგებლობა კონკურენციული კანონმდებლობის დარღვევისას და მისი სახეები; პასუხისმგებლობის რეალიზაციის ორგანოები; საკონკურენციო

სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულება და იძულების მექანიზმი მათ დასაცავად; საკონკურენციო კანონმდებლობის რეალიზაცია ადმინისტრაციული პროცედურის ჩარჩოებში და სასამართლოს მეშვეობით; მათი დახასიათება; ქვეყნები სადაც გამოიყენება უპირატესად ადმინისტრაციული პროცედურები და ქვეყნები სადაც უპირატესობა ენიჭება სასამართლო პროცედურებს; სანქციები საკონკურენციო კანონმდებლობის დარღვევისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა და ხისხლის სამართლის კოდექსებში 2005 წლამდე და 2005 წლის შემდეგ.

ლიტერატურა: გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლოი“, 2007, გვ. 124-129; გოგიაშვილი შ., მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება. თავი IX წიგნში „საკორპორაციო და სავაჭრო სამართალი“, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. თბ., 2003წ. გვ. 179-185; ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007, გვ. 148-189; Тотьев К.Ю., Конкуренция и монополии - правовые аспекты регулирования, М., 1996, с.122-176; Конкуренция и антимонопольное регулирование, под ред. Цыганова А.Г., М., „Логос“, 1999, с. 139-144, 239-245.

თემა №10. კონკურენციის განვითარების საერთაშორისო ასპექტები (ლქ - 2 სთ; სმ - 2 სთ).

ეკონომიკის გლობალიზაცია და კონკურენციის სფეროს რეგულირების აუცილებლობა საერთაშორისო დონეზე; ორმხრივი, რეგიონული და მრავალმხრივი რეგულირება და მათი კონკრეტული მაგალითები; ევროკავშირისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ვალდებულებები კონკურენციის სფეროში; საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ხელშეკრულებებში კონკურენციის სფეროში; საქართველოს ხელშეკრულებები ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ კონკურენციის დაცვის სფეროში და მათი პერსპექტივები.

ლიტერატურა: გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლოი“, 2007, გვ. 130-140; ფეტელავა ს., მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე, თბ., „ლოი“, 2007, გვ. 8-38; Конкуренция и антимонопольное регулирование, под ред. Цыганова А.Г., М., „Логос“, 1999, с.301-310; Ячейстова Н.И., Международная конкуренция, законо- дательство, регулирование и сотрудничество, Женева, 2001, с. 247-310.

შეფასება

სტუდენტის საბოლოო შეფასება ხდება მისი ლექცია-სემინარებსა და კოლოკიუმებში მონაწილეობის შეფასებებისა და გამოცდაზე მიღებული შეფასების შეჯამების მეთოდით. კერძოდ, საბოლოო შეფასება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

დასწრება - 5 %; შუალედური შემოწმება (კოლოკიუმები) - 40 %; სასემინარო-პრაქტიკულ მეცადინეობებში მონა- წილეობა - 15 %; გამოცდა - 40 %; საბოლოო შეფასება - 100 %.

გამოცდაზე გასვლისათვის შუალედური შეფასების მინიმალური დონე შეადგენს 11 ქულას.

თუ ჯამური შეფასება შეადგენს 40 ქულას ან ნაკლებს, მაშინ სტუდენტი არ დაიშვება დამატებით გამოცდაზე სასწავლო კურსის განმეორებითი გავლის გარეშე. 41-50 ქულის დაგროვებისას შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, მაგრამ სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. 51-60 ქულის მიღებისას შეფასება არის „დამაკმაყოფილებელი“, 61-70 ქულის შემთხვევაში - „საშუალო“, 71-80 ქულის დროს - „კარგი“, 81-90 ქულის დაგროვებისას - „ძალიან კარგი“, ხოლო 91 და მეტი ქულის დროს „ფრიადი“.

სტუდენტისათვის კრედიტების მინიჭების პირობა

შუალედური შეფასებითა და გამოცდაზე მიღებული შეფასებით ჯამური 51 და მეტი ქულის დაგროვებისას სტუდენტს მიენიჭება სილაბუსით განსაზღვრული რაოდენობის კრედიტები.

ძირითადი ლიტერატურა

1. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (დექციების კურსი), თბ., „ლო“, 2007;
2. გოგიაშვილი შ., მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება. თავი IX წიგნში „საკორპორაციო და სავაჭრო სამართალი“, საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. თბ., 2003;
3. გოგიაშვილი შ., კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნესის გარემო საქართველოში. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, №1, 2006;
4. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლო“, 2007;
5. Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестовое законодательство и экономика, Вашингтон, 1994;
6. Конкуренция и антимонопольное регулирование, под ред. Цыганова А.Г., М., „Логос“, 1999;
7. Тотьев К.Ю., Конкуренция и монополии - правовые аспекты регулирования, М., 1996;
8. Тотьев К.Ю., Конкурентное право (правовое регулирование деятельности субъектов конкуренций и монополий) М., 2003;
9. Ячейстова Н.И., Международная конкуренция, законодательство, регулирование и сотрудничество, Женева, 2001.
10. Khan M., Klausner M – Lockups and the market for corporate control // stanford law review 1996.
11. Varady T. – The emergence of competition law in (former) socialist countries// American journal of comparative law 1999.
12. Roth W. H. European competition policy for the insurance market// European competition law review – 2000.

დამატებითი ლიტერატურა

1. გოგიაშვილი შ., კონკურენციის პოლიტიკა და ქართული რეალობა – ჟურნ. „გადასახადები“, №4, თბ., 2000;
2. გოგიაშვილი შ., ბიზნესი და ბუნებრივი მონოპოლიები. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №6, თბ., 2007;
3. გოგიაშვილი შ., გოგიაშვილი ნ., დემინგი და ანტიდემინგი – ჟურნ. „მაკრომიკრო ეკონომიკა“, თბ., 1998;
4. ლაფაჩი ქ., მონოპოლიური ქცევის კონტროლის მექანიზმების სრულყოფის საკითხები, ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, ქართული სამართლის მიმოხილვა, მეორე კვარტალი, თბ., 2001;
6. ვ. მაისურაძე, ქ. ლაფაჩი, შ. გოგიაშვილი, ს. ფეტელავა, გ. მელაძე, კრებული საქართველოს საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის, საქართველოს ბიზნეს-სამართლის ცენტრი, თბ., 1999;
7. ტუშური ა., ურჯუყმელაშვილი ტ., საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ მიმოხილვა – ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“. I-II კვარტალი, თბ., 2000;
8. ფეტელავა ს., მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე, თბ., „ლო“, 2007;
9. საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ (3 ივნისი 2005 წელი);
10. საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (25 ივნისი 1996 წელი);
11. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ (2 ივნისი 2005 წელი);
12. საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ (13 სექტემბერი 2002 წელი);
13. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2002 და 2003 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში, „არადანი“ თბ., 2003წ;

14. Агаев Р.Г., Антимонопольная деятельность государства - теоретические и организационно-правовые аспекты, М., 1994;
15. Коробов В.О., Антимонопольное законодательство - экономика и применение, Йошкар-Ола, 1996;
16. Юданов А.Ю., Конкуренция - теория и практика, М., 1998;
17. Hayek F., Individualism and Economic order, Chicago, Univ. of Chicago Press., 1948;
18. Fingleton J., Fox E., Nevers D., Seabright P., Competition Policy and the Transformation of Central Europe, London, CEPR, 1996.

სწავლის შედეგი

სტუდენტებმა უნდა შეიძინონ ცოდნა კონკურენციის თეორიაში; გაეცნონ კონკურენციულ კანონმდებლობათა რეალიზაციის საერთაშორისო პრაქტიკას და შეეძლოთ კონკურენციის სფეროში არსებული გამოცდილების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში.

ტესტების პასუხები

- 1) გ; 2) ბ; 3) გ; 4) გ; 5) გ;
- 6) გ; 7) გ; 8) დ; 9) ბ; 10) დ;
- 11) ა; 12) ბ; 13) დ; 14) ა; 15) ბ;
- 16) გ; 17) გ; 18) გ; 19) გ; 20) გ;
- 21) ა; 22) გ; 23) დ; 24) დ; 25) დ.

ლიტერატურა

1. გოგიაშვილი შ., მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის სამართლებრივი რეგულირება. თავი IX წიგნში „საკორპორაციო და საგაჭრო სამართალი“, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. თბ., 2003;
2. გოგიაშვილი შ., კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნესის გარემო საქართველოში. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, №1, 2006;
3. ლაფაჩი ქ., მონოპოლიური ქცევის კონტროლის მექანიზმების სრულყოფის საკითხები, ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, ქართული სამართლის მიმოხილვა, მეორე კვარტალი, თბ., 2001;
4. ვ. მაისურაძე, ქ. ლაფაჩი, შ. გოგიაშვილი, ს. ფეტელავა, გ. მელაძე, კრებული საქართველოს საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის, საქართველოს ბიზნეს-სამართლის ცენტრი, თბ., 1999;
5. ტუშური ა., ურჯუმელაშვილი ტ., საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ მიმოხილვა – ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“. I-II კვარტალი, თბ., 2000;
6. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007;
7. ფეტელავა ს., მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე, თბ., 2007;
8. Гелхорн Э., Ковасик В., Антитрестовое законодательство и экономика, Вашингтон, 1994;
9. Конкуренция и антимонопольное регулирование, под ред. Цыганова А.Г., М., „Логос“, 1999;
10. Тотьев К.Ю., Конкуренция и монополии - правовые аспекты регулирования, М., 1996;
11. Тотьев К.Ю., Конкурентное право (правовое регулирование деятельности субъектов конкуренций и монополий) М., 2003;

12. Ячейстова Н.И., Международная конкуренция, законодательство, регулирование и сотрудничество, Женева, 2001.

13. Khan M., Klausner M – Lockups and the market for corporate control // stanford law review 1996.

14. Varady T. – The emergence of competition law in (former) socialist countries// American journal of comparative law 1999.

15. Roth W. H. European competition policy for the insurance market// European competition law review – 2000.

აგტორთა შესახებ

შალვა გოგიაშვილი – ეკონომიკის დოქტორი, ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი – დაიბადა 1948 წელს.

1966 წელს წარჩინებით (ოქროს მედალზე) დაამთავრა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 1971 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი „კონომიკური კაბერეტის“ სპეციალობით, ხოლო 1978 წელს ცენტრალური ეკონომიკური მათემატიკური ინსტიტუტის (მოსკოვ) ასპირანტურა.

1973-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებულ ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი ლაბორანტის, უმცროსი მეცნიერ მუშაკის, უფროსი მეცნიერ მუშაკის, ლაბორატორიის გამგის და განყოფილების გამგის თანამდებობებზე.

1995-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში, ჯერ სამინისტროს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდგომ – სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოში (სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე სამმართველოს უფროსი, მთავარი ექსპერტი).

1980 წლიდან სისტემატურად თანამშრომლობს თსუ-ს ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებთან, სადაც 1999 წლიდან მისი ინიციატივით დაიწყო „ანტიმონოპოლიური პოლიტიკის საფუძვლების“ და „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის“ სასწავლო დისციპლინების სწავლება. 2006 წლიდან კითხულობს სალექციო კურსს „ბიზნესის საფუძვლებსა“ და „კონკურენციასა და ანტიმონოპოლიურ რეგულირებაში“.

გამოქვეყნებული აქვს 65 სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის, ორი მონოგრაფია და ერთი კოლექტიური სახელმძღვანელო).

1996-2006 წლებში მონაწილეობდა კონკურენციული კანონმდებლობისა და პოლიტიკის საკითხებზე გამართულ საერთაშორისო სემინარების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში (ბუდაპეშტი, ბუქარესტი, ვენა, კიევი, მოსკოვი, ოდესა, სოფია, სტამბოლი); კონკურენციის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 20-მდე ნაშრომი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

სლავა შალვას ძე ფეტელავა დაიბადა 1965 წლის 14 იანვარს, გალის რაიონის სოფ. ფიხორში, სადაც 1981 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა.

ასევე წარჩინებით დაამთავრა – 1) ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1989წ.) 2) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა (1992წ.) და 3) პეტრეშვილის სახელობის უნივერსიტეტის თეორიული ფაკულტეტი (2005წ.) დასრულებული აქვს სადისერტაციო ნაშრომი თემაზე – „კონკურენციის თეორიის ევოლუცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში“, რომლის წინასწარი დაცვა შედგა 2006 წელს ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ნაგულისხმევია წინამდებარე ნაშრომის წარდგენა ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

1995-2007 წლებში მონაწილეობდა აქვს მიღებული კონკურენციის მოხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეგლამო საქმიანობის რეგულირების საკითხებზე საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში, თბილისში, გუდაურში, ვაშინგტონში, ბალტიმორში, სტამბოლში, ბურსაში, ვენაში, ბრიუსელში, მოსკოვში, კიევი, ბუდაპეშტი, კიშინიუში, ერევანში, ბაქოში.

გამოქვეყნებული აქვს 36 ნაშრომი – კონკურენციის მოხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეგლამო საქმიანობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე). მათ შორის, ორი მონოგრაფია (2007 წ.) და ერთი კრებული (1999 წ., თანაავტორობით).

სლავა ფეტელავა შრომით საქმიანობას ეწევა 1981 წლიდან. 1993-1996 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე წამყვანი სპეციალისტიდან დაწყებული სამმართველოს უფროსის ჩათვლით.

1997 წელს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბების პირველივე დღიდან მის ლიკვიდაციამდე (2005 წლის 19 აგვისტო) იყო სამსახურის უფროსის მოადგილე. მათ შორის, 2002 წლიდან ასრულებდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის ფუნქციას, ხოლო 2001 წლის ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით იყო საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. 2005 წლის სექტემბრიდან დღემდე არის საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოში სამმართველოს უფროსი.

1993 წლიდან დღემდე ეწევა აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას კითხვებიდან ლექციების კურსს „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიასა“ და „სახელმწიფო ბუჯეტში“, ხოლო 2006 წლიდან კითხულობს საგანს „ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები“.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

შალვა მიხაილოვიჩ გოგიაშვილი
СЛАВА ШАЛВОВИЧ ФЕТЕЛАВА

Конкуренция и антимонопольное регулирование
(курс лекции на грузинском языке)

Изд. ООО „ЛОЙ“
Тбилиси 2007.

აიწყო, დაკაბადონდა და დიზაინი მომზადდა
გამომცემლობა „ლოი“-ს კომპიუტერულ ცენტრში

ტექნიკური რედაქტორი:

ლელა გოგოლაური

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ალექსანდრე ნამორაძე

კორექტორები:

ნანული ასლანიშვილი
თამარ ჯავახიშვილი

ტირაჟი 500 ეგზ.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ლოი“

თბილისი, ჯორჯაძის ქ. 5

ტელ: (822) 990-576 / (855) 277-554

ელ. ფოსტა: karchava-l@myoffice.ge

ვებ. გვერდი: www.loi.ge



